

# **ზოგადი ადვინისტრასიული კოდექსის საკითხები**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2019, №11

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)

2019, №11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)

2019, №11

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)

2019, №11

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ყურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიბეაელი

<b>1. საჯარო და კომერციული ინფორმაცია</b>	
ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადება .....	4
საჯარო ინფორმაციის გაცემა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით .....	34
<b>2. პერსონალური მონაცემების დაცვა</b>	
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადანყვეტილების კანონიერება .....	52
პერსონალური მონაცემების გაცემისათვის კანონით დადგენილი შეზღუდვები .....	73
მაკონტროლებელი ორგანოს მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის მოთხოვნისა და პერსონალური მონაცემების დამუშავების უფლებამოსილება ...	108
<b>3. ადმინისტრაციული აქტის კანონიერება</b>	
ამონურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გამოთვლის შესახებ ადმინისტრაციული აქტის კანონიერება .....	126
პროფესიული საქმიანობის აკრძალვის თაობაზე ადმინისტრაციული აქტის კანონიერება .....	146
ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში ავტორიზებული პირის გაფრთხილების კანონიერება .....	172

# 1. საჯარო და კომერციული ინფორმაცია

## ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადება

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-33-32(კ-16)

28 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გა-  
მოცხადება

#### აღწერილობითი ნაწილი:

სს „...“ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-  
მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს ენერ-  
გეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კო-  
მისიის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალ-  
მომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 13.06.14წ. №...  
გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის ბათილად ცნობა, რომლითაც სს  
„...“ უარი ეთქვა „საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების შესყიდ-  
ვის წესის“, სხვადასხვა მომსახურების შესყიდვის და ქონების იჯა-  
რაზე გაფორმებული ხელშეკრულებების, აგრეთვე ელექტროენერ-  
გიის ნასყიდობისა და ელექტროენერგიის გატარების ხელშეკრუ-  
ლებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე. მოსარჩელემ მო-  
ითხოვა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარე-  
გულირებელი ეროვნული კომისიის ახალი ინდივიდუალური ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება სს „...“  
მიერ წარდგენილი „საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების შეს-  
ყიდვის წესის“, სხვადასხვა მომსახურების შესყიდვისა და ქონე-  
ბის იჯარაზე გაფორმებული ხელშეკრულებების, ელექტროენერ-  
გიის ნასყიდობისა და ელექტროენერგიის გატარების ხელშეკრუ-  
ლებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ კომისიამ 13.06.14წ. მიიღო №... გა-  
დაწყვეტილება, რომლითაც სს „...“ უარი ეთქვა მის მიერ მოთხო-  
ნილი ინფორმაციის (ნაწილის) კომერციულ საიდუმლოებად ცნო-

ბაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე, მოსარჩელე არ ეთანხმება, ვინაიდან მისმა გამჟღავნებამ, შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.07.2014წ. განჩინებით კომისიის 13.06.14წ. №22/17 გადაწყვეტილება ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევაზე უარის თქმის ნაწილში შეჩერდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.03.2015წ. გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 13.06.14წ. №... გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი იმ ნაწილში, რომლითაც სს „...“ უარი ეთქვა ელექტროენერჯის ნასყიდობისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე, მოპასუხე – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დაევალა სს „...“ მიერ წარდგენილი ელექტროენერჯის ნასყიდობისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. დანარჩენი ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სზაკ-ის 2.1 მუხლის „მ“ და „ლ“ ქვეპუნქტებისა და 27<sup>2</sup> მუხლის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნევა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია კომერციული ღირებულება, ანუ რომლის გამჟღავნებაც შეუძლია ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. ამასთან, პირი, რომელსაც შეეხება ინფორმაცია, პირადად განსაზღვრავს კომერციული თვალსაზრისით რამდენად ღირებულია ეს ინფორმაცია მისთვის და თავადვე ახდენს ინფორმაციის გასაიდუმლოების საკითხის ინიცირებას. შესაბამისად, მასვე ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს, თუ რა საფრთხეების მატარებელია მისთვის ინფორმაციის ღიად დატოვება. ამდენად, მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მატარებელია, მოსარჩელეს ეკისრება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ სზაკ-ის 27<sup>2</sup> მუხლით დადგენილი პროცედურით მოითხოვა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში წარდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა, ხოლო საფრთხის ობიექტად მიუთითა საწარმოს კონკურენტუნარიანობა. აღნიშნული საკითხის შეფასებისთვის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კონკურენციისა და კონკუ-

რენტუნარიანობის ცნებებზე. იმისათვის, რომ მენარმემ გაუძლოს კონკურენციას და იყოს კონკურენტუნარიანი, მან უნდა უზრუნველყოს მიმწოდებლებისთვის/მომხმარებლებისთვის, ბაზარზე მოქმედ სხვა სანარმოსთან შედარებით, ხელსაყრელი პირობების შეთავაზება. სადავო ინფორმაციის გამჟღავნებით სანარმოს კონკურენტუნარიანობაზე გავლენის ქონას სს „...“ ადმინისტრაციულ ორგანოში საკითხის განხილვისას ასაბუთებდა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ იგი ელექტროენერგიას ყიდულობს მცირე ჰესებისგან, რომლებსაც არ გააჩნიათ არანაირი ვალდებულება მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მიჰყიდონ მხოლოდ სს „...“. გარდა პირდაპირი მომხმარებლის, ბაზარზე ფუნქციონირებს სამი ენერგოგამანაწილებელი კომპანია, რომლებიც ელექტროენერგიას, სს „...“ მსგავსად, ყიდულობენ მცირე ჰესებისგან. შესაბამისად, არაა გამორიცხული, რომ რომელიმე პირდაპირმა მომხმარებელმა ან სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ სს „...“ სულ მცირე ოდენობით ზედმეტი საფასური შესთავაზოს ჰესებს, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ჰესების მხრიდან სს „...“ უკვე გაფორმებული ხელშეკრულებების ფასის გაძვირება ან უარეს შემთხვევაში, საერთოდ ხელშეკრულების შეწყვეტა. ასეთ პირობებში სს „...“ იძულებული გახდება ელექტროენერგია შეიძინოს გაცილებით ძვირად, რათა შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება – აბონენტებისთვის ელექტროენერგიის უწყვეტ რეჟიმში მიწოდება.

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის აღნიშნული მოტივაცია და მიიჩნია, რომ კონკურენტი სანარმოების მიერ ელექტროენერგიის გამყიდველებისთვის სს „...“ შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობების შეთავაზებამ, შესაძლოა გამოიწვიოს მოსარჩელისთვის არახელსაყრელი შედეგები – ხარჯების ზრდა, შემოსავლებისა და მოგების შემცირება, რაც თავისთავად გავლენას იქონიებს სანარმოს კონკურენტუნარიანობაზე. ამ შინაარსის ინფორმაცია არის სანარმოს კომერციული საიდუმლოება. აღნიშნულ ინფორმაციას, მოსარჩელის მიერ მითითებული დოკუმენტაციიდან, შეიცავს მხოლოდ ელექტროენერგიის ნასყიდობისა და ელექტროენერგიის გატარების ხელშეკრულებები. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოსარჩელე მითითებული დოკუმენტაციისთვის კომერციული საიდუმლოების მინიჭების მოტივად მხოლოდ აღნიშნული ინფორმაციის შემცველობას ასახელებს. სადავო დოკუმენტაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის სხვა მოტივაცია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა. მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მატარებელია, მოსარჩელის ვალდებულბაა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 06.03.2015წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.11.2015წ. განჩინებით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.03.2015წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო პალატამ სზაკ-ის 2.1 მუხლის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტებზე, აგრეთვე 27<sup>2</sup> მუხლზე მითითებით დაასკვნა, რომ კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნევა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია კომერციული ღირებულება. პირი თავად განსაზღვრავს თავისთვის ინფორმაციის ღირებულებას. ინფორმაციის კომერციული საიდუმლოების მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება. ვინაიდან მოსარჩელე საფრთხის რბიექტად უთითებს სანარმოს კონკურენტუნარიანობას, უნდა დადგინდეს ინფორმაციის გამჟღავნების გავლენა სს „...“ კონკურენტუნარიანობაზე. სააპელაციო პალატამ მიუთითა „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში მოცემული კონკურენციის დეფინიციაზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელე მოთხოვნას ასაბუთებს იმით, რომ ელექტროენერგიას ის ყიდულობს მცირე ჰესებისგან, რომლებსაც არ გააჩნიათ არანაირი ვალდებულება მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მიჰყიდონ მხოლოდ სს „...“. გარდა პირდაპირი მომხმარებლებისა ბაზარზე ფუნქციონირებს სამი ელექტროგამანაწილებელი კომპანია, რომლებიც ელექტროენერგიას სს „...“ მსგავსად, ყიდულობენ მცირე ჰესებისგან. შესაბამისად, არ არის გამორიცხული რომელიმე პირდაპირი მომხმარებლის ან სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მიერ სს „...“ სულ მცირე ოდენობით ზედმეტი საფასურის შემოთავაზება, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ჰესების მხრიდან სს „...“ უკვე გაფორმებული ხელშეკრულებების ფასის გაძვირება ან უარეს შემთხვევაში საერთოდ ხელშეკრულების შეწყვეტა. ასეთ პირობებში სს „...“ იძულებული გახდება ელექტროენერგია შეიძინოს გაცილებით ძვირად. სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა მასზედ, რომ კონკურენტი სანარმოების მიერ ელექტროენერგიის გამყიდველებისათვის სს „...“ შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობების შეთავაზებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოსარჩელისათვის არახელსაყრელი შედეგები – ხარჯების ზრდა, შემოსავლებისა და მოგე-

ბის შემცირება, რაც თავისთავად გავლენას იქონიებს საწარმოს კონკურენტუნარიანობაზე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა მასზედ, რომ ელექტროენერჯის ნასყიდობისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევით შეილახება მომხმარებლის უფლებები, რომლებსაც უფლება აქვთ ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ფასად ყიდულობს სს „...“ ელექტროენერჯიას, რომელიც შემდეგ მომხმარებლებს მიენოდება. მოსარჩელის მოთხოვნას შეადგენს კომერციულ საიდუმლოებად არა ჯამური ინფორმაციის მიჩნევა იმის შესახებ, თუ რა ფასად ყიდულობს საერთო ჯამში იგი ჰესებისაგან ელექტროენერჯიას, არამედ კომერციულ საიდუმლოებად ინფორმაციის გამოცხადება იმის შესახებ, თუ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული ელექტროენერჯია ვისგან და რა ფასად შეიძინა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მომხმარებლების უფლებების დარღვევას ადგილი არ ექნება სადავო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ.

კასატორი თვლის, რომ სადავო აქტი არ აყენებს ზიანს მოსარჩელეს. ბაზარზე პირდაპირი მომხმარებლების გარდა სს „...ას“ ჰყავს ორი კონკურენტი ენერგოგამანაწილებელი კომპანია: ქ. თბილისში – სს „თელასი“ და კახეთში – სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“. მცირე სიმძლავრის ჰესს არ უღირს ბუნებრივ მონოპოლიასთან ურთიერთობის გართულება, რომელთანაც ხანგრძლივ, მჭიდრო კავშირში იმყოფება, მით უფრო, რომ გაფორმებული ხელშეკრულებები ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის მნიშვნელოვან პირგასამტეხლოებს, ჯარიმებსა და საურავებს ითვალისწინებს. სს „...ას“ 2014 წლამდე არ მოუმართავს დოკუმენტაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის მოთხოვნით, ინფორმაციის საჯაროობის პირობებში მოსარჩელეს რაიმე ზიანი არ მისდგომია, არ შეზღუდულა რაიმე ფორმით მისი კონკურენტუნარიანობა. კასატორი თვლის, რომ კომერციული ფასეულობის მქონე ინფორმაციის დაცვის ინტერესი არ არის გადამწყვეტი, კომისიას დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აქვს ინფორმაციის გასაიდუმლოებაზე უარის თქმის უფლებამოსილება. კომისიის 30.07.14წ. №14 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის 26-ე მუხლის თანახმად, სატარიფო განაცხადის განხილვა მიმდინარეობს საჯარო წარმოების წესით, სატარიფო განაცხადი და თანდართული დოკუმენტები (გარდა იდენტიფიცირებად პირებთან დაკავშირებული პერ-



სონალური ინფორმაციისა, აგრეთვე კომისიის მიერ კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციისა) საჯაროა და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი პირისათვის. ყველა დაინტერესებული პირი უფლებამოსილია გაცენოს კომისიაში წარმოდგენილ საჯაროდ ხელმისაწვდომ მასალებს და წარუდგინონ კომისიას საკუთარი მოსაზრებები. კომისიის 04.12.08წ. №33 დადგენილებით განსაზღვრულია ელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის წარმოების ზედა ზღვარი, თბოელექტროსადგურების ელექტროენერგიის წარმოების ტარიფები და საქართველოს ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მარეგულირებელ სადგურად მიჩნეული ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიანტების ტარიფები, რაც წარმოადგენს ნორმატიული აქტით აღიარებულ საჯარო ინფორმაციას. ინფორმაციის საჯაროობა ემსახურება მოქალაქეთა ინტერესების უზრუნველყოფას, ელექტროენერგიის მომხმარებელმა, რომელიც რეგულარულად იხდის განსაზღვრულ საფასურს, უნდა იცოდეს დადგენილი ტარიფის წარმომავლობის წყარო.

კასატორი აღნიშნავს, რომ დელეგირებული კომპეტენციის ფარგლებში კომისიის საქმიანობა წარმოადგენს ადმინისტრირების ერთ-ერთ განსაკუთრებულ სახეს და ამდენად, იგი განსაკუთრებული მაკონტროლებელი ფუნქციების მატარებელია. სააპელაციო სასამართლომ ვერ უზრუნველყო სადავო აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერების გადამოწმება, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. კასატორი ითხოვს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

მოწინააღმდეგე მხარის სს „...“ წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ ცნო და აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა პროცესუალური დარღვევების გარეშე და საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიღებული. საკასაციო საჩივარში ციტირებული ნორმები ზოგადი ხასიათისაა, კასატორი არ უთითებს თუ რა კავშირი აქვთ ციტირებულ ნორმებს განსახილველ საქმესთან, ვის მიერ მოხდა მათი დარღვევა, რაში გამოიხატება კონკრეტულად ამ ნორმებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს არ წარმოადგენს კონსტიტუციის 41-ე მუხლი, აღნიშნული პირიქით, ენერგოკომპანიის პოზიციებს ამყარებს. საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის მიხედვით ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზეც. კონსტიტუციის 41-ე მუხლი მოქალაქეებს ანიჭებს იმ დოკუმენტების გაცნობის უფლებას, რომლებიც არ შეიცავენ კომერციულ საიდუმლოებას. კონკრე-

ტული კონტრაქტები, სადაც ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვის ფასი და ოდენობაა მითითებული, კომერციული საიდუმლოების ინფორმაციის მატარებელია. კომპანია მცირე სიმძლავრის ჰესებიდან ყიდულობს ელექტროენერჯიას, ჰესებს არანაირი ვალდებულება არ გააჩნიათ მხოლოდ სს „...“ მიჰყიდოს გამოშვებული ელექტროენერჯია. გარდა პირდაპირი მომხმარებლებისა, ბაზარზე სამი ენერგოგამანაწილებელი კომპანია ფუნქციონირებს, რომლებიც ასევე ყიდულობენ ელექტროენერჯიას ჰესებისაგან. შესაბამისად, სრულებითაც არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე პირდაპირმა მომხმარებელმა, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ მოსარჩელეზე სულ მცირე ოდენობით ზედმეტი საფასური შესთავაზოს ჰესებს, რაც გამოიწვევს უკვე გაფორმებული ხელშეკრულების ფასის გაძვირებას, უარეს შემთხვევაში საერთოდ ხელშეკრულების შეწყვეტას (ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჰესების ბუნებრივი რესურსები შეზღუდულია, შეზღუდულია მათ მიერ გამოშვებული ელექტროენერჯის ოდენობა). ენერგოკომპანია იძულებული იქნება გაცილებით ძვირად შეიძინოს ელექტროენერჯია, რათა შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება. ყოველივე აღნიშნული ცალსახად სს „...სს“ კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება. სწორედ მენარმის კონკურენტუნარიანობისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა გაითვალისწინა ორივე ინსტანციის სასამართლომ. საფუძველს არის მოკლებული კასატორის ვარაუდი, რომ ჰესები ასე არ მოიქცევიან. სემეკ-ის 04.12.08წ. №33 დადგენილება „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ ელექტროენერჯის მწარმოებელს ელექტროენერჯის გასაცემ ზღვრულ ფასს უდგენს, გამყიდველს ბუნებრივია არაფერი უკრძალავს ნებისმიერ ფასად (ზედა ზღვრამდე) გააფორმოს ელექტროენერჯის ნასყიდობის ხელშეკრულებები. ღია არის მხოლოდ ჯამური ოდენობა და არა კონკრეტული ჰესიდან კონკრეტულ ფასად კომპანიის მიერ ელექტროენერჯის შესყიდვა. მესამე პირებს რაიმე ინტერესი არ შეეღაბებათ, თუ არ ეცოდინებათ გაფორმებული კონტრაქტების დეტალები. კასატორი არ ასაბუთებს თუ რა საჭიროებას წარმოადგენს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ელექტროენერჯის შესყიდვის მოცულობისა და ფასის გამჭლავნება. საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომია, თუ სზაკ-ის 27<sup>2</sup> მუხლის თანახმად, პირმა არ მიუთითა ამ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა, რაც კომპანიამ განახორციელა. კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისთვის იგი უნდა შეიცავდეს 27<sup>2</sup> მუხლის ერთ-ერთ პირობას, მათ შორის, კონკურენტუნარიანობისათვის ზიანის მიყენებას. სასამართლოებმა დააკმაყოფილეს კომპანიის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილი, კერძოდ, ენერჯის ნასყიდობისა და გა-

ტარების ხელშეკრულებების არ გასაჯაროების შესახებ, რათა სხვე-ბის მიერ კომპანიასთან შედარებით ხელსაყრელი პირობების შე-თავაზებას არ გამოეწვია სს „...ასათვის“ არასასურველი შედეგე-ბის დადგომა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავ-ლის, მხარეთა წარმომადგენლების ახნა-განმარტების მოსმენის შე-დეგად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს სააპელაციო სასა-მართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილ-ვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოება-თა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სს „...“ 25.04.14წ. წერი-ლით ელექტროენერჯის განაწილების, გატარებისა და მოხმარე-ბის ტარიფის დასადგენად, სახელმწიფოს ენერგეტიკისა და წყალ-მომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას წარუდგინა სა-ტარიფო განაცხადი. კომისიის 29.04.14წ. №06/03-7/86-1547 წერი-ლით კომპანიას განესაზღვრა ვადა დამატებით წარმოსადგენი დო-კუმენტაციისათვის. სატარიფო განაცხადის სრულყოფის მიზნით კომპანიამ კომისიას წარუდგინა დამატებითი დოკუმენტაცია. კომ-პანიამ 04.06.2014წ. შუამდგომლობით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს, რათა წარდგენილი დოკუმენტაციიდან რამდენიმე, კერ-ძოდ: შესყიდვების სასაქონლო ზედნადებებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურების RS რეესტრის, 2013 წლის საბანკო ამონაწერის, სა-ქონლის სამუშაოსა და მომსახურების შესყიდვის წესის ასლები, ბუღალტრული, იურიდიულ-საკონსულტაციო, აუდიტორულ მომ-სახურებაზე, ქონების იჯარაზე, საწარმოს დაცვაზე და საწარმოს ქონების დაზღვევაზე ხელშეკრულებების ასლები, მოქმედი სასეს-ხო ხელშეკრულებები და გრაფიკები სზაკ-ის 27<sup>2</sup> მუხლის საფუძ-ველზე კომპანიის კომერციულ საიდუმლოებად ყოფილიყო მიჩნე-ული და მისი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სხდომის ის ნაწი-ლი, სადაც მოხდება კომერციული საიდუმლოების განხილვა და-ხურულად გამოცხადებულიყო. 12.06.14წ. სს „...“ კომისიაში დამა-ტებით წარმოადგინა №500/755 წერილი, რომლითაც დამატებით მოითხოვა ელექტროენერჯის ნასყიდობისა და ელექტროენერჯი-ის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობა, ხოლო კომისიის საჯარო სხდომაზე განხილვისას მოთხო-ვილი დოკუმენტების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის სა-ფუძვლად მიუთითა ის გარემოება, რომ ამ ინფორმაციის გამჟღავ-ნებას შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა მის კონკურენტუნარიანო-

ბაზე.

სახელმწიფოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 13.06.14წ. №... გადაწყვეტილებით სს „...“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ნაწილობრივ იქნა ცნობილი კომერციულ საიდუმლოებად, კერძოდ, განხორციელებული შესყიდვების სასაქონლო ზედნადებებისა და დღგ-ს ანგარიშფაქტურების (ე.წ. RS) რეესტრი, 2013 წლის საბანკო ამონაწერები, მოქმედი სასესხო ხელშეკრულებები და გადახდის გრაფიკები ცნობილი იქნა კომერციულ საიდუმლოებად. ამასთანავე, კომპანიას უარი ეთქვა „საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების შესყიდვის წესის“, სხვადასხვა მომსახურების შესყიდვასა და ქონების იჯარაზე გაფორმებული ხელშეკრულებების, აგრეთვე ელექტროენერჯის ნასყიდობისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კომისიის სადავო გადაწყვეტილების (13.06.14წ. №22/17) მე-3 პუნქტი ცნობილი იქნა ბათილად იმ ნაწილში, რომლითაც სს „...“ უარი ეთქვა ელექტროენერჯის ნასყიდობისა და გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე და კომისიას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელეს – სს „...“ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, გადაწყვეტილება გასაჩივრდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში. ამდენად, მოცემული საქმის განხილვის საგანს შეადგენს მხოლოდ კომისიის სადავო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც ეხება ელექტროენერჯის ნასყიდობისა და გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადებას.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის 5.2 მუხლის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ, ინდივიდუალურ საკითხებზე კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს, რაც თავისი შინაარსით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. მოსარჩელე ადმინისტრაციული ორგანოსგან მოითხოვს ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამდენად, სახეზეა მავალდებელი სარჩელი (სასკ-ის 23-ე მუხ.), რომლის დაკმაყოფილება სასკ-ის 33-ე მუხლის თანახმად შესაძლებელია თუ აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის მართლობიერების გარკვევა საჭიროებს სადავო აქტის კანონიერე-

ბის შემონმებას. ვინაიდან სენმეკ-ის სადავო 13.06.146. №... გა-  
დანყვეტილება, სზაკ-ის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით  
არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი,  
ამდენად, დავის გადანყვეტა საჭიროებს ამ აქტის მე-3 პუნქტის იმ  
ნაწილის, რომლითაც კომპანიას უარი ეთქვა ელექტროენერჯის  
ნასყიდობისა და გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საი-  
დუმლოებად გამოცხადებაზე, სათანადო, მოცემულ შემთხვევაში  
ენერგეტიკის, სფეროს მომწესრიგებელი საკანონმდებლო თუ კა-  
ნონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის გარკვევას.  
აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატის განჩინება საა-  
პელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დასასაბუთებ-  
ლად შემოიფარგლა მხოლოდ სზაკ-ის ნორმებისა და „კონკურენ-  
ციის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლზე მითითებით მაშინ, როდესაც  
სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთი საფუძველი იყო პირველი ინსტან-  
ციის სასამართლოს მიერ ელექტროენერგეტიკის დარგის მომწეს-  
რიგებელი კანონმდებლობის გამოუყენებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის 41.1 მუხლის შესაბამისად, სა-  
ქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია კანონით დადგე-  
ნილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დანესებულებებში არსებულ  
ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო,  
პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. სზაკ-ის 2.1 მუხლის  
„მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალუ-  
რი დოკუმენტი (მათ შორის ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტო-  
სურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერე-  
ბი), ანუ საჯარო დანესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო და-  
ნესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანო-  
ბასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან  
გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დანესებულების მიერ  
პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. სზაკ-ის 2.1 მუხლის  
„ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საიდუმლო ინფორმაცია არის საჯარო  
დანესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დანესებულების ან  
მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირე-  
ბით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორ-  
მაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწი-  
ფო ან კომერციულ საიდუმლოებას. ამდენად, კომერციული საი-  
დუმლოება არის საიდუმლო ინფორმაციის ერთ-ერთი სახეობა. კო-  
მერციული საიდუმლოების დეფინიციას განსაზღვრავს და ინფორ-  
მაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის პროცედურას ად-  
გენს სზაკ-ის 27<sup>2</sup> მუხლი, რომლის თანახმად, კომერციული საიდუმ-  
ლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგ-  
მის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი

სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასანევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას (27<sup>2</sup> მუხლის 1-ლი ნაწ.). ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას.

ამდენად, ინფორმაციისათვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭება მოითხოვს ინფორმაციის კომერციული საიდუმლოებისადმი მიკუთვნების დოკუმენტურ დადასტურებას. პერსონალური მონაცემების დაცვისაგან განსხვავებით კომერციული საიდუმლოების შემთხვევაში მისი დაცვა იმთავითვე არ არის პრეზუმირებული, ინფორმაციის დაცვის ინტერესი ამ შემთხვევაში თავისთავად არ იგულისხმება. პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი რეჟიმისაგან განსხვავებით, ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის, მისთვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭების სავალდებულო პირობას წარმოადგენს ნების გამოხატვა. ამასთანავე ინფორმაციის გასაიდუმლოება არ არის დამოკიდებული მხოლოდ სუბიექტის ნება-სურვილზე და მოსაზრებაზე. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადებისთვის მფლობელს, ნების გამოხატვის გარდა, უნდა გააჩნდეს საჯარო დაწესებულებაში შენახული ინფორმაციის დაცულობის მიმართ გამართლებული, პატივსაძები ინტერესი, რაც განპირობებულია საიდუმლოების მფლობელის შესაძლო თვითნებობის შეზღუდვის საჭიროებით, ვინაიდან კომერციულ საიდუმლოებად ინფორმაციის გამოცხადება აკისრებს სხვებს საიდუმლოების რეჟიმის დაცვის ვალდებულებას, ანიჭებს ინფორმაციის მფლო-



ბელს განსაკუთრებულ უფლებებს, ხოლო სახელმწიფოს ამ უფლებების უზრუნველყოფის პოზიტიურ ვალდებულებებს. ინფორმაციის მფლობელის უფლება წინააღმდეგობაში მოვიდოდა თავად უფლების ცნებასთან, უკეთეს იგი მხოლოდ სუბიექტურ შეხედულებაზე იქნება დამოკიდებული და არ დააკმაყოფილებდა რაიმე უნივერსალობის და ობიექტურობის კრიტერიუმს, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ობიექტურად იდენტიფიცირებადი და არა სუბიექტური გრძნობები.

კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნევა ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია კომერციული ღირებულება, რომლის გამჟღავნება ზიანის მომტანია პირის კონკურენტუნარიანობისათვის. პირი, რომელსაც შეეხება ინფორმაცია, თავად განსაზღვრავს ინფორმაციის ღირებულებას მისთვის და თავადვე ახდენს ინფორმაციის გასაიდუმლოების საკითხის ინიცირებას, მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ინფორმაციის მისაწვდომობა საფრთხის შემცველია მისთვის. სზაკ-ის 82-ე მუხლის თანახმად, განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა, თუ სურს ამ ინფორმაციის საიდუმლოების უზრუნველყოფა. შესაბამისად, მასვე ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს თუ რა საფრთხეების მატარებელია მისთვის ინფორმაციის ღიად დატოვება. ამდენად, მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მატარებელია, მოსარჩელეს ეკისრება.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადებას მოითხოვს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოსაგან. ადმინისტრაციულ ორგანოში შესაძლოა სხვა პირთა კომერციული საიდუმლოება ინახებოდეს, საიდუმლოების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფაზე ადმინისტრაციული ორგანო არის ვალდებული, მაგრამ თავად ამ ორგანოს საკუთარი კომერციული საიდუმლოება არ გააჩნია, ადმინისტრაციულ ორგანოსთან დაკავშირებული არც ერთი ინფორმაცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომერციულ საიდუმლოებად. სხვა პირის კომერციული საიდუმლოება ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკებისათვის სამსახურებრივი საიდუმლოების სტატუსით უნდა ინახებოდეს ანუ ადგილი აქვს კომერციული საიდუმლოების ერთგვარ ტრანსფორმირებას სამსახურებრივი საიდუმლოების რეჟიმში. სზაკ-ის 27<sup>3</sup> მუხლის მიხედვით, პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისე-

თი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემს ან კომერციულ საიდუმლოებას. დაცვის განსხვავებულ რეჟიმს განაპირობებს განსხვავებული სტატუსის მქონე სუბიექტებს შორის ინფორმაციის გაცემა. სზაკ-ის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია არის ღია და ხელმისაწვდომი ყველასათვის მანამ, სანამ საპირისპირო არ იქნება დადგენილი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს ინფორმაციის გაცემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ინფორმაცია კანონით დადგენილი წესით გასაიდუმლოებულია, უკეთეს ინფორმაცია მოცემულ შემთხვევაში განეკუთვნება ინფორმაციის მიმწოდებელი პირის კომერციულ საიდუმლოებას. შესაბამისად, უნდა გაირკვეს განმცხადებლის – სს „...“ მიერ დადებული ელექტროენერჯის შესყიდვისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებისადმი მიკუთვნების შესაძლებლობა.

კომერციული საიდუმლოება არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც კომერციული ღირებულება აქვს ან ამ ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს მოგების მიღება საწარმოს ან ფიზიკური პირის მიერ. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს გეგმის, პროცესის, ფორმულის სახით და ეხებოდეს საქონლის წარმოებას, გადამუშავებას, მომზადებას ან მომსახურების განევას. აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება წარმოადგენდეს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს. კომერციულად მიიჩნევა ასევე ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიიყენოს პირის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე. საიდუმლოების მფლობელის დაცვა ხდება მის მიერ არა მხოლოდ რაიმე განსაკუთრებული ინფორმაციის (მაგ., ბაზარზე დიდი მოთხოვნილების მქონე საქონლის შემადგენლობა) მფლობელობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არამედ ნებისმიერი მესამე პირების არამართლზომიერი ჩარევისაგან დაცვისათვის. საუბარია კომერციული საიდუმლოების მფლობელის უფლებაზე მისთვის სასურველი რეჟიმის დაცვაზე, ასეთ დროს უზრუნველყოფილია საიდუმლოების სამართლებრივი რეჟიმის არამართლზომიერი დარღვევისაგან დაცვა. კომერციული საიდუმლოების დაცვა არის საიდუმლოების მფლობელის ნორმალური საქმიანობის, ფუნქციონირების დაცვა და არა ავტორობის, გამომგონებლობის და ა.შ. დაცვა. მოცემულ შემთხვევაში კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადების მოთხოვნა არ



ეხება ტექნიკურ მონაცემებს (საიდუმლოების მფლობელს შეუძლია პატენტირების შესაძლებლობის ნაცვლად აირჩიოს მის ხელთ არსებული ტექნიკური ხასიათის მონაცემების საიდუმლო სარგებლობა, ასეთი უპირატესობის დაკარგვის რისკით ნებისმიერი ობიექტურად შემდგარი საიდუმლოების დარღვევის შედეგად. ასეთი არჩევანის მოტივი შეიძლება იყოს ტექნიკური მონაცემების არა-პატენტუნარიანობა ან სხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზი). კომერციულ საიდუმლოებას შეიძლება შეადგენდეს როგორც ტექნიკური (ნახაზი, მოდელი, შტამპი), ასევე საქმიანი (მიწოდების და რეალიზაციის არხები, კლიენტურის სია, ხელშეკრულებები) ხასიათის მონაცემები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს პირისათვის. ინფორმაცია, რომელიც შეადგენს კომერციულ საიდუმლოებას, არის ნებისმიერი ხასიათის მონაცემი (საწარმოო, ტექნიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვ.), მათ შორის, პროფესიონალური საქმიანობის განხორციელების საშუალების შესახებ მონაცემები, რომლებსაც აქვთ მოქმედი ან პოტენციური კომერციული ღირებულება მათი მესამე პირების მიერ არცოდნის გამო და რომელთა მიმართ მესამე პირებს არ აქვთ თავისუფალი წვდომის შესაძლებლობა კანონის საფუძველზე და ამ მონაცემების მიმართ ამოქმედებულია კომერციული საიდუმლოების რეჟიმი. განსახილველ შემთხვევაში კომერციული საიდუმლოების გამოცხადების მოთხოვნა ეხება საქმიანი ხასიათის მონაცემების (დადებული ხელშეკრულებების) კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადებას. ვინაიდან ინფორმაცია, რომლის კონფიდენციალურად ცნობას ითხოვს მოსარჩელე, არის არა პირველადი ანუ არ არის შექმნილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, არამედ ნაწარმოებია, შექმნილია ხელშეკრულების მხარეების მიერ, ხოლო საიდუმლო ინფორმაცია შეიძლება იყოს საჯარო დანესებულებაში არა მხოლოდ შექმნილი, არამედ აგრეთვე მიღებული და დაცული ინფორმაცია (სზაკ-ის 2.1 მუხ. „ნ“ ქვეპუნქტი), შესაბამისად, ინფორმაციის მფლობელები (ხელშეკრულების მხარეები) დამოუკიდებლად წყვეტენ ინფორმაციისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის სტატუსის მინიჭების შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოში ინიცირების საკითხს. კომერციული საიდუმლოება ქმნის კონფიდენციალური ინფორმაციის რეჟიმს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მის მფლობელს შეინარჩუნოს ბაზარზე მდგომარეობა ან მიიღოს სხვა კომერციული მოგება, გაზარდოს შემოსავალი, თავი აარიდოს გაუთვალისწინებელ დანახარჯებს. ინფორმაციის კონფიდენციალობა გულისხმობს კანონის საფუძველზე დადგენილ სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, პირის (მფლობელის) თანხმობის გარეშე მესამე

პირებისათვის გადაცემის აკრძალვას (კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა), პირის (ინფორმაციის მფლობელის) უფლებას დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის საკითხი.

უკვე აღინიშნა, რომ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა საჭიროებს ინფორმაციის მფლობელის ნების გამოხატვას. კომერციული საიდუმლოება, როგორც სამართლით დაცული ობიექტი, არ არსებობს ინფორმაციის მფლობელის გარეშე (ამით განსხვავდება ის ნოუ-ჰაუსგან, რომელიც შესაძლოა არსებობდეს მფლობელისაგან დამოუკიდებლად). საიდუმლოების მფლობელის გამართლებულ პატივსააღებ ინტერესთან და ინფორმაციის გაუზრცელებლობასთან ერთად, საიდუმლო ინფორმაციის ერთ-ერთი ნიშანი არის აგრეთვე მფლობელის ნება დაიცვას ინფორმაციის საიდუმლოება მესამე პირებისაგან. კონფიდენციალობა არის ინფორმაციის თვისება, მისი ნიშანი, რომელიც მიცემულია მისთვის დაინტერესებული პირის მიერ. შესაბამისად, პირის ვალდებულება არ დაუშვას მისი გავრცელება, არის ამ თვისებების შედეგი. მოცემულ შემთხვევაში ინფორმაციის მფლობელი არის არა ერთი, არამედ რამდენიმე პირი (ელექტროენერჯის ნასყიდობის და გატარების ხელშეკრულებების მხარეები). კომერციული საიდუმლოების სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის ბუნებიდან გამომდინარე, ინფორმაციისათვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭება შექმნის ვითარებას, რომლის პირობებში ის იმპერატიული, შესასრულებლად სავალდებულო იქნება იმ პირისთვის, რომელსაც ის წარედგინება (მოცემულ შემთხვევაში კომისიისათვის) და დისპოზიციური იქნება ინფორმაციის წარმდგენი სუბიექტისათვის (მოცემულ შემთხვევაში სს „...“) და იმ პირებისათვის, რომლებსაც ის უშუალოდ ეხება, კერძოდ, ელექტროენერჯის გენერაციის და გატარების სუბიექტებისათვის ანუ სს „...“ მიერ დადებული შესაბამისი ხელშეკრულებების კონტრაპენტებისათვის. უკანასკნელთა მიერ რაიმე დაინტერესება ასეთი ინფორმაციის გასაიდუმლოებით საქმის მასალებით არ იკვეთება, მათ ასეთი ნება-სურვილი არ გამოუთქვამთ, ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადების მოთხოვნით კომისიისათვის განცხადებით არ მიუმართავთ, ისინი საერთოდ არ არიან ჩართულნი საქმეში. შესაბამისად, არ იკვეთება ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადების ძირითადი პირობა – ინფორმაციის მფლობელის ნება. აღნიშნული ეხება ელექტროენერჯეტიკის დერეგულირებულ სფეროში მოქმედ სუბიექტთან დადებულ ხელშეკრულებებსაც, კერძოდ იმ საწარმოებთან დადებულ ხელშეკრულებებს, რომლებიც ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობენ (მცირე სიმძლავრის ელექტრო-

სადგურებს, აგრეთვე 01.08.08წ. შემდეგ აშენებულ ელექტროსადგურებს („ელექტროენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის მე-2 მუხ. „ჯ“ ქვეპუნქტი, 4<sup>9</sup> მუხ.)).

საიდუმლოება გულისხმობს ერთგვარ მონოპოლიას ინფორმაციაზე, ინფორმაციის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას ინფორმაციაზე, მეორე მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა საიდუმლო ინფორმაციის დასაცავად, მათ ეკრძალებათ ამ ინფორმაციის გადაცემა, გამოქვეყნება, ნებისმიერი საშუალებებით გავრცელება. ამასთანავე, მესამე პირებს ევალებათ ამ ინფორმაციის მოპოვებისაგან თავის შეკავება. სწორედ ასეთ სამართლებრივ რეჟიმს ქმნის სანარმოო-კომერციული საიდუმლოება. უკვე აღინიშნა, რომ კომერციული საიდუმლოების დაცვა დისპოზიციურია ინფორმაციის მფლობელისათვის. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ისეთი ინფორმაციის კომერციული საიდუმლოების რეჟიმში დაცვას, ინფორმაციის გავრცელების აკრძალვას, რომელსაც თავად ინფორმაციის მფლობელი ავრცელებს. საიდუმლოება არის ინფორმაცია მისი მფლობელისთვის, მაგრამ მესამე პირების მიმართ საიდუმლოება ენტროპიის, არცოდნის, გაურკვევლობის სახით ავლენს თავს. ამაში ვლინდება საიდუმლოების ფენომენის ორმაგი, პოლარული, ამბივალენტური ხასიათი. უფლება საიდუმლოებაზე მოქმედებს მანამ, სანამ დაცულია ინფორმაციაზე ფაქტობრივი მონოპოლია, აგრეთვე სახეზეა მისი დაცვის კანონით გათვალისწინებული პირობები. მოცემულ შემთხვევაში ინფორმაციის მფლობელი არის არა მხოლოდ სს „...“, არამედ ელექტროენერჯის ნასყიდობისა და გატარების ხელშეკრულებების კონტრაჰენტები, რომლებიც სს „...“ მსგავსად ფაქტობრივად ასევე არიან ინფორმაციის მფლობელები და აღნიშნულის გამო ამ ინფორმაციის კომერციული საიდუმლოების რეჟიმი მათთვის არ არის იმპერატიული. შესაბამისად, არ არის გამორიცხული ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად მისი ხელმისაწვდომობა, ასეთი ინფორმაციის მიმართ ვერ დგინდება შემდგომში საიდუმლოების რეჟიმი. ინფორმაციის მისაწვდომობა უკარგავს მას კომერციული ღირებულების ხარისხს. ინფორმაციაზე მონოპოლიის შენარჩუნება დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა თავად იმ პირზე, რომელმაც უნდა მიიღოს სათანადო ზომები ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვისა და ფაქტობრივი მონოპოლიის შენარჩუნებისათვის. განსახილველ შემთხვევაში ხელშეკრულებებისათვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭება არ იქნება ხელშეკრულებების კონტრაჰენტებისათვის, როგორც ინფორმაციის მფლობელებისათვის, ხელშეკრულებებში ასახული ინფორმაციის (გასაყიდი ელექტროენერჯისა და გატარების მომსახურების ფასის, ოდენობის, ამ ხელშეკრულებებში ასახული სხვა ინფორ-

მაციების) გავრცელების დამაბრკოლებელი გარემოება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ინფორმაციის ერთიანობის, განუყოფლობის თვისებიდან გამომდინარე, მისი გავრცელება აზრს უკარგავს მის დაცვას.

სკ-ის 1105-ე მუხლის თანახმად, მეწარმეს, რომელიც ფლობს საწარმო-კომერციულ საიდუმლოებას (ნოუ-ჰაუს), რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ ან კომერციულ ინფორმაციას, რაც დასტურდება მისი საიდუმლოდ შენახვისათვის განეული აუცილებელი და საკმარისი ღონისძიებით, განსაკუთრებული უფლება აქვს ამ ინფორმაციაზე. სკ-ის 1105-ე მუხლის თანახმად, საწარმო-კომერციული საიდუმლოების მფლობელს, ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტის მფლობელის მსგავსად, გააჩნია მასზე განსაკუთრებული უფლებები. მფლობელის განსაკუთრებული უფლების დასაცავად მფლობელს უნდა ჰქონდეს მიღებული ზომები ინფორმაციის საიდუმლოდ შესანახად. საწარმოს საიდუმლოების მფლობელი უნდა ეცადოს დაიზღვიოს თავი და ნებისმიერ პირთან, რომელსაც ხელი მიუწვდება საიდუმლოებაზე, დადოს ე.წ. ხელშეკრულება საიდუმლოს გაუმჟღავნებლობის შესახებ (ხელშეკრულება კონფიდენციალურობის შესახებ), რომელიც მხარეებს უადვილებს ერთმანეთთან ურთიერთობას, ვინაიდან მათ აღარ მოეთხოვებათ იმის მტკიცება, რომ ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები გააჩნიათ ერთმანეთთან. ასეთი ხელშეკრულება თავისთავად წარმოადგენს ასეთ დასტურს. მხარეებს შორის ასეთი ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში დამრღვევის პასუხისმგებლობა არ დგება. მხარეს არ წარმოუდგენია კონტრაჰენტებთან დადებული კონფიდენციალობის შესახებ ხელშეკრულებები ან ელექტრონული ნასყიდობისა და გატარების ხელშეკრულებები, რომლებიც შეიცავენ კონფიდენციალობის შესახებ დათქმის დებულებებს. ინფორმაციის კონფიდენციალურობის კატეგორიისადმი მიკუთვნება გულისხმობს თავისუფალი შეღწევისაგან დაცვას და მათი დაცვის ეფექტური სისტემის არსებობას. საიდუმლო ინფორმაცია სამართლის დაცვის განსაკუთრებულ ობიექტად იქცევა, საიდუმლოების დაცვის საშუალებანი: საიდუმლოების უფლების აღიარება, საიდუმლოების რეჟიმის დამრღვევის მოქმედების შეწყვეტა, ზიანის ანაზღაურება და სხვ, საშუალებები, რომლებზედაც შესაძლოა მიუთითოს საიდუმლოების მფლობელმა. ხელშეკრულებების კონტრაჰენტების, როგორც ინფორმაციის მფლობელებისათვის, ინფორმაციის გავრცელების აკრძალვის მოთხოვნა ვერ იმოქმედებს, ვინაიდან მათთვის კომერციული საიდუმლოების სამართლებრივ რეჟიმს ვერ ექნება იმპერატიული ხასიათი, შესაბამისად, არ არსებობს გე-

ნერაციისა და გატარების სუბიექტებისათვის ინფორმაციის გამ-  
ჟღავნების აკრძალვის, ასეთი ინფორმაციის გავრცელებისა და გა-  
მოყენებისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების, კონკრე-  
ტული პირების მიმართ სანქციების გამოყენების, მათ შორის, სის-  
ხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების (სისხლის  
სამართლის კოდექსის 202-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსა-  
მართლებრივ პასუხისმგებლობას კომერციული ან საბანკო საიდუმ-  
ლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვების, გახმაურ-  
ების ან გამოყენებისათვის) საფუძველი. დოკუმენტისათვის საი-  
დუმლოს სტატუსის მინიჭება მოითხოვს გავრცელებისათვის პა-  
სუხისმგებლობის, დაცულობის მოთხოვნების ოპტიმალური სის-  
ტემის უზრუნველყოფას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურ-  
დება.

კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურების და მაშასადა-  
მე კონფიდენციალობის დაკარგვის შემთხვევაში, მისი შემდგომი  
დაცვა არ მიიჩნევა „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოება-  
ში“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 26.11.1991წ.  
გადაწყვეტილება „ობსერვერი და გარდიანი გაერთიანებული სა-  
მეფოს წინააღმდეგ“, Observer and Guardian v. the United Kingdom).  
ინფორმაციის პოლარული, ურთიერთსაწინააღმდეგო მდგომარე-  
ობა – ერთი მხრივ, ინფორმაციის საიდუმლოება და მეორე მხრივ,  
საჯაროობა – მკვეთრად ავლენს ინფორმაციის ტრანსფორმირე-  
ბის მიმართულებას – როგორც წესი საიდუმლოებიდან საჯაროო-  
ბისაკენ და არა პირიქით. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულებე-  
ბის კონტრაჰენტების შესაძლებლობა – გაავრცელონ ინფორმაცია  
ხელშეკრულებების შესახებ, არ იძლევა კომერციული საიდუმლო-  
ების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის, მის უზრუნველსაყოფად  
ქმედითი ზომების მიღების შესაძლებლობას.

არ დასტურდება ინფორმაციის გავრცელების გამო მოსარჩე-  
ლისათვის ზიანის მიყენება, კონკურენტუნარიანობის შელახვა,  
რაც წარმოადგენს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გა-  
მოცხადების პირობას. საგულისხმოა, რომ კომისიის მიერ სადავო  
აქტის მიღების მომენტისთვის სს „...“ იყო ერთ-ერთი ყველაზე  
მსხვილი ელექტროენერჯის წარმოებისა და განაწილების კომპა-  
ნია. სს „...“ ელექტროენერჯის ბაზარზე არის დომინანტი სუბიექ-  
ტი, შესაბამისად, მისი კონკურენტუნარიანობის შეზღუდვის მო-  
საზრებებით კომპანიის მიერ დადებული ელექტროენერჯის შეს-  
ყიდვისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კო-  
მერციულ საიდუმლოებად გამოცხადება არ არის დასაბუთებული.  
ზიანის ობიექტად კომპანია უთითებს საწარმოს კონკურენტუნა-  
რიანობას. კომერციული საიდუმლოების დაცვის საჭიროებას სა-

მენარმეო საქმიანობისათვის კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობების შექმნა განაპირობებს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30.2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა, მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით. კონკურენცია არის მეტოქეობა ცალკეულ სუბიექტებს (კონკურენტებს) შორის რაიმე ასპარეზზე უპირატესობის მოსაპოვებლად. ეკონომიკის სფეროში კონკურენცია გულისხმობს მენარმეთა შეჯიბრს საქონლის (მომსახურების) წარმოებისა და გასაღების ხელსაყრელი პირობებისათვის. ანალოგიური შინაარსისაა კონკურენციის ნორმატიული განმარტება, კერძოდ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენცია არის შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. შესაბამისად, კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს საწარმოს უნარს, უზრუნველყოს კომერციული წარმოება გარკვეულ ბაზარზე ისე, რომ გაუძლოს ანალოგიური საქონლის (მომსახურების) საბაზრო კონკურენციას. იმისათვის, რომ მენარმეო გაუძლოს კონკურენციას და იყოს კონკურენტუნარიანი, უნდა უზრუნველყოს მიმწოდებლებისთვის/მომხმარებლებისთვის ბაზარზე მოქმედ სხვა საწარმოსთან შედარებით ხელსაყრელი პირობების შეთავაზება. საქართველოს კონსტიტუციის 30.2 მუხლით დადგენილი აკრძალვა მონოპოლიურ საქმიანობასთან მიმართებით არ არის აბსოლუტური ხასიათის და სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებისათვის ხელშეწყობის ვალდებულების პირობებში ითვალისწინებს მონოპოლიური საქმიანობის გამონაკლის შემთხვევებსაც.

ეკონომიკური თვალსაზრისით კომერციული საიდუმლოება არის საწარმოს უპირატესობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება, კომერციული საიდუმლოების დარღვევა განიხილება როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი. „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, დაუშვებელია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. მოცემულ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები, რომ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორის მნიშვნელოვან ნაწილს ბუნებრივი მონოპოლიები შეადგენს. აღნიშნული განაპირობებს მარეგულირებელი ორგანოს რეგულირების ფუნქციის გაძლიერებას, რაც ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, სამართლიანი მიდგომის პრინციპის დაცვით, უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის მონი-



ტორინგს და მომსახურების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობების რეგულირებას. ამისათვის უნდა განისაზღვროს მომსახურების ხარისხის მონიტორინგის მარტივი და სამართლიანი ნესები, რომლებიც გულისხმობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ტრანსფარენტობის მაღალ ხარისხს. არსებული არაკონკურენტული ბაზრის რეგულირების მექანიზმების გამოყენებით საკანონმდებლო რეგულირება მონოდებულია უზრუნველყოს საქართველოს წყალმომარაგების, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებისა და ტარიფების სისტემების ჩამოყალიბება და ამ საფუძველზე წყალმომარაგების, ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების განსახორციელებლად განეული, ეკონომიკურად მიზანშეწონილი ხარჯების ზუსტი ასახვა ტარიფების სისტემებში, საქართველოს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებისა და ტარიფების სისტემის ჩამოყალიბების უზრუნველყოფა და მათ საფუძველზე სატარიფო რეგულირების სამართლებრივი ბაზის შექმნა, რათა დაიცვას მომხმარებელი მონოპოლიური ტარიფებისაგან და ამავე დროს ხელი შეუწყოს ენერგეტიკის დარგის გრძელვადიან ფინანსურ მდგრადობასა და განვითარებას („ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის 1.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 43-ე მუხ. „ა“ ქვეპუნქტი, სენმეკ-ის 08.06.116. №8 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის“ მე-4 მუხ. „ა“ ქვეპუნქტი).

სს „...ია“ 2007 წლიდან ოპერირებს ქართულ ბაზარზე. სატარიფო დოკუმენტაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის მოთხოვნით ამ კომპანიას კომისიისათვის 2014 წლამდე არ მიუმართავს. შესაბამისად, იდენტური ინფორმაციის საჯაროობის პირობებში სს „...“ რაიმე ზიანი არ მისდგომია და არც მისი კონკურენტუნარიანობის რაიმე ფორმით შეზღუდვას ჰქონია ადგილი. პირიქით, ამ ხნის განმავლობაში სს „...“ ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ელექტროენერჯის წარმოების და განაწილების კომპანიად. სს „...“ მოთხოვნა ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადების შესახებ ემყარება იმ მოსაზრებებს, რომ კომპანიის მიერ ჰესებისაგან შესყიდული ელექტროენერჯის ფასის შესახებ ინფორმაციის მისაწვდომობა შესაძლოა გამოიწვიოს კონკურენტების მიერ ზღვრული ტარიფის ფარგლებში უფრო მაღალი ფასის შეთავაზება, რაც იძულებულს გახდის მას აწიოს შესყიდვის ფასი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტის გამოცემის პერიოდში მოსარჩელე – სს „...“ თავადაც ფლობდა გენერაციის საწარმოებს. გენერაციის საწარმოების კომ-

პანიიდან გამოყოფამდე, სს „ე...“ შექმნამდე (სს „...“ რეორგანიზაციის, კერძოდ, საზოგადოებიდან გაყოფის შედეგად, სს „...“ ერთი იურიდიული პირი – სს „ე...“ გამოიყო, კომპანია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული პირების რეესტრში 23.12.2016წ. დარეგისტრირდა), სს „...“ ფლობდა და ამუშავებდა საშუალო და მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურებს. გენერაციის გარდა სს „...“ არის ელექტროენერჯის დისტრიბუციის ყველაზე მსხვილი კერძო მფლობელი, სს „...“ წარმოადგენს წამყვან ჰიდროენერგეტიკულ ოპერატორს რეგიონში. ამდენად, მსგავსი ინფორმაციის გამჭვირვალობით აქამდე კომპანიას რაიმე სახის ზიანი არ განუცდია, ინფორმაციის გამჭვირვალობას არ გამოუწვევია ბაზარზე კომპანიის კონკურენტუნარიანობის შესუსტება.

მოსარჩელე თავისი მოთხოვნის არგუმენტაციას ძირითადად ამყარებს მცირე გენერაციის საწარმოებთან მის მიერ დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ელექტროენერჯის ნასყიდობის ფასზე უფრო მეტი ფასის კონკურენტების მხრიდან შეთავაზების შესაძლებლობით. თუმცა მოსარჩელის მოთხოვნა ეხება არა მხოლოდ მცირე გენერაციის საწარმოებთან დადებულ ხელშეკრულებებს, არამედ მთლიანად ელექტროენერჯის ყოველგვარი ნასყიდობის და გადაცემის ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობას. სწორედ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა პირველი ინსტანციის სასამართლომ, რომელიც უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს მიერ. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არის წინააღმდეგობრივი, სააპელაციო სასამართლო მსჯელობს მხოლოდ მცირე სიმძლავრის ჰესებისგან ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებების ხელმისაწვდომობით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობაზე მაშინ, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებით, რომელიც უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, ბათილად იქნა ცნობილი სენმეკ-ის სადავო გადანყვეტილების მე-3 პუნქტი არა მცირე სიმძლავრის ჰესებისგან ელექტროენერჯის ნასყიდობისა და გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში, არამედ საერთოდ ყოველგვარი ასეთი ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და კომისიას დაევალა ელექტროენერჯის ნასყიდობისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობა არა გარკვეული, არამედ განუსაზღვრელი ვადით. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, არის ელექტროსადგური, რომ-



ლის საპროექტო სიმძლავრე არ აღემატება 13 მეგავატს. ამავე მუხლის „ჯ“ ქვეპუნქტის თანახმად, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურისათვის დადგენილია დერეგულირების რეჟიმი ანუ ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის უფლების მინიჭება. სააპელაციო პალატამ სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითა მოსარჩელის მიერ მცირე სიმძლავრის ჰესებთან დადებული ხელშეკრულებების პირობები, თუმცა არ დაუდგენია ხელშეკრულების კონტრაჰენტის – მცირე სიმძლავრის ჰესის თანხმობა ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადებაზე, თვით ასეთი ხელშეკრულების დადების ფაქტი მაშინ, როდესაც კომისიის მიერ სადავო აქტის მიღების პერიოდში მოსარჩელეს „...“ იყო მრავალი მცირე და საშუალო ჰესების მეპატრონე. ამასთანავე, ელექტროენერჯის გადაცემის ხელშეკრულებებისათვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭების თაობაზე არც მოსარჩელეს და არც სასამართლოებს რაიმე არგუმენტი არ მოუყვანიათ.

კომისიის გადანყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის საფუძვლად სააპელაციო სასამართლო უთითებს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის მიზანია არა ჰესებისაგან ელექტროენერჯის შესყიდვის ფასის ჯამური ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა, არამედ იმ მონაცემების საიდუმლოდ ცნობა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ თუ კონკრეტულად ვისგან და რა ფასად შეიძინა კომპანიამ ელექტროენერჯია. სააპელაციო პალატის განჩინებაში მოყვანილი აღნიშნული მოტივაცია მიღებულ გადანყვეტილებასთან შეუსაბამოა. უკეთუ მოსარჩელის მიზანი იყო არა ხელშეკრულებების შინაარსის, არამედ მხოლოდ იდენტიფიკაციის დებულებების გასაიდუმლოება, ასეთ შემთხვევაში კომისიისათვის არა ელექტროენერჯის ნასყიდობის და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობა, არამედ ხელშეკრულების დეპერსონალიზაცია, ანუ პირების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე გასაჯაროება, ჰესების მონაცემების კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადება უნდა დაედგინა. ამდენად, გასაჩივრებული განჩინება წინააღმდეგობრივია, განჩინების სამოტივაციო ნაწილში მოყვანილი მოსაზრებები არ შეესაბამება სარეზოლუციო ნაწილის დანაწესს. ამასთანავე, საკასაციო პალატის სხდომაზე კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აქვს არა მხოლოდ ხელშეკრულების კონტრაჰენტების ვინაობის, არამედ აგრეთვე ხელშეკრულებების შინაარსობრივი ნაწილის (შესყიდული ელექტროენერჯის ოდენობის, შესყიდვის ფასის) კონფიდენციალობის მიზანი. მხედველობაშია მისაღები, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი ვრცელდება

ფიზიკურ და არა იურიდიულ პირებზე. საერთო წესის თანახმად, კომერციული საიდუმლოების დაცვა უნდა მოხდეს არა იურიდიული პირის მონაცემების, არამედ საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვით. თუ პერსონალური მონაცემების შემთხვევაში დაცვის ობიექტი შეეხება არა იმდენად ინფორმაციის შინაარსს, არამედ იდენტიფიკაციის მომენტს, პერსონიფიკაციას, კომერციული საიდუმლოების დაცვაში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, არსებითი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის შინაარსს. ამასთანავე, სენმეკ-ის 30.07.2014წ. №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ 26.7 მუხლის მიხედვით, შესაბამისი სატარიფო განაცხადი და თანდართული დოკუმენტები საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის, გარდა იდენტიფიცირებად პირებთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციისა. გარდა ამისა, აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საერთო, ჯამური მონაცემების გამოქვეყნება არ გამორიცხავს, უფრო მეტიც, გულისხმობს ამ მონაცემების სისწორის გადამოწმების შესაძლებლობას, რაც შეუძლებელი იქნება ხელშეკრულებების ტექსტების ხელმიუწვდომლობის პირობებში.

მოსარჩელე დოკუმენტაციისათვის კომერციული საიდუმლოების მინიჭების მოტივად ინფორმაციის შემცველობას ასახელებს, კერძოდ, ნასყიდობის და გატარების მომსახურების ფასს, რომელიც დადგენილი ტარიფებით განისაზღვრება. ენერგეტიკული ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია გამჭვირვალე და სამართლიანი ტარიფების დადგენა. სამართლიანმა ტარიფმა უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, მომსახურების განევასთან დაკავშირებული ხარჯების სრულად ანაზღაურება, ხოლო მეორე მხრივ, მომხმარებლის მიერ მაღალი ხარისხის მომსახურების მიღება სამართლიან და გამჭვირვალე ფასად (საქართველოს პარლამენტის 24.06.15წ. დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“, მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი). კანონმდებლობა ითვალისწინებს ტარიფის ორ სახეობას – ზუსტად განსაზღვრულს და მაქსიმალური ზღვარით განსაზღვრულს. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის 43.11 მუხლის შესაბამისად, იმ ელექტროენერჯის წარმოების ლიზენციატს, რომელიც ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსით“ მიჩნეულია ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მარეგულირებელ სადგურად, უდგინდება კანონით გათვალისწინებული ფიქსირებული ტარიფი. სენმეკ-ის 04.12.08წ. №33 დადგენილებით განსაზღვრუ-

ლია არა მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებულ ელექტროენერჯის გასაყიდი ზღვრული ტარიფები (ზედა ზღვარი), არამედ აგრეთვე თბოელექტროსადგურების ელექტროენერჯის წარმოების ზუსტად განსაზღვრული ტარიფები (მე-2 მუხ.) და საქართველოს ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მარეგულირებელ სადგურად მიჩნეული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიატების ფიქსირებული ტარიფები (მე-3 მუხ.), რაც წარმოადგენს ნორმატიული აქტით აღიარებულ საჯარო, საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას. ტარიფის შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აღიარებულ საჯარო ინფორმაციას და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. აღნიშნულის მიუხედავად, კომისიას დაევალა ელექტროენერჯის შესყიდვის ყველანაირი ხელშეკრულების, მათ შორის, ნორმატიულად განსაზღვრული ინფორმაციის, კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადება.

კომისიის 04.12.08წ. №33 დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ამჟამად მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს სს „...ას“ მიერ გამანაწილებელი ქსელით ელექტროენერჯის გატარების არა ზღვრულ, არამედ ზუსტად ფიქსირებულ ტარიფებს, რომლის გაანგარიშება სენმეკ-ის 30.07.14წ. №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის განაწილების, გატარებისა და მომსახურების ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ მე-15 მუხლის თანახმად, ხდება განსაზღვრული ფორმულით. გატარების ტარიფები იანგარიშება განაწილების ლიცენზიატის მიერ გატარების მომსახურებაზე განეული ხარჯებისა და გატარების ელექტროენერჯის რაოდენობის საფუძველზე („ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის 43.7 მუხ.). ტარიფები მტკიცდება კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით („ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი), ქვეყნდება ოფიციალურ გამოცემაში, სავალდებულოა შესასრულებლად, მისგან განსხვავებულ ტარიფზე შეთანხმება ხელშეკრულების მხარეებს შორის არ დაიშვება. ელექტროენერჯის გატარების ტარიფის ანუ განაწილების ლიცენზიატის მიერ ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის მეშვეობით სხვისი კუთვნილი ელექტროენერჯის გატარებაზე განეული მომსახურების ფასის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ზუსტად ფიქსაცია გამორიცხავს ხელშეკრულების მხარეების მიერ მის შეცვლას. შესაბამისად, არ არის დასაბუთებული ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე კომისიის სადავო აქტის ბათილად ცნობა და კომისიისათვის ასეთი ინფორმაციის კომერციულ საი-

დუმლოებად გამოცხადების შესახებ აქტის გამოცემის დავალება. ზუსტად განსაზღვრული ტარიფის ასახვა გატარების ხელშეკრულებაში არ უკავშირდება კონკურენტულ უპირატესობას ან ამ უპირატესობის დაკარგვას.

რაც შეეხება ზღვრული ტარიფის ფარგლებში ელექტროენერჯის შესყიდვის ფასებს, ტარიფების გაანგარიშებისას კომისია ხელმძღვანელობს სანარმოს მიერ შესყიდული და განაწილებული ელექტროენერჯის რაოდენობის ფაქტობრივი მონაცემებით, განაწილების ლიცენზიატის მიერ შესასყიდი ელექტროენერჯის საშუალო შენონილი ფასის განსაზღვრისათვის სანარმო ვალდებულია კომისიას წარუდგინოს ელექტროენერჯის კონკრეტული წყაროებიდან შესყიდვის სავარაუდო რაოდენობა და ფასი, აგრეთვე ელექტროენერჯის შესყიდვასთან დაკავშირებული სხვა საპროგნოზო დანახარჯები, როგორცაა გადაცემის, დისპეტჩერიზაციის მომსახურებასა და გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები (სენმეკ-ის 30.07.14წ. №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის განაწილების, გატარებისა და მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ მე-17 მუხ.). სზაკ-ის 10.1 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. სადავო აქტის მიღების დროს მოქმედი კომისიის 08.06.11წ. №8 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყველა დაინტერესებული პირი უფლებამოსილია გაეცნოს კომისიაში წარმოდგენილ მასალებს და აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიას წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები. ამდენად, ტარიფებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს. „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტების თანახმად, კომისია სატარიფო განაცხადის განხილვისას და ტარიფის დადგენისას ეყრდნობა დასაბუთებულ სატარიფო განაცხადს. სატარიფო განაცხადის დასაბუთებულობის გარკვევამ შესაძლოა საჭირო გახადოს განუული დანახარჯების, შესყიდვების რაოდენობის და მასასადამე ხელშეკრულებების გაცნობა.

იმის გათვალისწინებით, რომ დავა ეხება არა მხოლოდ დერეგულირებულ, არამედ რეგულირებად სფეროსაც, ზოგადად შესყიდული და გატარებული ელექტროენერჯის შესახებ ინფორმაციას, შესაბამისად დავის გადანყვეტა საჭიროებს ენერჯეტიკის მომწესრიგებელი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გათვა-

ლისწინებას. სზაკ-ის 27<sup>2</sup> მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ინფორმაციის ლიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. კომისიის 07.08.03წ. №12 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულების“ 11.1 მუხლი, სზაკ-ის 2.1 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის გამომრიცხავ გარემოებად ასევე ითვალისწინებს ისეთ გარემოებას, როდესაც ინფორმაციის ლიაობის ვალდებულება დადგენილია კანონმდებლობით.

საიდუმლოების დაცვაში კანონმდებელი იყენებს ღირებულებათა შეფასების მეთოდს, პრიორიტეტთა გარკვეულ სისტემას, პროპორციულობას, მოქმედებს უკიდურესი აუცილებლობის პრინციპი: ნაკლები სოციალური ღირებულება უფრო მნიშვნელოვანი სოციალური ღირებულების დაცვას ენიჭება (სზაკ-ის 99.2 მუხ.). ინფორმაციის საიდუმლოდ გამოცხადების უფლებას უპირისპირდება ადმინისტრაციული წარმოების ინფორმაციის საჯაროობის ვალდებულება, რომელიც ემსახურება საქმიანობის გამჭვირვალობას და მოქალაქეთა ინტერესების დაცვას. კომისიის ამოცანას შეადგენს მათ შორის ბალანსის დაცვა, ინტერესთა პროპორციულობის უზრუნველყოფა („ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხ.). კომპანიის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ობიექტურობის, სატარიფო განაცხადის შესაბამისობის დადგენა, ნორმატიული აქტის მიღებით ტარიფის განსაზღვრა სენმეკ-ის კომპეტენციის უმნიშვნელოვანესი ასპექტთაგანია, რომლის სამართლებრივი შედეგი აისახება კომისიის საქმიანობაზე, მომხმარებლის უფლებების დაცვაზე, სამართლიანი წესრიგის უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, ოპტიმალური, პროპორციული ტარიფის განსაზღვრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესის გამჭვირვალობას. ტარიფთან დაკავშირებული წარმოება განსაკუთრებულ საჯარო ინტერესს იწვევს და ამ წარმოების დროს მოსარჩელის მიერ წარდგენილი ინფორმაციის გასაიდუმლოებამ შესაძლოა მიაყენოს ზიანი მომხმარებელს, რომელიც არის ელექტროენერჯის მომხმარებელი და დაინტერესებულია რაციონალური, ობიექტური, გონივრული ტარიფის დადგენაში. ელექტროენერჯის ღირებულება არის ქვეყანაში წარმოებული საქონლის ყველა სახეობის ფასების სტაბილიზაციის ძირითადი ფაქტორი, ვინაიდან ელექტროენერჯიაზე დანახარჯები ნებისმიერი წარმოების დანახარჯებში შედის. ელექტროენერჯის ობიექტური ფასი, რა-

ციონალური ტარიფი, ხელს უწყობს არა მხოლოდ ენერგეტიკული დარგის, არამედ აგრეთვე მთლიანად ეკონომიკის განვითარებას. ელექტროენერჯის ბაზარზე სუბიექტებს შორის ურთიერთობა უნდა აიგოს თანამშრომლობისა და ნდობითი (ფიდუციალური) ურთიერთობების საფუძველზე, ასეთი ურთიერთობის აგება შეუძლებელია გამჭვირვალობის, ინფორმაციის მისაწვდომობის გარეშე.

ელექტროენერჯის ნასყიდობისა და გატარების ტარიფები აისახება ელექტროენერგეტიკის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების მიერ დადებულ ხელშეკრულებებში. სენშეკ-ის 30.07.2014წ. №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ 3.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამჭვირვალე, სტაბილური და სამართლიანი სატარიფო განაკვეთების დანესება. მეთოდოლოგიის 26-ე მუხლის, ასევე სზაკ-ის 103-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის შესაბამისად, სრულყოფილად წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიღების შემდეგ ან კომისიის ინიციატივით ტარიფის გადახედვის შემთხვევაში კომისიის, როგორც კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს, გადანყვეტილებით იწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და შესაბამისი ცნობა ქვეყნდება კომისიის ვებგვერდზე. სატარიფო განაცხადის განხილვა მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით („ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონის 4.5 მუხ.). ყველა დაინტერესებული პირი უფლებამოსილია გაეცნოს კომისიაში წარდგენილ საჯაროდ ხელმისაწვდომ მასალებს და აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიას წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები (სზაკ-ის 106<sup>4</sup>, 117-ე მუხ.). ეროვნული მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია სზაკ-ის IX თავით დადგენილი წესით მოახდინოს საჯარო განხილვები სალიცენზიო და სატარიფო უფლებამოსილებების განხორციელების თაობაზე. ასეთი პროცედურის გარეშე გადანყვეტილების მიღება იწვევს აღნიშნული გადანყვეტილების ბათილობას. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს გადანყვეტილებები ქვეყნდება დადგენილი წესით. ეროვნული მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია შეინახოს სხდომების ოქმები და სხვა სათანადო დოკუმენტაცია არანაკლებ 7 წლით. კომისიის წევრსა და დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლად მიიღონ შესაბამის ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოში არსებული ყველა ჩანაწერი და სხვა დოკუმენტი. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ყველა გადანყვეტილება, ჩანაწერი და სხვა დოკუმენტი ხელმისაწვდომია საჯარო განხილვისათვის. ელექტროენერჯის შესყიდვისა და ელექტროენერჯის გადაცემის ხელშეკრულებ



ბების კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადება უცილობლად გამოიწვევს ამ დოკუმენტის, მასში ასახული ინფორმაციის, რომელიც ტარიფის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, კომისიის საჯარო სხდომაზე განხილვის შეუძლებლობას, ვინაიდან „ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შესახებ“ კანონის 4.5 მუხლის შესაბამისად, ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მიზნით იმართება დახურული სხდომები.

სენშეკ-ის 18.09.08წ. №23 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესების“ მე-3 მუხლის თანახმად, მენარმე ვალდებულია ყოველწლიურად კომისიას წარუდგინოს საქმიანობის – მომსახურების პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება, რომელიც სხვა ინფორმაციასთან ერთად, კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა შეიცავდეს მის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებს. საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 30.08.06წ. №77 ბრძანებულებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, კვალიფიციური სანარმოები ვალდებული არიან გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც ამ წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიჩნეულია ღია ინფორმაციად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ითვალისწინებს მესამე პირებისათვის ამ ინფორმაციის მიუწოდებლობის პირობას. წესების თანახმად, ღია ინფორმაციად მიიჩნევა: შესყიდული და გაყიდული ელექტროენერჯის მოცულობები – ელექტროენერჯის ფასის მითითებით; შესყიდული საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობისა და ფასების შესახებ; ელექტროენერჯეტიკულ სისტემაში წინასწარ გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულების გარეშე არსებული ელექტროენერჯის მოცულობისა და გამყიდველის მხრიდან შემოთავაზებული ფასის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადების მოთხოვნის საჯარო დანაწესთან, ნორმატიული აქტებით დადგენილი ინფორმაციის ღიაობის, მისაწვდომობის რეჟიმთან შესაბამისობა არ არის დასაბუთებული. სენშეკ-ის 18.09.08წ. №23 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესების“ 2.2 მუხლის მიხედვით, მენარმე ვალდებულია ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში საქმიანობა წარმართოს „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესა-

ხებ“ კანონის, მის შესაბამისად გამოცემული სამართლებრივი აქტების, მათ შორის კომისიის მიერ მიღებული დადგენილების, გადაწყვეტილებისა და სხვა სახის მოთხოვნების შესაბამისად. ელექტროენერჯის მომხმარებელს აქვს უფლება იცოდეს კომპანიის მიერ დადგენილი ტარიფის წარმომავლობის წყაროს, მისი შემადგენელი ნაწილების შესახებ ინფორმაცია. ამდენად, სატარიფო რეგულირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს – უზრუნველყოს ინფორმაციის გამჭვირვალობა მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რამდენადაც ელექტროენერჯის საფასურის რეგულარულ გადამხდელს – მომხმარებელს უფლება აქვს იცოდეს დადგენილი ტარიფის წარმომავლობის წყარო. მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება ნორმატიული დანაწესებით არის დადგენილი.

ამდენად, კომერციულ საიდუმლოებად ინფორმაციის გამოცხადების მოთხოვნა უნდა ემყარებოდეს გამართლებულ ეკონომიკურ, პატივსადაც ინტერესს და უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ საჯარო წესრიგს, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მოთხოვნილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადების არგუმენტაციას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაედო პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ კომისიის სადავო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც სს „...“ უარი ეთქვა ელექტროენერჯის ნასყიდობისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად სასამართლოს არ აქვს მოყვანილი რაიმე არგუმენტი, სასამართლო არ უთითებს, თუ კონკრეტულად მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ რომელ სამართლებრივ ნორმებს ეწინააღმდეგება კომისიის უარი. ქვედა ინსტანციების სასამართლოებს დავა გადაწყვეტილი აქვთ ენერგეტიკის სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობის გამოყენების გარეშე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არის დაუსაბუთებელი, განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, სახეზეა საკასაციო საჩივრის სსკ-ის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი – გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 412-ე მუხ-



ლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად არის გასაჩივრებულ-  
ლი განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის  
დაბრუნების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ უნდა გაით-  
ვალისწინოს ყოველივე ზემოაღნიშნული, სათანადო სამართლებ-  
რივი შეფასება მისცეს საქმის გარემოებებს და გამოიტანოს კანო-  
ნიური გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-  
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწი-  
ლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-  
ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულ-  
ირებელი ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილ-  
დეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაც-  
იულ საქმეთა პალატის 12.11.2015წ. განჩინება და საქმე ხელახა-  
ლი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქ-  
მეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-  
რდება.

**საჯარო ინფორმაციის გაცემა სახელმწიფო  
შესყიდვებთან დაკავშირებით**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-286-284(კ-17)

14 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 16 ივნისს ა(ა)იპ ... სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მან 2015 წლის 10 მარტს №OPD03/15-015 განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოითხოვა სამინისტროს (გარდა სსიპ-ებისა და საქვეუწყებო დაწესებულებებისა) საქმიანობასთან დაკავშირებული, საჩივრის №1 დანართში მითითებული საჯარო ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნული წერილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2015 წლის 12 მარტს ჩაჰბარდა, თუმცა მასზე პასუხი არ გაუცია. 2015 წლის 14 აპრილს მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და ა(ა)იპ ... 2015 წლის 10 მარტის №OPD03/15-015 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა მოითხოვა. ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ჩაჰბარდა 2015 წლის 14 აპრილს, თუმცა არც ამ საჩივარს მოჰყოლია რაიმე რეაგირება.

ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის საჯარო ინფორმაციის, კერძოდ, 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების, სრულყოფილი სახით, გაცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ... სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 10 მარტს ა(ა)იპ ... განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოითხოვა სამინისტროს (გარდა სსიპ-ებისა და საქვეუწყებო დაწესებულებებისა) საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საჯარო ინფორმაციის მიწოდება: 1. 2014 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით; 2. 2014 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით; 3. 2014 წელს მინისტრის მოადგილეებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების ასლები; 4. 2014 წელს განეული წარმომადგენლობითი ხარჯები (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის და ადგილის მითითებით); 5. 2014 წელს თანამდებობის პირების (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) მიერ ე.წ. „როუმინგულ“ მომსახურებაზე განეული ხარჯები; 6. 2014 წელს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე განეული სამივილინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით; 7. 2014 წელს გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვების სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით; 8. 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები; 9. 2014 წელს შესყიდული ავტომობილების ჩამონათვალი (ავტომობილის მოდელის, ავტომობილის გამოშვების წელის, შესყიდვის თარიღის და შესყიდვის ფასის მითითებით); 10. იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების სია, რომელიც 2014 წელს სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით ჩანაცვლდა (თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით); 11. 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი და შესრულებული პროექტების ჩამონათვალი თითოეულზე

გამოყოფილი და ათვისებული თანხის მითითებით; 12. 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პროექტების წარმატების შეფასების ინდიკატორები (არსებობის შემთხვევაში) და მიღებული შედეგები; 13. 2014 წელს განხორციელებული აუდიტორული შემოწმების (შიდა, გარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტები; 14. 2015 წლის 10 მარტის მდგომარეობით, შტატით გათვალისწინებულ და შტატგარეშე თანამშრომელთა (ცალ-ცალკე) რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა); 15. 2015 წლის 10 მარტის მდგომარეობით, ხელმძღვანელ პოზიციებზე (განყოფილების უფროსი და ზემოთ) დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა); 16. 2014 წელს განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა განთავისუფლების მიზეზების მიხედვით; 17. 2013-2014 წლებში დასაქმებული და განთავისუფლებული თანამდებობის პირების სამუშაო გამოცდილების (CV) შესახებ ინფორმაცია.

2015 წლის 14 აპრილს ა(ა)იპ ... ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და ა(ა)იპ ... 2015 წლის 10 მარტის №OPD03/15-015 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა მოითხოვა.

სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო ინფორმაცია, თუ ის არ წარმოადგენდა საიდუმლო ინფორმაციას, ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო. ინფორმაციის თავისუფლების აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი განმტკიცებული იყო საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით, რომლითაც დადგენილი იყო, რომ საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება ჰქონდა კანონით დადგენილი წესით გაცნობოდა სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავდნენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იყო ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელი იყო სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი განამტკიცებდა „ოფიციალური დოკუმენტის“ და „ოფიციალური ჩანაწერის“ (თავისი შინაარსით, იდენტიფიკაციის ცნებებია) ხელმისაწვდომობას ნებისმიერი მსურველისათ-

ვის, თუ ის არ შეიცავდა საიდუმლო მონაცემებს.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტიზირებული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავში (ინფორმაციის თავისუფლება). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი იმეორებდა კონსტიტუციურ ნორმას, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. თავის მხრივ, საჯარო ინფორმაციის ლეგალურ დეფინიციას იძლეოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების მიწოდება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ელექტრონული დოკუმენტი წარმოადგენდა ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილ, გაგზავნილ, მიღებულ ან შენახულ წერილობით ინფორმაციას, რომელიც ადასტურებდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს. ამავე მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მატერიალური დოკუმენტი იყო ქაღალდზე ან სხვა მატერიალურ მატარებელზე წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს. ამდენად, ელექტრონული დოკუმენტი მატერიალური დოკუმენტისაგან განსხვავდებოდა მხოლოდ არსებობის ფორმით, ხო-

ლო მათი შინაარსობრივი განმარტება იდენტური იყო. სასამართლოს მოსაზრებით, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური დოკუმენტი, საჯარო ინფორმაციისათვის დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა, თუ იგი წარმოადგენდა ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის დამუშავების, შენახვის, დაცვის და ა.შ. ვალდებულება კანონმდებლობით დაკისრებული ჰქონდა საჯარო დაწესებულებას.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მიუთითებდა, რომ რამდენადაც მის მიერ მოთხოვნილი, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი და მიღებული, ინფორმაცია არ შეიცავდა სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ ან პირად საიდუმლოებას, მოქმედი კანონმდებლობით მიჩნეული იყო ღია საჯარო ინფორმაციად და ექვემდებარებოდა გაცემას. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება და განმარტა, რომ ინფორმაციის საჯარო ინფორმაციად არსებობისათვის აუცილებელი იყო დადგენილიყო ყველა სავალდებულო ელემენტის არსებობა, კერძოდ, ინფორმაცია უნდა ყოფილიყო სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი და ამასთან, ამ ინფორმაციას უნდა ჰქონოდა ოფიციალური დოკუმენტის სახე. ელექტრონული ფოსტა, თავისი არსით, არაფორმალური კომუნიკაციის საშუალებაა და წარმოადგენდა დროებით ჩანაწერს, რომელიც გამოიყენებოდა შუალედური ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით და მასში გადაწყვეტილებები არ იყო დაცული. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია არ ადასტურებდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს, არ წარმოადგენდა რაიმე ოფიციალური ხასიათის გადაწყვეტილების შემცველ ინფორმაციას/დოკუმენტს. ამგვარ ინფორმაციას საერთოდ არ ჰქონდა დოკუმენტის სახე. შესაძლებელია, ის შეიცავდა საქმესთან დაკავშირებულ ფასეულობას, მაგრამ საჯარო დაწესებულების უფლებამოსილ პირს მისი შენახვის ვალდებულება არ წარმოემოხრებოდა. ელექტრონული ფოსტა, რომლის გაგზავნაც კანონმდებლობით დადგენილი უფლების რეალიზების ან ვალდებულების შესრულების მიზანს არ ემსახურებოდა და არ აისახებოდა ოფიციალურ დოკუმენტში, არ ჩაითვლებოდა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებად. თავის მხრივ, აღსანიშნავი იყო, რომ ელექტრონული ფოსტა, როგორც წერილობითი კომუნიკაციის საშუალება ორ ან მეტ პირს შორის, დაცული იყო საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით, რაც გულისხმობდა კომუნიკაციის თავისუფლების დაცვას გარეშე პირთა არასასურველი ჩარევისაგან. კომუნიკაციის თავისუფლება ინდივიდს აძლევდა შესაძლებლობას, თავად განესაზღვრა კომუნიკაციის შინაარსი და პარტნიორი. ტექნიკური საშუალებით საუბრისა

და ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობის უფლებით დაცული იყო კომუნიკაციის ორივე პარტნიორი მათ ერთობლიობაში. შესაბამისად, ელექტრონული მიმონერის შინაარსის გაცნობა/გამჟღავნება, ანუ დაცულ სფეროში ჩარევა ვერ განხორციელდებოდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთ-ერთი მიმონერის მხარე გარეშე პირს აძლევდა კომუნიკაციის შინაარსის გაცნობის უფლებას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო საქმისწარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით გამოეყენებინა პროგრამული უზრუნველყოფა და მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები; ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიეღო, გამოეცა ან გაეცა მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით, თუკი დაინტერესებული პირის მიერ არჩეული არ იყო ამ თავით განსაზღვრული ინფორმაციის მიღების სხვა ფორმა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო ელექტრონული ასლის სახით შეენახა და გაეცა თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი. დოკუმენტის ელექტრონულ ასლსა და მის ამონაბეჭდს ჰქონდა ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც ამ დოკუმენტს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ ან გაცემულ დოკუმენტში მონაცემები შეიძლება შეტანილი ყოფილიყო მექანიკური ან/და ელექტრონული საშუალებებით. განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დანერგილი იყო დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, რომელშიც რეგისტრირდებოდა უწყების მიერ მომზადებული ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, შიდა რგოლის თანამშრომლების მიერ მომზადებული გადაწყვეტილებები. შესაბამისად, იმ პირობებში, როცა საჯარო ინფორმაციას წარმოადგენდა დოკუმენტის მხოლოდ საბოლოო სახე, რომელიც აისახებოდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში და არა მის შესაქმნელად წარმოებული მოსამზადებელი (სამუშაო) მასალა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი და მიღებული წერილები არ წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას, რის გამოც მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მოკლებული იყო განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა(ა)იპ ..., რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.



თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 დეკემბრის განჩინებით ა(ა)იპ ... სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას მიუთითა მათზე და დამატებით სააპელაციო პალატამ საჭიროდ მიიჩნია, საჯარო ინფორმაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების ანალიზის საფუძველზე, დაედგინა, კონკრეტულ შემთხვევაში, აპელაციის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაუცემლობის კანონიერების საკითხი. ამისათვის პალატამ, პირველ რიგში, მიუთითა საქართველოს კონსტიტუციაზე, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების მაღალ გარანტიებს შეიცავდა, კერძოდ, აღნიშნულის მარეგულირებელი ნორმები მოცემული იყო კონსტიტუციის 24-ე და 41-ე მუხლებში. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი იყო, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა იძლეოდა შესაძლებლობას ნებისმიერი პირისათვის, რათა მას ნებისმიერი (კანონიერი) საშუალებით მიეღო და გაეცვრცელებინა ინფორმაცია. აღნიშნული უფლების განხორციელება, ძირითადად, თვითონ უფლებამოსილი სუბიექტის აქტივობაზე იყო დამოკიდებული, სახელმწიფოს ამ შემთხვევაში მხოლოდ ის ვალდებულია ეკისროდა, რომ ხელი არ შეეშალა პირისთვის, მიეღო ინფორმაცია, გამოეთქვა თავისი მოსაზრება, აგრეთვე არ შეეზღუდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცენზურის დანესებით. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის №2/3/364 გადაწყვეტილება.) ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენდა საჯარო დანესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვა, სააპელაციო სასამართლო სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელ კონკრეტულ ნორმად, უპირველესად მიიჩნევდა კონსტიტუციის 41-ე მუხლს, რომლითაც უზრუნველყოფილი იყო საჯარო დანესებულებებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დანესებულებებში მასზე არსებულ ინ-



ფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში (№2/3/364) განმარტა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი ღიად მიიჩნევს სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ ოფიციალურ ინფორმაციას და ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აძლევს მათი გაცნობის შესაძლებლობას, სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობა ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი პირობაა. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას, გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.“

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ როგორც ელექტრონული, ისევე მატერიალური დოკუმენტი, საჯარო ინფორმაციისათვის დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა, თუ იგი წარმოადგენდა ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის დამუშავების, შენახვის, დაცვის და ა.შ. ვალდებულება კანონმდებლობით ეკისრება საჯარო დაწესებულებას. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულებებისათვის, გაეცა საჯარო ინფორმაცია, მოთხოვნილ ინფორმაციას უნდა ჰქონოდა მატერიალური ხასიათი და დაცული უნდა ყოფილიყო საჯარო დაწესებულებაში, ამასთან, აუცილებელი იყო, კონკრეტულ საჯარო დაწესებულებას ჰქონოდა მოთხოვნილი სახით ინფორმაციის მოძიებისა და შექმნის ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან განხორციელებული გზავნილების საჯარო ინფორმაციად მიჩნევა თავისთავად არ იყო დაკავშირებული მხოლოდ მასში დაცული ინფორმაციით წარმოშობილ სამართლებრივ შედეგთან. პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ ელექტრონული ფოსტა, თავისი არსით, არაფორმალური კომუნიკაციის საშუალება იყო და წარმოადგენდა დროებით ჩანაწერს, რომელიც გამოიყენებოდა შუალედური ინფორმაციის ურთიერ-

თვაცვლის მიზნით და მასში გადაწყვეტილებები არ იყო დაცული. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია არ ადასტურებდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს, არ წარმოადგენდა რაიმე ოფიციალური ხასიათის გადაწყვეტილების შემცველ ინფორმაციას/დოკუმენტს. ამგვარ ინფორმაციას საერთოდ არ ჰქონდა დოკუმენტის სახე. შესაძლებელია, ის შეიცავდა საქმესთან დაკავშირებულ ფასეულობას, მაგრამ საჯარო დანესებულების უფლებამოსილ პირს მისი შენახვის ვალდებულება არ წარმოემოხდა. ელექტრონული ფოსტა, რომლის გაგზავნაც კანონმდებლობით დადგენილი უფლების რეალიზების ან ვალდებულების შესრულების მიზანს არ ემსახურებოდა და არ აისახებოდა ოფიციალურ დოკუმენტში, არ ჩაითვლებოდა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა(ა)იპ ..., რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, გასაჩივრებული განჩინება ეფუძნება სადავო საკითხის მარეგულირებელი ნორმების არასწორ ინტერპრეტაციას და არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული. იგი მიუთითებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს შესყიდვების სრულ პროცესს, ბაზარზე ფასთა კვლევებიდან დაწყებული შესაბამისი მომსახურების თუ საქონლის მომწოდებელ პირთან ხელშეკრულების გაფორმებით დამთავრებული. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ გამოიყენება სწორედ ფასთა კვლევის მიზნით. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე უარი, ... უზღუდავს უფლებას, განახორციელოს დემოკრატიულ საზოგადოებაში მონიტორინგის ფუნქცია.

კასატორი მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია განმარტებულია, როგორც „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები), ანუ საჯარო დანესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დანესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დანესებუ-

ლების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია“. აღნიშნულ დანაწესზე დაყრდნობით, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა განმარტეს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება ინფორმაციის გაცემის ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ორი კუმულაციური პირობა: 1) ინფორმაცია არის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი; 2) ინფორმაციას აქვს ოფიციალური დოკუმენტის სახე. კასატორის მოსაზრებით, საჯარო ინფორმაციის განმარტების აღნიშნული ინტერპრეტაცია ეწინააღმდეგება საჯარო ინფორმაციის იმ მნიშვნელობას, რომელიც მას კანონმდებელმა მიანიჭა.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებულ განჩინებაში სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა დაკავშირებულია კონსტიტუციის მე-20 მუხლთან (პირად ცხოვრებასთან). მითითებული ნორმის თანახმად, „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინებები ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას“. აღნიშნული ნორმა წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დამდგენ კონსტიტუციურ გარანტიას. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს, რამდენად ხვედბა პირადი ცხოვრების დაცულ სფეროში სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით წარმოებული კომუნიკაცია, რომელიც უკავშირდება გამარტივებულ შესყიდვებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სამსახურიდან გაგზავნილი და მიღებული მეილები შესაძლებელია მოექცეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ქვეშ, თუმცა იმ შემთხვევებში, როცა პირის საქმიანობა ხორციელდება საცხოვრებელი ადგილიდან ან სამუშაო ადგილიდან და აქვს პირადი ხასიათი. კასატორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ინფორმაციის გაცემა 2015 წელს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების შესახებ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შეს-

წავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული და-საბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტი-ვეების შემონმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ ... საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გან-ჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა(ა)იპ ... სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხ-ლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩა-ითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმე-ბის აბსოლუტური საფუძვლები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხ-ლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყ-ვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხ-ლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქ-მის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბ-რუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა(ა)იპ ... 2015 წლის 10 მარტს №OPD03/15-015 განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოითხოვა სამინისტროს (გარდა სსიპ-ებისა და საქვეუწყებო დაწესებულებებისა) საქმიანობასთან დაკავშირებუ-ლი, საჩივრის №1 დანართში მითითებული საჯარო ინფორმაციის მინოდება. აღნიშნული წერილი საქართველოს იუსტიციის სამინისტ-როს 2015 წლის 12 მარტს ჩაჰბარდა, თუმცა მასზე პასუხი არ გაუ-ცია. 2015 წლის 14 აპრილს მოსარჩელემ ადმინისტრაციული საჩივ-რით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და ა(ა)იპ ... 2015 წლის 10 მარტის №OPD03/15-015 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა მოითხოვა. ადმინისტრაციული სა-ჩივარი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ჩაჰბარდა 2015 წლის 14 აპრილს, თუმცა არც ამ საჩივარს მოჰყოლია რაიმე რეაგი-რება. ამის შემდეგ ა(ა)იპ ... სასარჩელო განცხადებით მიმართა თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს და საქართველოს იუსტიციის სა-მინისტროსათვის საჯარო ინფორმაციის, კერძოდ, 2015 წელს სა-ქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბა-მისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოს-ტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელ-მწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების, სრულყოფილი სახით, გაცემის დავალება მო-ითხოვა.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვა (ქმედების განხორ-

ციელება) და შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია სასარჩელო განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაუცემლობის კანონიერების საკითხის დადგენა.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით, გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. ამავე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საიდუმლო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა ემყარება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლს და მოსარჩელის მიზანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის მის მიერ 2015 წლის 10 მარტის №OPD03/15-015 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის – 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუღებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გაცემის დავალება. ე.ი. მოსარჩელე მოითხოვს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოსგან, რომელიც ეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილ და მიღებულ წერილებს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მო-

სარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსსა და საჯაროობის მნიშვნელობაზე და განმარტავს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე და ამ კანონის ერთ-ერთი მიზანი და ფუძემდებლური პრინციპია სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა (მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი). საკასაციო სასამართლო იზიარებს კასაციის მოტივს იმასთან დაკავშირებით, რომ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ, როგორც წესი, გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ფასთა კვლევის მიზნით. ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა კი მნიშვნელოვანია, როცა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვები. ე.ი. როდესაც კანონი უშვებს სახელმწიფო ბიუჯეტის თანხის განკარგვას ნაკლები საჯარო მონიტორინგის პირობებში. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე უარი კი კასატორს უზღუდავს უფლებას, განახორციელოს დემოკრატიულ საზოგადოებაში უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი მონიტორინგის ფუნქცია, რაც ხაზგასმულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში (TAZC v. Hungary), სადაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო უწყებების მხრიდან ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა მათი „საზოგადოებრივი მეთვალყურის“ ფუნქციებში ჩარევას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის იმ ნაწილში, სადაც იგი განმარტავს, რომ ელექტრონული ფოსტა, თავისი არსით, არაფორმალური კომუნიკაციის საშუალებაა და წარმოადგენს დროებით ჩანაწერს, რომელიც გამოიყენება შუალედური ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით და მასში გადაწყვეტილებები არ არის დაცული; ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია არ ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს, არ წარმოადგენს რაიმე ოფიციალური ხასიათის შემცველ ინფორმაციას/დოკუმენტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნული მსჯელობის საპირისპიროდ განმარტავს, რომ ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაციის ამგვარი ინტერპრეტაცია ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით განმარტებული საჯარო ინფორმაციის იმ მნიშვნელობას, რაც მას კანონმდებელმა მიანიჭა. მოცემული ნორმა „ოფიციალურ დოკუმენტს“ განმარტავს, როგორც სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებულ, დამუშავებულ, შექ-



მნილ ან გაგზავნილ ინფორმაციას. ამასთან, მითითება იმაზე, რომ საჯარო ინფორმაციას ანუ ოფიციალურ დოკუმენტს წარმოადგენს პროაქტიულად გამოქვეყნებული მონაცემები, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სავალდებულო არ არის ასეთი დოკუმენტი წარმოშობდეს რაიმე სამართლებრივ შედეგს ან გააჩნდეს მატერიალური დოკუმენტის რეკვიზიტები. ამდენად, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ამგვარი ინფორმაცია არ ექცევა ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრულ კატეგორიაში, ვინაიდან სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია, მით უფრო თუ იგი ეხება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ სახელმწიფო შესყიდვებს, წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი პირისთვის. აღნიშნული განმარტება არ გულისხმობს უწყების შიდა რგოლის თანამშრომლების მიერ გადაწყვეტილების შესაქმნელად წარმოებულ შიდა მოსამზადებელ მიმონერას, თუმცა თუ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიღებული და გაგზავნილი ინფორმაცია დაკავშირებულია სახელმწიფო შესყიდვებთან, იგი ექცევა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის დეფინიციაში. სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა გულისხმობს ამ ელექტრონული რესურსის კონკრეტული, სპეციფიკური მიზნით გამოყენების აუცილებლობას და იგი მიმართულია სამსახურებრივი ვალდებულებების შესასრულებლად.

ამდენად, ზემოაღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს „ოფიციალურ დოკუმენტს“, რომელიც არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებას. სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებები, თავისთავად, არის ელექტრონული ფორმით არსებული საჯარო ინფორმაცია და იგი აკმაყოფილებს საჯარო ინფორმაციისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (№2/3/364), სადაც განმარტებულია, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი ღიად მიიჩნევს სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ ოფიციალურ ინფორმაციას და ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აძლევს მათი გაცნობის შესაძლებლობას, სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობა ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფ-



ლების მნიშვნელოვანი პირობაა. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას, გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.“ საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს ამგვარ მითითებას, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, რომელიც არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებას და საკასაციო სასამართლო სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილ და მიღებულ წერილებს, მისი საჯარო ბუნებიდან გამომდინარე, საჯარო ინფორმაციის ყველა კრიტერიუმის მატარებელ ოფიციალურ დოკუმენტად მიიჩნევს.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ ინფორმაციის თავისუფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლით, რომელიც უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას, იცავს სხვათა იდეების მოპოვებას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას. ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ღიაობის პრეზუმფციას აწესებს, აგრეთვე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის (ინფორმაციის თავისუფლება) 28-ე მუხლი. ინფორმაციის თავისუფლება გულისხმობს საჯარო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და მიღების უფლებას, თუ ის არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას და კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ინფორმაციის ღიაობა ადმინისტრაციულ ორგანოებში არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, რადგან ის არის სახელმწიფოს მიერ მის მოსახლეობასთან ანგარიშვალდებულებისა და მისი საქმიანობის გამჭვირვალობის გარანტი, რომელიც საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას გაუწიოს კონტროლი ხელისუფლების მოქმედებებს და შებოჭოს ისინი თუ ადგილი ექნება მისი დისკრეციული უფლებამოსილების გადამეტებას თუ კანონშეუსაბამობას.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით განხორციელებული მიმონერა ხვდე-

ბა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით (პირადი ცხოვრება) დაცულ სფეროში, თუმცა აღნიშნულ მსჯელობას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია), ვინაიდან მითითებული ნორმა წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ გარანტს და ბუნებრივია, სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით განხორციელებული მიმოწერა, თუ მას აქვს პირადი ხასიათი, იგი დაცულ უნდა იქნეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიით. მოცემულ შემთხვევაში კი სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით წარმოებული კომუნიკაცია, რომელიც ეხება გამარტივებულ შესყიდვებს, არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს პირადი ხასიათის ინფორმაციასთან და იგი არ ხვდება კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრების დაცულ სფეროში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, სადაც განმარტებულია, რომ სამსახურიდან გაგზავნილი და მიღებული „მეილები“, შესაძლებელია მოექცეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ქვეშ. საქმეებში – *Niemietz v. Germany* და *Halford v. the united kingdom*, სასამართლომ აღნიშნა, რომ პროფესიული თუ ბიზნეს აქტივობებში არ არის თავისთავად გამორიცხული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული სფეროდან (პირადი ცხოვრება). აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საქმიანობა ხორციელდება პირის საცხოვრებელი ადგილიდან ან მაშინ, როდესაც ის ხორციელდება სამუშაო ადგილიდან, თუმცა აქვს პირადი ხასიათი.

მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუღებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გაცემა, რაც მითითებული განმარტებების გათვალისწინებით არ შეიძლება დაცული იყოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონცეფციით.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია განეკუთვნება ღია ინ-

ფორმაციის სახეს, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა – 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გაცემის თაობაზე, საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც ა(ა)იპ ... სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის გათვალისწინებით, მოპასუხეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ა(ა)იპ ... სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 550 ლარის გადახდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (პირველი ინსტანციის სასამართლოში – 100 ლარის ოდენობით, სააპელაციო სასამართლოში – 150 ლარის ოდენობით, საკასაციო სასამართლოში – 300 ლარის ოდენობით) ანაზღაურების მიზნით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ა(ა)იპ ... საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა(ა)იპ ... სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. მოპასუხეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევალოს გასცეს ინფორმაცია, კერძოდ, 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები;

5. მოპასუხეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ა(ა)იპ ... სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 ლარის (100+150+300) ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. პერსონალური მონაცემების დაცვა

### პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილების კანონიერება

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-765-761(კ-17)

8 თებერვალი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 11 თებერვალს ზ. ე-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2013 წელს მიღებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შეიქმნა სსიპ პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის სამსახური. სამსახურის კომპეტენციად კანონმა განსაზღვრა პერსონალური მონაცემების ხელყოფის პრევენცია, ხელყოფის აღკვეთა და ხელმყოფის განმახორციელებელი სუბიექტებისათვის სანქციის შეფარდება.

მოსარჩელის მოსაზრებით, მისი, როგორც ფიზიკური პირის პერსონალური მონაცემების დამუშავება უნებართვოდ ხორციელდებოდა 2 ათეული წლის მანძილზე, თუმცა შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების არ არსებობის გამო, ვერ შეძლო ამ ფაქტის აღკვეთა. მას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შექმნით იმედი მიეცა, რომ შეძლებდა აღნიშნული მოქმედების აღკვეთას და ამ სფეროში საკუთარი უფლებების დაცვას. სამსახურის წარმომადგენელმა 2015 წლის 5 ნოემბერს მოსარჩელეს შეავსებინა განცხადების ფორმა, რომელშიც მისი რეალური მოთხოვნისაგან განსხვავებული მოთხოვნა დააფიქსირებინა. მან ზ. ე-ე, როგორც

სპეციალური ცოდნის არმქონე პირი შეიყვანა შეცდომაში და მიათითებინა, რომ თითქოს ის ითხოვდა მოქალაქეობრივი სტატუსის აღდგენას, რაც სრული აბსურდი იყო, რადგან მოქალაქე ისედაც იყო და არავითარი ამგვარი მოთხოვნა არც ერთი უწყების მიმართ მას არ ჰქონია. ბუნებრივი იყო, რომ მოსარჩელეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა ამგვარი მოთხოვნის შემცველი განცხადების განხილვაზე უთხრა უარი. ამ ფაქტის შემდეგ, განცხადების შედგენა აღარ უთხოვინია აღნიშნული სამსახურისათვის, რადგან მისი ნდობა დაკარგა. ახალი დასაბუთებული განცხადება შეადგინა დამოუკიდებლად და სამსახურს ჩააბარა 2015 წლის 8 იანვარს. მოსარჩელის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ მან განცხადება შეადგინა კანონის მოთხოვნათა დაცვით და მისი მოთხოვნა გათვალისწინებული იყო კანონით, განხილვაზე მაინც უარი ეთქვა სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მიერ. შემდეგ მსგავსი შინაარსის პასუხი – „განხილვაზე უარი“ ეცნობა აგრეთვე თვით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ.

ამდენად, მოსარჩელემ მისი განცხადების განხილვაზე უარის თქმის თაობაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 14 იანვრის №53/01 გადაწყვეტილების და მისი განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მის მიერ 2016 წლის 8 იანვარს წარდგენილ განცხადებაზე ადმინისტრაციული წარმოების განხორციელებისა და მისი განხილვის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით ზ. ე-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 8 იანვარს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მიმართა მოქალაქე ზ. ე-ემ და მოითხოვა: 1. „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტითა და 35-ე მუხლით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში იმის შესწავლა, თუ რომელი მონაცემები მუშავდება/დამუშავებულია განმცხადებლის მიმართ შსს-ს მიერ, შესწავლილ იქნეს მონაცემთა დამუშავების მიზანი, მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი, ინფორმაცია, რა გზით შეგროვდა მონაცემები. ასევე ის, თუ ვისზე გაიცა მონაცემი, რა საფუძველითა და რა მიზნით. მოკვლევის შედეგები ეცნობებინათ მისთვის წერილობით; 2.

კანონდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობონ კონკრეტულად კანონდარღვევის ფაქტის თაობაზე, ასევე მიუთითონ იმ სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლებსაც დაეყრდნო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დასკვნა; 3. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანხმად, არაზუსტი, არასწორი, მოძველებული მონაცემების გასწორება, განახლება, საჭიროების შემთხვევაში დამატება და დაბლოკვა იმ მიზნით, რომ ასეთი მონაცემები აღარ იყოს ხელმისაწვდომი სხვა პირებისათვის.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილების თანახმად, ზ. ე-ის 2016 წლის 8 იანვრის განცხადება დარჩა განუხილველად. განმცხადებელს ეცნობა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. განემარტა გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა. გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ ზ. ე-ის 2016 წლის 8 იანვარს წარდგენილ განცხადებაში მითითებული ინფორმაცია იყო ზოგადი სახის. კერძოდ, განმცხადებელი ვერ უთითებდა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ განხორციელებულ კონკრეტულ ქმედებასა და განცხადებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს, თუ რაში გამოიხატა მის მიმართ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა. ამასთანავე, მოთხოვნას წარმოადგენდა განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე კანონდარღვევის ფაქტის დადგენა. შესაბამისად, წარდგენილი განცხადებით არ ირკვეოდა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოკლებული გახლდათ შესაძლებლობას შეესწავლა და მოეხდინა რეაგირება განმცხადებლის მოთხოვნაზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2016 წლის 14 იანვრის №53/01 წერილის თანახმად, განმცხადებელ ზ. ე-ეს განემარტა, რომ მის მიერ 2015 წლის 8 იანვარს წარმოდგენილ №01/13 განცხადებაში მითითებული ინფორმაცია იყო ზოგადი სახის. კერძოდ, არ იყო მითითებული მონაცემთა დამმუშავებლის მიერ განხორციელებული კონკრეტული ქმედება ან/და განცხადებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, თუ რაში გამოიხატა მის მიმართ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოკლებული გახლდათ შესაძლებლობას შეესწავლა და მოეხდინა რეაგირება განმცხადებლის მოთხოვნაზე. განმცხადებელს დამატებით ეცნობა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“



საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს (პირი ვის შესახებაც მონაცემები მუშავდება) უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. ამდენად, განმცხადებლის შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავების მოცულობის, კანონიერი საფუძვლისა და კანონიერი მიზნის თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, განმცხადებელს უნდა მიემართა მონაცემთა დამმუშავებლისათვის, რომელსაც განმცხადებლის განმარტებით, წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

სასამართლომ განმარტა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ინსპექტორი ამ კანონის, „ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტებს, მათ შორის, გადაწყვეტილებას, ბრძანებას, ინსტრუქციას, მითითებას.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 7.2. „ლ“ მუხლის თანახმად, ინსპექტორი უფლებამოსილია: კანონმდებლობის საფუძველზე გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე; ამ დებულების 5.1. მუხლის თანახმად, ინსპექტორი თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს ინსპექტორის აპარატის მეშვეობით. ამ ნორმის მე-2 ნაწილით, აპარატს ხელმძღვანელობს უშუალოდ ინსპექტორი ან მისი დავალებით ინსპექტორის მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ინსპექტორი. მითითებული დებულების 10.1. მუხლის შესაბამისად, განცხადების რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში, აპარატი ამოწმებს წარდგენილი განცხადების შესაბამისობას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ დებულების მოთხოვნებთან.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. „დ“ მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა

შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები. ამ კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კოდექსის მოქმედება, გარდა III თავისა, არ ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობაზე. ამრიგად, ზემოთ მითითებულ ნორმატიული და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავოდ გამხდარი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილება მოსარჩელის განცხადების განხილვაზე უარის თქმის თაობაზე, არის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელთა შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან უნდა შემოწმდეს მოცემული დავის ფარგლებში.

სასამართლოს მოსაზრებით, სადავოდ გამხდარი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2016 წლის 14 იანვრის №53/01 წერილობითი პასუხი წარმოადგენდა საინფორმაციო ხასიათის ცნობას, რომლითაც განმცხადებელ ზ. ე-ეს განემარტა, რომ მისივე 2016 წლის 8 იანვრის განცხადებაში მითითებული ინფორმაცია იყო ზოგადი სახის. კერძოდ, არ იყო მითითებული მონაცემთა დამუშავებლის მიერ განხორციელებული კონკრეტული ქმედება ან/და განცხადებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, თუ რაში გამოიხატა მის მიმართ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოკლებული გახლდათ შესაძლებლობას შეესწავლა და მოეხდინა რეაგირება განმცხადებლის მოთხოვნაზე.

სასამართლომ მიუთითა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1. მუხლის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამუშავებელს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. მონაცემთა დამუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია: ა) მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება; ბ) მონაცემთა დამუშავების მიზანი; გ) მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი; დ) რა გზით შეგროვდა მონაცემები; ე) ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი. ამ ნორმის მე-2 პუნქტით,

მონაცემთა სუბიექტისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვე-პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება სავალდებულო არ არის, თუ მონაცემები, კანონის თანახმად, საჯაროა. ამ ნორმის მე-3 პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა მიენოდოს მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ა) ინფორმაციის სხვა დაწესებულებაში ან სტრუქტურულ ერთეულში მოძიებასა და დამუშავებას ან მასთან კონსულტაციას; ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის, ერთმანეთთან დაუკავშირებელი დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას; გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ფორმას ირჩევს მონაცემთა სუბიექტი. ხოლო მე-5 პუნქტის საფუძველზე, პირს უფლება აქვს, გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასურის გადახდა, ხოლო მითითებული მუხლის მე-5 პუნქტით, პირს უფლება აქვს, გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 26.1. მუხლის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში კანონით დადგენილი წესით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ან სასამართლოს, ხოლო თუ მონაცემთა დამუშავებელი საჯარო დაწესებულებაა, საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ასევე იმავე ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. ამ კანონის 27.1. „გ“ მუხლის შესაბამისად, საქართველოში მონაცემთა დამუშავების კანონიერებას აკონტროლებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. ამავე კანონის 35.1. მუხლის თანახმად, ინსპექტორი უფლებამოსილია, როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, განახორციელოს ნებისმიერი მონაცემთა დამუშავებისა და უფლებამოსილი პირის შემოწმება. ამ ნორმის მე-2 ნაწილით, ინსპექტორის მიერ შემოწმების განხორციელება გულისხმობს: ა) მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვისა და მო-

ნაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლების არსებობის დადგენას; ბ) მონაცემთა დაცვისათვის მიღებული პროცედურებისა და ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას; გ) ფაილური სისტემის კატალოგის, ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრისა და მონაცემთა გაცემის აღრიცხვის შესახებ ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემოწმებას; დ) მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის კანონიერების შემოწმებას; ე) ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული წესების დაცვის შემოწმებას. ამ კანონის 39.6. მუხლის შესაბამისად, ინსპექტორის გადანყევტილება შესასრულებლად სავალდებულოა და მისი გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ სასამართლოში, კანონით დადგენილი წესით.

მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის მოსარჩელე ზ. ე-ის მიერ 2016 წლის 8 იანვარს წარდგენილი განცხადება (№01/12) არ შეიცავდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევის კონკრეტულ გარემოებებსა და მონაცემთა სუბიექტის განსაზღვრულ მოთხოვნას. ამასთანავე, სასამართლომ გაიზიარა აღნიშნულზე მოპასუხე მხარის მოსაზრება და გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითება და მიიჩნია, რომ განცხადებაში მითითებული ინფორმაცია იყო ზოგადი სახის. განმცხადებელი ვერ უთითებდა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ განხორციელებულ კონკრეტულ ქმედებას და განცხადებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს, თუ რაში გამოიხატებოდა მის მიმართ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა. აგრეთვე, არ დგინდებოდა განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე კანონდარღვევის ფაქტი, არ ირკვეოდა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოკლებული გახლდათ შესაძლებლობას შეესწავლა და მოეხდინა რეაგირება განმცხადებლის მოთხოვნაზე. ამდენად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადანყევტილებით ზ. ე-ის 2016 წლის 8 იანვრის განცხადება დარჩა განუხილველად.

სასამართლოს მოსაზრებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინ-

სპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილება კანონშესაბამისი და განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, გარდა III თავისა, არ ვრცელდებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობაზე, ამრიგად, სასამართლო უსაფუძვლოდ გამო ვერ გაიზიარებდა მოსარჩელის მითითებას, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის მის მიერ წარდგენილი განცხადების დასაშვებობის საკითხის განხილვისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე და 83-ე მუხლები.

სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ზ. ე-ის სასარჩელო მოთხოვნა – დავალებოდა მოპასუხეს მოსარჩელის 2016 წლის 8 იანვრის განცხადებაზე განეხორციელებინა ადმინისტრაციული წარმოება და განეხილა იგი, არ უნდა დაკმაყოფილებულიყო შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ე-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის განჩინებით ზ. ე-ის სასარჩელო მოთხოვნაზე – ბათილად იქნეს ცნობილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 14 იანვრის №53/01 აქტი, საქმის წარმოება შეწყდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. ე-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, სადავო საკითხთან მიმართებით ახალი ინ-

დივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; დანარჩენ ნაწილში ზ. ე-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოცემულ საქმეზე საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული უნდა ყოფილიყო ახალი გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, წინამდებარე დავის ძირითად საგანს წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილება, რომლითაც განუხილველად დარჩა ზ. ე-ის განცხადება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42.1. მუხლზე, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. პალატის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კოდექსის მოქმედება, გარდა III თავისა (ინფორმაციის თავისუფლება), არ ვრცელდებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ სადავოდ გამხდარი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილება მოსარჩელის განცხადების განხილვაზე უარის თქმის თაობაზე, არ წარმოადგენდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, იმდენად, რამდენადაც ეს კოდექსი (გარდა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ თავისა) არ ვრცელდებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორზე.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საკითხს ვერ ცვლიდა ის გარემოება, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის № 180 დადგენილებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-7 მუხლის მეორე ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინსპექტორს ჰქონდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე, რადგან აღნიშნულ უფლებამოსილებაში იგულისხმებოდა არა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ სპეციალური კანონით გათვალისწინებული ინსპექტორის ძირითადი, ორგანული ფუნქციები, არამედ მისი, როგორც უწყების ხელმძღვანელის ადმინისტრაციული ფუნ-



ქციები, რომლის განხორციელებისას, ინსპექტორზე ჩვეულებრივ ვრცელდებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, თანახმად ამ კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილისა (ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ორგანოების და ამ ორგანოთა თანამდებობის პირების იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან). ამდენად, გასაჩივრებული აქტი არ წარმოადგენდა სზაკ-ით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, თუმცა, პალატის მოსაზრებით, იგი იყო ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა მომხდარიყო აქტის კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართლებრივი აქტი წარმოადგენდა უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებულ (გამოცემულ), შესასრულებლად სავალდებულო აქტს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი აქტის სახეები იყო: ნორმატიული აქტი და ინდივიდუალური აქტი. ამავე კანონის მე-4 ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მიიღებოდა (გამოიცემოდა) მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში. ამდენად, პალატამ განმარტა, რომ სადავოდ გამხდარი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილება წარმოადგენდა სწორედ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს და შესაბამისად, მსჯელობა უნდა წარმართულიყო ამ აქტის სხვა ნორმატიულ აქტებთან, უპირატესად კი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილებით დამტკიცებულ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებასთან შესაბამისობის დადგენის თვალსაზრისით.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული იყო, რომ მონაცემთა სუბიექტს ან/და მის უფ-



ლებამოსილ წარმომადგენელს უფლება ჰქონდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიემართა ინსპექტორისათვის განცხადებით, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა დებულების მე-10 მუხლზე, სადაც ცალსახად იყო მითითებული განცხადების განხილვის წესი. კერძოდ, განმარტებული იყო, რომ განცხადების რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში, აპარატი ამონმებდა წარდგენილი განცხადების შესაბამისობას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ დებულების მოთხოვნებთან. საჭიროების შემთხვევაში, აპარატი მონაცემთა სუბიექტს ან/და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს დამატებითი ინფორმაციის წარდგენის ან/და განცხადებასთან დაკავშირებული სხვა ხარვეზის აღმოფხვრისთვის განუსაზღვრავდა გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა ყოფილიყო 3 დღეზე ნაკლები. ამავე მუხლის მ-3 პუნქტის თანახმად, თუ მონაცემთა სუბიექტი ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი მითითებულ ვადაში არ აღმოფხვრიდა ხარვეზს ან/და არ წარადგენდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას, ინსპექტორს უფლება ჰქონდა, განცხადება დაეტოვებინა განუხილველად, რის შესახებაც ეცნობებოდა მონაცემთა სუბიექტს ან/და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს. ამდენად, ზემოაღნიშნული პროცედურის თანახმად, განცხადებაზე ხარვეზის დადგენა ინსპექტორის/აპარატის დისკრეციული უფლებამოსილება იყო, რასაც მოწმობდა სიტყვები „საჭიროების შემთხვევაში...“, თუმცა, ამავე პროცედურის თანახმად, განცხადების განუხილველად დატოვება შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელმა ხარვეზი არ აღმოფხვრა. ამდენად, სააპელაციო პალატის მითითებით, განცხადების განუხილველად დატოვების შესაძლებლობას, ხარვეზის დადგენის გარეშე, კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა. განსახილველ შემთხვევაში კი, უდავო იყო, რომ ზ. ე-ის 2016 წლის 8 იანვრის №01/12 განცხადებაზე, რომლითაც მან მიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, ხარვეზი არ დადგენილა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილებით, ზ. ე-ის 2016 წლის 8 იანვრის განცხადება პირდაპირ დარჩა განუხილველად. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული დებულების გათვალისწინებით, მხოლოდ განცხადებაზე დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში შეეძლო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადება დაეტოვებინა განუხილველად.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა და გაიზიარა აპელანტის გან-

მარტება, რომ დებულების თანახმად, თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, განცხადების განხილვისას მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ წარდგენილი განცხადება იყო ზოგადი ხასიათის ან არ შეესაბამებოდა „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, მას უნდა ეცნობებინა აღნიშნულის შესახებ განმცხადებლისთვის და მიეცა დამატებით ვადა ხარვეზის შესავსებად, რაც მოცემულ შემთხვევაში ინსპექტორს არ განუხორციელებია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილება, მიღებულ იქნა საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის გარეშე, რის გამოც სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილება და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევის შედეგად, წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოყვანილი მსჯელობის გათვალისწინებით, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, მიიღოს კონკრეტული შემთხვევისათვის შესაბამისი გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული და იგი ემყარება მხოლოდ ერთი სამართლებრივი ნორმის არასწორ განმარტებას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ხელმძღვანელობს არა მხოლოდ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით, არამედ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით. კასატორი მიუთითებს, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში კანონით დადგენილი წესით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ან სასამართლოს, ხოლო თუ მონაცემთა დამმუშავებელი საჯარო დაწესებულებაა, საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ასევე იმავე ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. ამავე კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში მონაცემთა დამუშავების კანონიერებას აკონტროლებს ინსპექტორი და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვას. რაც შეეხება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 და მე-10 მუხლებს, აღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ საფუძველზე რეკვიზიტებს/ინფორმაციას, რასაც უნდა შეიცავდეს ინსპექტორისადმი წარდგენილი განცხადება. განცხადების განსახილველად მიღებისა და შესაბამისი ინფორმაციის/რეკვიზიტის არ არსებობისას განცხადებაზე ხარვეზის დადგენის წესს. ხარვეზის დადგენა ემსახურება იმ მიზანს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ჰქონდეს შესაძლებლობა, გამოიკვლიოს განცხადებაში მითითებული კონკრეტული გარემოებები და აღნიშნულის საფუძველზე დაადგინოს სამართალდარღვევის არსებობის ან არ არსებობის საკითხი. თუ სახეზე არ არის მონაცემთა სუბიექტისათვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლებების დარღვევის ფაქტი და განცხადების განხილვა სცილდება ინსპექტორის კომპეტენციას, ამ შემთხვევაში არ არსებობს ხარვეზის დადგენის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

კასატორი აღნიშნავს, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. მითითებული კოდექსის 232-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე წარმოება არ შეიძლება დაიწყოს თუ სახეზე არ არის ადმინისტრაციული სამარ-

თაღდარღვევა. ამდენად, ინსპექტორი უფლებამოსილია ხარვეზის დადგენის გარეშე უარი თქვას წარდგენილი განცხადების განხილვაზე.

კასატორის მითითებით, ზ. ე-ის 2016 წლის 8 იანვრის განცხადება არ შეიცავდა მონაცემთა დამმუშავებლის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ კონკრეტულ ქმედებას. განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენდა მის შესახებ დამუშავებული მონაცემის თაობაზე ინფორმაციის მოპოვება და კანონდარღვევის არსებობის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების განხორციელება. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი არ წარმოადგენს შუამავალ ორგანოს, რომელიც მონაცემთა დამმუშავებლისაგან გამოითხოვს მონაცემთა სუბიექტისათვის სასურველ ინფორმაციას. აქედან გამომდინარე, ინსპექტორი უფლებამოსილი იყო ხარვეზის დადგენის გარეშე მიელო გადაწყვეტილება ზ. ე-ის განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

ასევე, კასატორი მიუთითებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობაზე იმ ნაწილში, სადაც განიმარტა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილება არ წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და არის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, მაშინ, როცა სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო ზემოაღნიშნული აქტი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს დაავალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევის შემდეგ მიელო შესაბამისი გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემონმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ე-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოქალაქე ზ. ე-ემ 2016 წლის 8 იანვარს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მიმართა და „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და 35-ე მუხლით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ინფორმაციის შესწავლა მოითხოვა. კერძოდ: 1. თუ რომელი მონაცემები მუშავდება/დამუშავებულია განმცხადებლის, ზ. ე-ის მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ; აგრეთვე, შესწავლილ იქნეს მონაცემთა დამუშავების მიზანი, მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი, ინფორმაცია, რა გზით შეგროვდა მონაცემები, ასევე ის, თუ ვისზე გაიცა მონაცემი, რა საფუძველითა და რა მიზნით. მოკვლევის შედეგები ეცნობებინათ მისთვის წერილობით; 2. კანონდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობონ კონკრეტულად კანონდარღვევის ფაქტის თაობაზე, ასევე მიუთითონ იმ სამართლებრივ საფუძველებზე, რომლებსაც დაეყრდნო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დასკვნა; 3. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, არაზუსტი, არასწორი, მოძველებული მონაცემების გასწორება, განახლება, საჭიროების შემთხვევაში დამატება და დაბლოკვა იმ მიზნით, რომ ასეთი მონაცემები აღარ იყოს ხელმისაწვდომი სხვა პირებისათვის.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილებით ზ. ე-ის 2016 წლის 8 იანვრის განცხადება დარჩა განუხილველად. განმცხადებელს ეცნობა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, ასევე, განემარტა გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა. გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ ზ. ე-ის 2016 წლის 8 იანვარს წარდგენილ განცხადებაში მითითებული ინფორმაცია იყო ზოგადი სახის. კერძოდ, განმცხადებელი ვერ უთითებდა მონაცემთა დამუშავებლის მიერ განხორციელებულ კონკრეტულ ქმედებასა და განცხადებასთან დაკავშირე-

ბულ ფაქტობრივ გარემოებებს, თუ რაში გამოიხატა მის მიმართ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა. ამასთანავე, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე კანონდარღვევის ფაქტის დადგენა. შესაბამისად, წარდგენილი განცხადებით არ ირკვეოდა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოკლებული იყო შესაძლებლობას შეესწავლა და მოეხდინა რეაგირება განმცხადებლის მოთხოვნაზე.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილების კანონიერება.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ინსპექტორი ამ კანონის, „ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ აქტებს, მათ შორის, გადაწყვეტილებას, ბრძანებას, ინსტრუქციას, მითითებას. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, ინსპექტორის საქმიანობა განისაზღვრება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილებით. აღნიშნული დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინსპექტორი უფლებამოსილია კანონმდებლობის საფუძველზე გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ სადავო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილება არ წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და განმარტავს, რომ მითითებული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან



პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის ჩანაწერი: „ამ კოდექსის მოქმედება, გარდა III თავისა, არ ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობაზე“, გულისხმობს არა იმას, რომ ინსპექტორი არ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, არამედ იმას, რომ ეს აქტები არ მიიღება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მიიღება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ“ დებულებით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ასევე დაუსაბუთებელია მსჯელობის იმ ნაწილში, სადაც სააპელაციო სასამართლო საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-10 მუხლზე მითითებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე უკანონოდ მიიჩნევს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ზ. ე-ის მიერ 2016 წლის 8 იანვარს წარდგენილ განცხადებაზე არ იყო დადგენილი ხარვეზი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მხოლოდ განცხადებაზე დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში შეიძლო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადება დაეტოვებინა განუხილველად.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-10 მუხლის თანახმად,



განცხადების რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში, აპარატი ამონმებს წარდგენილი განცხადების შესაბამისობას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ დებულების მოთხოვნებთან. საჭიროების შემთხვევაში, აპარატი მონაცემთა სუბიექტს ან/და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს დამატებითი ინფორმაციის წარდგენის ან/და განცხადებასთან დაკავშირებული სხვა ხარვეზის აღმოფხვრისთვის განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 3 დღეზე ნაკლები. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ მონაცემთა სუბიექტი ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი მითითებულ ვადაში არ აღმოფხვრის ხარვეზს ან/და არ წარადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას, ინსპექტორს უფლება აქვს, განცხადება დატოვოს განუხილველად, რის შესახებაც ეცნობება მონაცემთა სუბიექტს ან/და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში კანონით დადგენილი წესით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ან სასამართლოს, ხოლო თუ მონაცემთა დამმუშავებელი საჯარო დაწესებულებაა, საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ასევე იმავე ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. ამავე კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, საქართველოში მონაცემთა დამმუშავების კანონიერებას აკონტროლებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვას, ასევე საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამმუშავების კანონიერების შემოწმებას (ინსპექტირებას). ამდენად, მითითებული ნორმების შესაბამისად, განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლები და დადგენილია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი განიხილავს მხოლოდ იმ განცხადებებს, რომლებიც შეეხება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის ფაქტს. რაც შეეხება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-9 და მე-10 მუხლებს, აღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ სავალდებულო რეკვიზიტებს, რასაც უნდა შეიცავდეს ინსპექტორი-

სადმი წარდგენილი განცხადება, ასევე განცხადების განსახილველად მიღებისა და შესაბამისი რეკვიზიტის/ინფორმაციის არ არსებობისას განცხადებაზე ხარვეზის დადგენის წესს. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს კასაციის მოტივს და განმარტავს, რომ განცხადებაში კონკრეტული ინფორმაციის/რეკვიზიტის არ არსებობის შემთხვევაში, ხარვეზის დადგენა ემსახურება იმ მიზანს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ჰქონდეს შესაძლებლობა გამოიკვლიოს განცხადებაში მითითებული კონკრეტული გარემოებები და ამის შემდეგ დაადგინოს სამართალდარღვევის არსებობის ან არ არსებობის ფაქტი.

განსახილველ შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის მოსარჩელე ზ. ე-ის მიერ 2016 წლის 8 იანვარს წარდგენილი №01/12 განცხადება არ შეიცავდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევის კონკრეტულ გარემოებებს, მონაცემთა დამუშავებლის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ კონკრეტულ ქმედებას და მონაცემთა სუბიექტის განსაზღვრულ მოთხოვნას. ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას და გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებას იმის თაობაზე, რომ განცხადებაში მითითებული ინფორმაცია იყო ზოგადი ხასიათის. განმცხადებელი ვერ უთითებდა მონაცემთა დამუშავებლის მიერ განხორციელებულ კონკრეტულ ქმედებას და განცხადებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს, თუ რაში გამოიხატა მის მიმართ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა. ამასთანავე, არ დგინდებოდა განმცხადებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე კანონდარღვევის ფაქტი, აგრეთვე არ ირკვეოდა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის ფაქტობრივი გარემოებები და ამდენად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეესწავლა და მოეხდინა რეაგირება განმცხადებლის მოთხოვნაზე.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან ზ. ე-ის 2016 წლის 8 იანვრის განცხადება არ წარმოადგენდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ განცხადებას, არ შეიცავდა ინფორმაციას მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევისა და მონაცემთა დამუშავების წესების შესაძლო დარღვევაზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი უფლებამოსილი იყო ხარვეზის დადგენის გარეშე განუხილველად დაეტოვებინა ზ. ე-ის განცხადება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2016 წლის 14 იანვრის №53/01 წერილით განმცხადებელს – ზ. ე-ეს, ერთი მხრივ, განემარტა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოკლებული იყო შესაძლებლობას შეესწავლა და მოეხდინა რეაგირება მის მოთხოვნაზე, ხოლო, მეორე მხრივ, განმცხადებელს დამატებით ეცნობა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს (პირი ვის შესახებაც მონაცემები მუშავდება) უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. ამდენად, განმცხადებლის შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავების მოცულობის, კანონიერი საფუძვლისა და კანონიერი მიზნის თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, განმცხადებელს უნდა მიემართა მონაცემთა დამმუშავებლისათვის, რომელსაც განმცხადებლის განმარტებით, წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილება კანონშესაბამისია და განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული დავის გადაწყვეტისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებას და აღნიშნულთან მიმართებაში განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების კომპეტენცია სასამართლოს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევა, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ე-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ზ. ე-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პერსონალური მონაცემების გაცემისათვის კანონით  
დადგენილი შეზღუდვები**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-936-932(კ-17)

29 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწი-  
ლობრივ ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 28 სექტემბერს ნ. ა-მა – შპს „...“ (ყურნალი) ყურნა-  
ლისტმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის  
– საქართველოს სახალხო დამცველის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მან მიმართა საქართველოს სახალ-  
ხო დამცველის აპარატს და მოითხოვა შემდეგი ინფორმაციის გა-  
ცემა: 1. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 28 მარტის  
ბრძანება №113 (დაუშტრიხავი); 2. ბრძანება, რომლითაც გაუქმდა  
საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 28 მარტის ბრძანე-  
ბა №113 (დაუშტრიხავი); 3. ყველა სახის დოკუმენტი, რომლითაც  
Mercedes-benz ..., სახელმწიფო ნომრით ... სამსახურებრივი მიზნე-  
ბისთვის მოსარგებლე თანამშრომელი განისაზღვრა (ასეთების არ-  
სებობის შემთხვევაში) (დაუშტრიხავი); 4. საქართველოს სახალხო  
დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანება. აღნიშნული სა-  
ჯარო ინფორმაცია არ გაიცა კანონით დადგენილ ვადაში. მოსარ-  
ჩელემ 2016 წლის 29 ივლისს ადმინისტრაციული საჩივრით მიმარ-  
თა სახალხო დამცველის აპარატს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე  
პასუხისმგებელი პირის წინააღმდეგ. საქართველოს სახალხო დამ-  
ცველის 2016 წლის 29 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით ადმინის-  
ტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა და საჯარო ინფორმაციის გა-  
ცემაზე პასუხისმგებელ პირს დაევალა 2016 წლის 17 ივნისისა და  
20 ივნისის განცხადებებზე საჯარო ინფორმაციის გაცემა ნაწილობ-  
რივ, დეპერსონალიზებული სახით.

ამდენად, მოსარჩელემ საჯარო ინფორმაციის დეპერსონალი-

ზებული სახით გაცემის ნაწილში საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 29 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქართველოს სახალხო დამცველისთვის 2016 წლის 17 ივნისისა და 20 ივნისის განცხადებებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დაუშტრიხავი სახით გაცემის დავალეზა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 17 ივნისს შპს „...“ (ჟურნალი) ჟურნალისტმა – ნ. ა-მა განცხადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით მოითხოვა შემდეგი ინფორმაცია: 1. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 28 მარტის ბრძანება №113 (დაუშტრიხავი); 2. ბრძანება, რომლითაც გაუქმდა საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 28 მარტის ბრძანება №113 (დაუშტრიხავი); 3. ყველა სახის დოკუმენტი, რომლითაც Mercedesbenz ..., სახელმწიფო ნომრით ... სამსახურებრივი მიზნებისთვის მოსარგებლე თანამშრომელი განისაზღვრა (ასეთების არსებობის შემთხვევაში) (დაუშტრიხავი). 2016 წლის 20 ივნისს ნ. ა-მა განცხადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (თავი III, ინფორმაციის თავისუფლება, მე-40 მუხლის I პუნქტი) მიხედვით, მოითხოვა საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანების გაცემა. 2016 წლის 29 ივლისს შპს „...“ (ჟურნალი) ჟურნალისტმა – ნ. ა-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ იმ საჯარო ინფორმაციის გაცემა, რომელიც მოთხოვნილ იქნა ნ. ა-ის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გაგზავნილი 2016 წლის 17 ივნისისა და 20 ივნისის განცხადებებით.

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 29 ივლისის №... გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა წარმოებაში ნ. ა-ის ადმინისტრაციული საჩივარი. ადმინისტრაციული საჩივრის წარმოების ეტაპზე შეტყობინება გაეგზავნა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს, რომელთაც ეცნობათ ადმინისტრაციული საჩივრით მოთხოვნილი ინფორმაციის თაობაზე. თანამშრომელთა ნაწილმა თანხმობა განაცხადა მათი პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების საჩივრის ავტორისათვის გადაცემაზე. საქართვე-

ლოს სახალხო დამცველის 2016 წლის 29 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნ. ა-ის 2016 წლის 29 ივლისის №... ადმინისტრაციული საჩივარი. სახალხო დამცველის აპარატის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დაევალა ნ. ა-ის 2016 წლის 17 ივნისისა და 20 ივნისის განცხადებებზე საჯარო ინფორმაციის გაცემა წინამდებარე გადაწყვეტილებაში აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ნაწილობრივ დეპერსონალიზებული სახით. კერძოდ, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დაევალა ნ. ა-ის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა, ხოლო იმ პირთა ნაწილში, რომლებმაც უარი განაცხადეს პერსონალური მონაცემების გასაჯაროებაზე, დეპერსონალიზებული სახით (დამტრიხულად) გაცემა.

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 9 სექტემბრის №... წერილით ნ. ა-ს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში 2016 წლის 17 ივნისისა და 20 ივნისის განცხადებებისა და საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 29 აგვისტოს ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ №..... გადაწყვეტილების შესაბამისად გაეგზავნა შემდეგი დოკუმენტები: 1. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანება ნაწილობრივ დეპერსონალიზებული სახით; 2. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 28 მარტის №113 ბრძანება ნაწილობრივ დეპერსონალიზებული სახით; 3. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 5 აპრილის №118 ბრძანება ნაწილობრივ დეპერსონალიზებული სახით; 4. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 15 ივნისის №185 ბრძანება სრული სახით; 5. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 27 ივნისის №197 ბრძანება დეპერსონალიზებული სახით; 6. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 4 აგვისტოს №233 ბრძანება დეპერსონალიზებული სახით; 7. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 19 აგვისტოს №241 ბრძანება დეპერსონალიზებული სახით.

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანების თანახმად, 2016 წლის 1 თებერვლიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2014 წლის 3 იანვრის №04 ბრძანება. 2016 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ქვემოთ ჩამოთვლილ მოსამსახურეებს სამსახურებრივი მიზნებისათვის გადაეცათ აპარატის ბალანსზე რიცხული შემდეგი მატერიალური ფასეულობები – ავტომობილები; 1. პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მთავარ სპე-



ციალისტს გადაეცა ავტომობილი „ფოლცვაგენ გოლფ VI“, სახელმწიფო ნომრით ...; 2. ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსს გადაეცა ავტომობილი „ფოლცვაგენ გოლფ VI“, სახელმწიფო ნომრით ...; 3. პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს გადაეცა ავტომობილი „ფოლცვაგენ გოლფ VI“, სახელმწიფო ნომრით ...; 4. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს – მ. ბ-ეს (ქუთაისი) გადაეცა ავტომობილი „ფოლცვაგენ გოლფ VI“, სახელმწიფო ნომრით ...; 5. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს (ზუგდიდი) გადაეცა ავტომობილი „კია სერატო“, სახელმწიფო ნომრით ...; 6. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს – გ. ჩ-ს (ბათუმი) გადაეცა ავტომობილი „ფოლქსვაგენ გოლფ VI“, სახელმწიფო ნომრით ...; 7. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის დამხმარე მოსამსახურეს გადაეცა ავტომობილი ფოლქსვაგენ ტუარეგი, სახელმწიფო ნომრით ...; 8. ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის დამხმარე მოსამსახურეს გადაეცა ავტომობილი „ფოლქსვაგენ GOLF17“, სახელმწიფო ნომრით ...; 9. ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის დამხმარე მოსამსახურეს – ნ. ბ-ს სამსახურებრივი მიზნებისათვის გადაეცა ავტომობილი „HYUNDAI ELANTRA“ სახელმწიფო ნომრით ...; 10. ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის დამხმარე მოსამსახურეს სამსახურებრივი მიზნებისათვის გადაეცა ავტომობილი „ტოიოტა კოროლა“, სახელმწიფო ნომრით ...; 11. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს – გ. ლ-ეს (ქუთაისი) გადაეცა ავტომობილი „ფოლცვაგენ გოლფ VI“, სახელმწიფო ნომრით ...; 12. ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის დამხმარე მოსამსახურეს გადაეცა ავტომობილი „ფოლქსვაგენ ტუარეგი“, სახელმწიფო ნომრით ...; 13. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს – თ. ქ-ეს გადაეცა ავტომობილი „Hyundai Tucson“-ი, სახელმწიფო ნომრით ...; 14. ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის დამხმარე მოსამსახურეს სამსახურებრივი მიზნებისათვის გადაეცა ავტომობილი „ფოლქსვაგენ გოლფი“, სახელმწიფო ნომრით ...; 15. ადმინისტრაციული და ფინანსური დე-

პარტამენტის დამხარე მოსამსახურეს სამსახურებრივი მიზნებისათვის გადაეცა ავტომობილი „ტოიოტა კოროლა“, სახელმწიფო ნომრით ...; 16. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს სამსახურებრივი მიზნებისათვის გადაეცა სახალხო დამცველის აპარატის ბალანსზე რიცხული ავტომობილი „ფოლქსვაგენ გოლფ VI“, სახელმწიფო ნომრით ...; 17. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს გადაეცა ავტომობილი „ფოლქსვაგენ გოლფ VI“, სახელმწიფო ნომრით ...; 18. საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი მიზნებისათვის გადაეცა სახალხო დამცველის აპარატის ბალანსზე რიცხული ავტომობილი „ფოლქსვაგენ გოლფ VI“, სახელმწიფო ნომრით ...; 19. პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადასაჭრელად“ კოორდინატორს გადაეცა ავტომობილი „ჰიუნდაი ტუსანი“, სახელმწიფო ნომრით .... I. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბალანსზე რიცხული შემდეგი მატერიალური ფასეულობები – ავტომობილები განთავსდა ავტოსადგომზე: 1. ვაზ 21214 ნივა, სახელმწიფო ნომრით ...; 2. „ფოლქსვაგენ გოლფ VI“, სახელმწიფო ნომრით ...; 3. ფორდი – Ford Turneo Custom, სახელმწიფო ნომრით ...; 4. ლადა ვაზ 2107, სახელმწიფო ნომრით ...; 5. „NISSAN PATROL“, სახელმწიფო ნომრით ....

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2016 წლის 28 მარტის №113 ბრძანების თანახმად, ცვლილება შევიდა „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანების მე-2 პუნქტის მე-9 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის დამხმარე მოსამსახურეს – 6. ბ-ს სამსახურებრივი მიზნებისათვის გადაეცა ავტომობილი Mercedes-Benz ..., სახელმწიფო ნომრით ...“; 2. ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსს დაევალა ავტომანქანის (Mercedes-Benz ..., სახელმწიფო ნომრით ...) დაზღვევისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2016 წლის 5 აპრილს მიღებულ იქნა №118 ბრძანება „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანებაში ცვლილებების შეტანისა და „საქარ-

თველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ სახალხო დამცველის 2016 წლის 28 მარტის №113 ბრძანების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. აღნიშნული ბრძანებით 1. ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის იანვრის №45 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ სახალხო დამცველის 2016 წლის 28 მარტის №113 ბრძანების პირველი პუნქტი; 2. ავტომობილი Mercedes-Benz ..., სახელმწიფო ნომრით ... განთავსდა ავტოსადგომზე; 3. „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანების II პუნქტს (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობები – ავტომობილები განთავსდა ავტოსადგომზე) დაემატა მე-6 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: Mercedes-Benz ..., სახელმწიფო ნომრით ...“. 4. „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანების მე-2 პუნქტის მე-10 ქვეპუნქტში შევიდა ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „2016 წლის 6-7 აპრილს ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის დამხმარე მოსამსახურეს სამსახურებრივი მიზნებისათვის გადაეცა ავტომობილი ფორდი – Ford Turneo Custom, სახელმწიფო ნომრით ..., ხოლო ამავე პერიოდში ავტომობილი „ტოიოტა კოროლა“, სახელმწიფო ნომრით ... განთავსდა ავტოსადგომზე.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2016 წლის 15 ივნისს მიღებულ იქნა №185 ბრძანება „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. აღნიშნული ბრძანებით ცვლილება შევიდა „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნე-

ბისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანების მე-2 პუნქტის მე-13 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით „2016 წლის 17 ივნისიდან 24 ივნისის ჩათვლით სახალხო დამცველის აპარატის რეგონული დეპარტამენტის უფროსს – თ. ქ-ეს სამსახურებრივი მიზნებისათვის გადაეცეს ავტომობილი „Mercedes-Benz ..., სახელმწიფო ნომრით ...“, ხოლო აღნიშნულ პერიოდში ავტომობილი „კია სერატო“, სახელმწიფო ნომრით ... განთავსდეს ავტოსადგომზე“.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2016 წლის 27 ივნისს მიღებულ იქნა №197 ბრძანება „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. მითითებული ბრძანებით: 1. ცვლილება შევიდა „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანების მე-2 პუნქტის მე-7 პუნქტში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით „2016 წლის 27 ივნისიდან ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის დამხმარე მოსამსახურეს სამსახურებრივი მიზნებისათვის დროებით სარგებლობაში გადაეცეს ავტომობილი Mercedes-Benz ..., სახელმწიფო ნომრით ... ავტომობილის „ფოლკსვაგენ ტუარეგი“, სახელმწიფო ნომრით ... შეკეთებამდე“; 2. საქართველოს სახალხო დამცველის ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსს – მ. კ-ს დაევალოს ავტომობილის – „ფოლკსვაგენ ტუარეგის“, სახელმწიფო ნომრით ... სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება; 3. 2016 წლის 27 მაისიდან დაერიცხოს მაისის თვის სანვავის ნაშთი (235 ლიტრი ბენზინი) ავტომანქანისათვის Mercedes-Benz ..., სახელმწიფო ნომრით ...

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2016 წლის 4 აგვისტოს მიღებულ იქნა №233 ბრძანება „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. აღნიშნული ბრძანებით: 1. ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიც-

ხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ სახალხო დამცველის 2016 წლის 27 ივნისის №197 ბრძანების პირველი პუნქტი; 2. ცვლილება შევიდა „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანების მე-2 პუნქტის მე-7 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით – „2016 წლის 4 აგვისტოდან ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის დამხმარე მოსამსახურეს სამსახურებრივი მიზნებისათვის სარგებლობაში გადაეცეს ავტომობილი ტოიოტა LC150, სახელმწიფო ნომრით ...“ ავტომობილის „ფოლკსვაგენ ტუარეგი“, სახელმწიფო ნომრით ... შეეკეთებამდე“; 3. დასადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ სახალხო დამცველის 2016 წლის 11 თებერვლის №73 ბრძანების პირველი პუნქტი; 4. ცვლილება შევიდა „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანების მე-2 პუნქტის მე-12 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით. „ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის დამხმარე მოსამსახურეს სამსახურებრივი მიზნებისათვის გადაეცეს ავტომობილი Mercedes-Benz ..., სახელმწიფო ნომრით ...“; 5. ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის დამხმარე მოსამსახურეს გამოყოფილი 2016 წლის ივლისის თვის სანვავის ნაშთი დიზელის სახით დაერიცხოს ავტომობილზე „ტოიოტა LC150, სახელმწიფო ნომრით ...“; 6. ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის დამხმარე მოსამსახურე გამოყოფილი 2016 წლის ივლისის თვის სანვავის ნაშთი ბენზინის სახით დაერიცხოს ავტომობილზე Mercedes-Benz ..., სახელმწიფო ნომრით ...“.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2016 წლის 19 აგვისტოს მიღებულ იქნა №241 ბრძანება „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცვე-

ლის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. აღნიშნული ბრძანებით ცვლილება შევიდა „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოსამსახურეებზე სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების – ავტომობილების გადაცემის შესახებ“ სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანების მე-2 პუნქტის მე-12 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით. „ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის სპეციალისტს სამსახურებრივი მიზნებისათვის გადაეცეს ავტომობილი Mercedes-Benz ..., სახელმწიფო ნომრით ...“.

სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 29 აგვისტოს №... გადაწყვეტილება, საჯარო ინფორმაციის დეპერსონალიზებული სახით გაცემის ნაწილში ბათილად ცნობა და მოსარჩელის 2016 წლის 17 ივნისისა და 20 ივნისის განცხადებებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა დაუშტრიხავი სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იმსჯელა იმ მოთხოვნების ნაწილზე, რომელიც მოპასუხის მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული.

სასამართლომ განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტიზებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით („ინფორმაციის თავისუფლება“). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი იმეორებს კონსტიტუციურ ნორმას, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. ამავე კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს დოკუმენტაციას დედანში. საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას ადგენს ამავე კოდექსის მე-40 მუხლი.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ამავე საკანონმდებ-



ლო აქტის 27<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, ხოლო იდენტიფიცირებადია პირი, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით, ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხემ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე და აღნიშნა, რომ პერსონალური მონაცემები გულისხმობდა ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდებოდა იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებული იყო არ გაეხმაურებინა პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე.

სასამართლომ მიუთითა, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უკავშირდება საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესს. იმისათვის, რომ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესი იყოს გამჭვირვალე, აუცილებელია სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი. ინფორმაციის ღიაობა აქტუალური ხდება ასევე, როდესაც სუბიექტი არ ახორციელებს მმართველობით ფუნქციას, მაგრამ მისი საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსების ფარგლებში. სუბიექტი, რომელიც ახორციელებს საჯარო მმართველობას არის ადმინისტრაციული ორგანო. ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნა ვრცელდება ადმინისტრაციულ ორგანოზე. ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერი) ანუ ადმინისტრაციულ ორგანოში დაცული, აგრეთვე მის საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია არის საჯარო. აღნიშნული ორი კრიტერიუმის გათვალისწინებით, ინფორმაციის თავისუფლების მიზნებისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განისაზღვრა ახა-



ლი ტერმინი საჯარო დაწესებულება. სუბიექტი, რომელიც ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს (ადმინისტრაციული ორგანო) ან მოქმედებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსების ფარგლებში, არის საჯარო დაწესებულება და მასზე ვრცელდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ადმინისტრაციულმა ორგანომ ორ შემთხვევაში შეიძლება თქვას უარი: 1. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში და 2. ინფორმაცია მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება იცოდეს: ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; ბ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები; გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი; დ) საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალებათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება; ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები; ვ) არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია; ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს; თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი; ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი; კ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე; ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსე-

ბულ პერსონალურ მონაცემებს; მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია; ნ) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებად ან არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს.

სასამართლომ განმარტა, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია მისი აგება იდენტიფიკაციის კრიტერიუმზე, რომლის თანახმად, პერსონალური მონაცემები იმთავითვე დახურულია, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ან თუ პირი თავად არ ახდენს მონაცემის გახმაურებას. პერსონალური მონაცემი არის პირადი ცხოვრების დაცვის ერთ-ერთი საშუალება. პერსონალური მონაცემის დაცვაში საბოლოოდ პრიორიტეტი ენიჭება არა მგრძობიარობის, არამედ იდენტიფიკაციის კრიტერიუმს – მონაცემი დაცვას ექვემდებარება, რამეთუ შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია მასზედ, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ეხება სწორედ ისეთ საჯარო ინფორმაციას, რომელიც შეიცავს სხვა პირთა პერსონალურ მონაცემებს, ამასთან, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე საჯარო ინფორმაციის გაცემას ითხოვს იდენტიფიცირებული წესით (დამტრისვის გარეშე), რაც საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის ასევე დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს. სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლითაც დადგენილია, რომ საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. პირის პერსონალურ მონაცემთა სამართლებრივ რეჟიმზე ზემოქმედებს პირის სტატუსი, კერძოდ, საჯარო პირების მონაცემთა დაცვის რეჟიმი განსხვავდება სხვა პირების სამართლებრივი დაცვის რეჟიმისაგან. თანამდებობის პირთან დაკავშირებით პირადი სფეროს შემცველი ინფორმაციის საჯაროობა ემსახურება იმ მიზანს, რომ უზრუნველყოფილი იყოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაციის გამჭირვალობა. ამდენად, მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, თანამდებობის პირის მონაცემები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად ღიაა. ამავე კოდექსის 27-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „ინფორმაციის თა-

ვისუფლებს“ თავის მიზნებისათვის, თანამდებობის პირი არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი. მოცემულ შემთხვევაში კი სადავო ბრძანებებში მითითებული პირები არ წარმოადგენენ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირებს, რომლის ვინაობის გამხელაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე და 44-ე მუხლებით უპირობოდ ეკისრება მოპასუხეს.

სასამართლოს მითითებით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემების დამუშავება ასევე მოიცავს მონაცემთა გამჟღავნებას მათი გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით. ამავე საკანონმდებლო აქტის მე-5 მუხლის „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ ეს გათვალისწინებულია კანონით, თუ აუცილებელია მესამე პირის კანონიერი ინტერესების ან მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად. სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარის მიერ სარჩელზე დართული სტატიები და განმარტებები, ვერ ადასტურებდნენ ბრძანებებში მითითებული პირების სახელებისა და გვარების მიმართ მალალ საზოგადოებრივ ინტერესს. მით უფრო იმ პირობებში, რომ ყველა პირის თანამდებობა და სამსახურებრივი მიზნებისათვის სარგებლობაში გადაცემული ავტომობილების მონაცემები სრულად იყო მითითებული მოსარჩელისთვის მიწოდებულ დოკუმენტებში. ამასთან, სახალხო დამცველის ბრძანებები ეხება სახალხო დამცველის აპარატის სახელზე რიცხულ ყველა ავტომობილს და ამ ავტომობილების სამსახურებრივი მიზნებით მოსარგებლეთა სახელებითა და გვარების მიმართ მოსარჩელე მხარის მიერ სარჩელზე დართული მტკიცებულებებით მალალი საჯარო ინტერესი ასევე არ დასტურდებოდა. ამ პირობებში, კი აღნიშნული სუბიექტები ითვლებიან პირებად, რომელთა შესახებაც პერსონალური მონაცემების გაცემისთვის კანონმდებლობით გარკვეული შეზღუდვები არის დადგენილი და მათი გაცემის საფუძვლები იდენტიფიცირებად პირთა თანხმობების გარეშე კანონით გათვალისწინებული არ არის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2016 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 29 აგვისტოს №... გადაწყვეტილება, საჯარო ინფორმაციის ნაწილობრივ დეპერსონალიზებული სახით გაცემის ნაწილში; საქართველოს სახალხო დამცველს დაევალა მოსარჩელის 2016 წლის 17 ივნისისა და 20 ივნისის განცხადებებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა დაუშტრიხავი სახით.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოცემულ საქმეზე საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რის გამოც საქმეზე მიღებულ იქნა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულია სხვათა იდეების მოპოვება, დამუშავება და შემდგომ გადაცემა, კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, პიროვნებას აქვს იდეებისა და ცნობების მიღების უფლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. აღნიშნული პრინციპი კიდევ უფრო განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით, რამდენადაც სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას – გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუციით მხოლოდ იმ შემთხვევაში იზღუდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კონსტიტუციური უფლება, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ, 2008 წლის 30 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, მოახდინა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა იმ სახის ინფორმაციის დიფერენცირება, რომლებიც დაცულია ოფიციალურ წყაროებში და დაყო ისი-

ნი რამდენიმე ჯგუფად. ამ ჯგუფებს შორის, ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია მათში შემავალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი. პირველ ჯგუფში შედის ინფორმაცია, რომელიც თავად ინფორმაციის მიღების მსურველ პირს შეეხება. ეს ინფორმაცია, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაუბრკოლებლად, კანონით დადგენილი წესით უნდა მიეწოდოს პირს. მეორე ჯგუფს წარმოადგენს ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ ინფორმაციის მიღების მსურველს არ შეეხება, მაგრამ მათი მიღება, ასევე, შესაძლებელია კანონით დადგენილი წესის დაცვით. მესამე ჯგუფში შედის ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია ინფორმაციის მეოთხე ჯგუფი, რომელიც განსხვავებით 41-ე მუხლის პირველი პუნქტისა, ინფორმაციის ავტომატურად გასაიდუმლოებას გულისხმობს. ეს არის ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, რომლებიც შეეხება კერძო პირის კერძო საკითხებს, ეს ინფორმაცია ავტომატურად გასაიდუმლოებულია და მისი გასაიდუმლოება შესაძლებელია, თუ არსებობს თავად იმ პირის თანხმობა, ვისაც ინფორმაცია შეეხება. ამდენად, ოფიციალურ წყაროებში არსებული პირის კერძო საკითხებს მიკუთვნებული მონაცემები ხელშეუხებელია და სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს დაცული გამხელისაგან, რაც შეესაბამება როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის პრინციპს, ასევე 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებულ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისაგან დაცვის პრინციპს. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ინფორმაციის პირადი საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისათვის კონკრეტული კრიტერიუმია კანონის მიერ მისი საიდუმლოების დაცვის მოთხოვნა და ის, რომ ეს ინფორმაცია პირადი ფასეულობის მქონე უნდა იყოს, რომელთა მიმართ პირს უნდა ჰქონდეს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი. ფინანსებთან, ჯანმრთელობასთან, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია პირადი ფასეულობის მქონეა და მისი საიდუმლოების დაცვას მოითხოვს ქვეყნის უზენაესი კანონი – საქართველოს კონსტიტუცია. ამდენად, პირად საიდუმლოებას მიეკუთვნება კერძო ხასიათის ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია ავტომატურად გასაიდუმლოებული სახე და ასევე საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის გადაწყვეტილებით მიჩნეულ იქნა საიდუმ-

ლოდ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით, პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვა-სა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება ემსახურება მხოლოდ დაწესებულების უფლებამოსილების განხორციელებას და ამ მონაცემთა წრე თითოეული დაწესებულებისათვის კანონის მიერ მკაცრად არის რეგლამენტირებული. ამდენად, საჯარო დაწესებულებაში მოქალაქეთა შესახებ დაცული პერსონალური მონაცემების ის ნაწილი, რომელთაც დაცვის აბსოლუტური ხასიათი გააჩნიათ, პირად საიდუმლოებას განეკუთვნება და მათი ღიაობა მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებშია დაშვებული. კონსტიტუციურ ნორმათა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამის მუხლებთან ერთობლიობაში ანალიზი ცხადყოფს, რომ საჯარო დაწესებულებაში არსებული პირის შესახებ კერძო ხასიათის ინფორმაციის დაცულობის მიმართ ამ ნორმებს გააჩნიათ განსაზღვრულობის მაღალი მაჩვენებელი, რაც პირს უქმნის სამართლიან შეგრძნებას, რომ მის შესახებ ამა თუ იმ დაწესებულებაში არსებული ინფორმაცია, რომელსაც ავტომატურად საიდუმლო ხასიათი გააჩნია, დაცული იქნება გამხელისაგან, გარდა მისივე თანხმობის ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამდენად, ამ სახის ინფორმაციის მიმართ არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის“ გამოყენების აუცილებლობა, ვინაიდან მას გააჩნია 41-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის ავტომატურად გასაიდუმლოებული ხასიათი.

სასამართლო განმარტავს, საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლებას გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს, 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტისაგან განსხვავებით, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დაცვის სუბიექტი არის პირი, რომლის კერძო სფეროს მიკუთვნებული მონაცემებიც დაცულია ოფიციალურ წყაროებში. საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტული სახის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით



სის მე-3 თავით („ინფორმაციის თავისუფლება“). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი იმეორებს კონსტიტუციურ ნორმას, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. ამავე კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე, გაეცნოს დოკუმენტაციას დედანში. საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას ადგენს ამავე კოდექსის მე-40 მუხლი.

სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ამავე საკანონმდებლო აქტის 27<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, ხოლო იდენტიფიცირებადია პირი, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით, ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხემ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე და აღნიშნა, რომ პერსონალური მონაცემები გულისხმობდა ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდებოდა იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებული იყო, არ გაეხმაურებინა პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს დასაბუთებული გადანყვეტილების გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ინფორმაციის ხელ-



მისანვდომობა საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესის ნაწილია და პირდაპირ კავშირშია (განმსაზღვრელია) საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესის გამჭვირვალობასთან, რაც თავის მხრივ, საჯარო დაწესებულების საქმიანობის კანონიერების შეფასების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი. აღნიშნული გამჭვირვალობის შეფასების კრიტერიუმი კანონმდებლობით განისაზღვრა შემდეგნაირად, რომ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული ან გაგზავნილი ინფორმაცია მაქსიმალურად უნდა იქნეს ხელმისაწვდომი ყველასათვის. ინფორმაციის გაცემაზე, ადმინისტრაციულ ორგანოს, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში გააჩნია უარის თქმის შესაძლებლობა, თუ: 1. კანონით არის გათვალისწინებული და 2. ინფორმაცია მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას. გარდა ზემოაღნიშნულისა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლი ადგენს ინფორმაციის კატეგორიებს, რომელიც ნებისმიერ დროს, ყველასათვის უნდა იქნეს ხელმისაწვდომი. აღნიშნული ინფორმაციის კატეგორიას მიაკუთვნა კანონმდებელმა საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალუბათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება (ქვეპუნქტი „დ“).

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ეხება სწორედ ისეთ საჯარო ინფორმაციას, რომელიც შეიცავს სხვა პირთა პერსონალურ მონაცემებს, რომ მოსარჩელე საჯარო ინფორმაციის გაცემას ითხოვს იდენტიფიცირებული წესით (დაშტრიხვის გარეშე), რაც საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის ასევე დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სრულიად დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარის მიერ სარჩელზე დართული სტატიები და განმარტებები, ვერ ადასტურებენ ბრძანებებში მითითებული პირების სახელებისა და გვარების მიმართ მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს. ასევე დაუსაბუთებელია არგუმენტი, რომ სახალხო დამცველის ბრძანებები ეხება სახალხო დამცველის აპარატის სახელზე რიცხულ ყველა ავტომობილს და ამ ავტომობილების სამსახურებრივი მიზნებით მოსარგებლეთა სახელებისა და გვარების მიმართ მოსარჩელე მხარის მიერ სარჩელზე დართული მტკიცებულებებით მაღალი საჯარო ინტერესი არ დასტურდება, რის გამოც, აღნიშნული სუბიექტები ითვლებიან პირებად, რომელთა შესახებაც პერსონალური მონაცემების გაცემისთვის კანონმდებ-

ლობით გარკვეული შეზღუდვებია დადგენილი და მათი გაცემის საფუძველები იდენტიფიცირებად პირთა თანხმობების გარეშე კანონით გათვალისწინებული არ არის.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე *Társaság aSzabadságjogokért v. Hungar*, სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაციის მიღების უფლება იყო საკითხი, რომელიც უნდა განხილულიყო კონვენციის 10-ე მუხლის ქრილში. მაღალ საჯარო ინტერესსა და პერსონალურ მონაცემთა დაცულობას შორის ბალანსის განმარტების კუთხით აღნიშნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის „*Magyar Helsinki v. Hungary*“ გადაწყვეტილება. სასამართლომ დაასკვნა, რომ მე-10 მუხლი მოიცავდა განმცხადებლის უფლებას, მიეღო საჯარო ინფორმაცია. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო მოცემული უფლების მოქმედების ფარგლებში ჩარევა სხვათა უფლებების, მათ შორის, პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო სწორი ბალანსის დადგენა მოცემულ ორ სიკეთეს შორის. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ საჯარო ინფორმაციის მიღების უფლების შეზღუდვა გათვალისწინებული იყო უნგრეთის კანონმდებლობით, თუმცა ის იყო ძალზედ შემზღუდველი ხასიათის და იძლეოდა ვინ როდ ინტერპრეტაციის საშუალებას. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნულმა სასამართლოებმა არასწორად განმარტეს კანონმდებლობა, არ მიანიჭეს საკმარისი მნიშვნელობა ინფორმაციის მოთხოვნის მიზანს, რომელიც მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენდა და უპირატესობა მიანიჭეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საჭიროებას. შესაბამისად, უნგრეთის კანონმდებლობა არ იძლეოდა საკმარის საფუძველს, დადგენილიყო სწორი ბალანსი პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და ისეთი ინფორმაციის გაცემას შორის, რომელზეც მაღალი საჯარო ინტერესი არსებობდა. პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და საჯარო ინფორმაციის მიღებას შორის ბალანსის დადგენის საკითხზე განმარტებების ჩამოყალიბებისას სასამართლომ უპირველეს ყოვლისა აღნიშნა, რომ მე-10 მუხლით გარანტირებული უფლება არ იყო აბსოლუტური და შესაძლებელი იყო მისი შეზღუდვა. თუმცა, ამასთან დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ დაასაბუთა საჯარო ინფორმაციის მიღების უფლების შეზღუდვის საჭიროება. პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტსა და ფარგლებზე მსჯელობისას სასამართლომ მიუთითა „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასა და სასამართლოს პრაქტიკაზე. კონვენციის მიზანს

წარმოადგენს თითოეული პიროვნების კონფიდენციალობის დაცვის უფლების უზრუნველყოფა პერსონალური მონაცემების ავტომატური საშუალებებით დამუშავებისას. თავის მხრივ, პერსონალური მონაცემები კონვენციით განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შეეხება ინდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირს („ინფორმაციის სუბიექტს“). გადანყვეტილების მიღებისას სასამართლომ მიუთითა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებულ პრაქტიკაზე, რომლის თანახმად, ნებისმიერი პირი დაცული უნდა იყოს ისეთი პერსონალური მონაცემების გავრცელებისგან, რომელიც პირადი ხასიათის მატარებელია. ასეთი შესაძლებელია იყოს ინფორმაცია პირის ჯანმრთელობის, რელიგიური მრწამსის თუ სექსუალური ორიენტაციის შესახებ. თუმცა, სასამართლოს განმარტებით, კონვენცია არ იცავს გავრცელებისგან ისეთ ინფორმაციას, რომელიც საჯარო მოხელეთა მიერ საკუთარი ოფიციალური უფლებამოსილების განხორციელების პროცესში იქნა გენერირებული და რომლის შესახებაც არსებობს განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი.

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევებში, გადანყვეტილება უნდა ყოფილიყო მიღებული ყველა ფაქტობრივი გარემოების სრულყოფილი შეფასებისა და ბალანსის საფუძველზე. მნიშვნელოვანი იყო იმის გათვალისწინება, თუ რამდენად უშვებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები ალბათობას იმისა, რომ მათი სახელები და გვარები იქნებოდა საჯაროდ ხელმისაწვდომი. მოცემულ საკითხზე, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში, პერსონალური მონაცემთა სუბიექტები ახორციელებდნენ საჯარო ფუნქციას და მათ ვერ ექნებოდათ თავიანთი პერსონალური მონაცემების დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი. სასამართლომ იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად იყო უნგრეთის მთავრობის მიერ კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ სიკეთეში ჩარევა პროპორციული. როგორც ეს საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან ირკვევა, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის მიზანს წარმოადგენდა კვლევის განხორციელება, რომელსაც უნდა შეესწავლა იურიდიული დახმარების სამსახურის მუშაობის ეფექტურობა. აღნიშნული კი, თავის მხრივ, წარმოადგენდა სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ნაწილს. სასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავსი ინფორმაციის მიღება და მოცემულ საკითხზე საჯარო დებატების გამართვისთვის ხელის შეწყობა მნიშვნელოვანი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში და წარმოადგენდა საზოგადოებრივ საქმიანობას.

შესაბამისად, სასამართლომ დააკენა, რომ უნგრეთის მთავ-

რობის მიერ კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით საჯარო ინფორმაციის გამცემზე უარის თქმა არ იყო მიზნის პროპორციული.

პალატამ მიუთითა ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, საქმეზე – „Österreichische Vereinigung zur Erhaltung, Stärkung und Schaffung eines wirtschaftlich gesunden land-und forstwirtschaftlichen Grundbesitzes v. Austria“, სადაც სასამართლო არ დაეთანხმა ავსტრიის მთავრობას და ხაზი გაუსვა, რომ მე-10 მუხლის თანახმად, საზოგადოებას აქვს უფლება, საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში, მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია. სასამართლო პრაქტიკა დაინერგა თავისუფალ მედიასთან მიმართებით, რომლის მიზანიცაა, გაავრცელოს ინფორმაცია ამგვარ საკითხებზე. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ინფორმაციის თავისუფლების საკითხებში, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, მედიასთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციები, რამდენადაც მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია ხდება მედიის კვლევის ობიექტი და შესაბამისად, საზოგადოების დაინტერესების საფუძველი. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მოცემული მსჯელობით სასამართლო ხაზგასმას აკეთებს ინფორმაციის თავისუფლების საკითხებში, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის განსაკუთრებულ სადარაჯო, სამეთვალყურეო ფუნქციაზე („watchdogs“). სასამართლომ ასევე პარალელი გაავლო მედიასთან და აღნიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში, საზოგადოებრივი დებატების უზრუნველყოფა არ ხდება მხოლოდ პრესის საშუალებით, არამედ ამ კონტექსტში ასევე განხილულ უნდა იქნეს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა ერთ-ერთ მიზანს შეადგენს საზოგადოებრივი დებატებისათვის ნიადაგის მომზადება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ, განსახილველ დავაში, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფო ქონებით სარგებლობას, კერძოდ, მოთხოვნილი ინფორმაციით მოსარჩელეს ეძლევა შესაძლებლობა, შეაფასოს, საჯარო დაწესებულების მიერ ადგილი აქვს თუ არა სახელმწიფო ქონებით მართლზომიერ სარგებლობას, ანუ სახეზეა თუ არა საჯარო მმართველობის განხორციელებისას კანონიერების პრინციპის განუხრელი დაცვა. ის გარემოება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო ქონებით სარგებლობს განსაზღვრულ პირთა წრე, არ გულისხმობს, რომ სახელმწიფო ქონების კანონიერი მოსარგებლის გამყვანებით საჯარო დაწესებულება გასცემს ინფორმაციას, რომელიც შესაძლებლობას მისცევს მესამე პირს, მოახდინოს მოსარგებლის პერსონალური მონაცემის კანონსაწინააღმდეგოდ წესით

არაპირდაპირი იდენტიფიცირება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში, ინფორმაციის გაცემის კანონიერება არ უკავშირდება კონკრეტული სუბიექტის თანხმობას, რამდენადაც კონკრეტული საჯარო მოხელეებისა თუ დამხმარე მოსამსახურეებისთვის, რომლებიც ლეგიტიმურად, კანონიერი საფუძვლით სარგებლობენ სახელმწიფო ქონებით, იმთავითვე უნდა იყოს დასაშვები, რომ მათი სახელი, გვარი, სამსახურებრივი მდგომარეობა და ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის, უფლება, ისარგებლოს სახელმწიფო ქონებით, ყველასათვის ხელმისაწვდომია პერსონალური მონაცემების (სახელი და გვარი, დაკავებული პოზიცია საჯარო დაწესებულება) შემცველი ფორმით. კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესი, რომლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს დასაბუთებული გადანყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა, საჯარო დაწესებულების მიერ, როცა საკითხი ეხება სახელმწიფო ქონების სარგებლობის ან განკარგვის კანონიერებას, ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული. მართალია, პირის პერსონალურ მონაცემთა სამართლებრივ რეჟიმზე ზემოქმედებს პირის სტატუსი, კერძოდ, საჯარო პირების მონაცემთა დაცვის რეჟიმი განსხვავდება სხვა პირების სამართლებრივი დაცვის რეჟიმისაგან, თუმცა სახელმწიფო ქონებით სარგებლობის კანონიერების თაობაზე ინფორმაციის მოპოვების უფლება, ყოველთვის განეკუთვნება აღმატებული საჯარო ინტერესის სფეროს, ემსახურება მიზანს, რომ საჯარო დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იყოს და ნებისმიერი მოქალაქის მიერ შეფასდეს მათი საქმიანობის კანონიერების ხარისხი. სახელმწიფოს ნებისმიერი მოქალაქის ლეგიტიმური ინტერესია, ფლობდეს ინფორმაციას საჯარო დაწესებულების მიერ სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფო ქონების ფლობა, სარგებლობა-განკარგვისას მისი კანონიერების თაობაზე. ამგვარი ინფორმაცია, ყოველთვის მაღალი საჯარო ინტერესის შემცველი ინფორმაციის კატეგორიაში თავსდება და მისი გაუცემლობით ირღვევა საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი.

სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც, სასამართლოს განმარტება პირდაპირ კავშირშია ინფორმაციის თავისუფლებისა და პერსონალური მონაცემე-

ბის დაცვის ინტერესებს შორის ბალანსის დარღვევასთან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მიერ საქმეზე „Magyar Helsinki v. Hungary“ მიღებული გადაწყვეტილებით ნათლად განიმარტა, შემდეგი: სასამართლო, მართალია, ათვისტნობიერებს სახელმწიფოსთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას, დაადგინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და საჯარო ინფორმაციის გაცემას შორის ბალანსი, თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება მაღალი საჯარო ინტერესის შემცველ ინფორმაციას, ის სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, გაითვალისწინოს ინფორმაციის მიმართ არსებული მაღალი საჯარო ინტერესი, და საჯარო და კერძო ინტერესთა შორის ბალანსის დაცვის მიზნით გახადოს ის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

სასამართლოს განმარტებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემების დამუშავება ასევე მოიცავს მონაცემთა გამჟღავნებას მათი გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით. ამავე საკანონმდებლო აქტის მე-5 მუხლის „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით, თუ აუცილებელია მესამე პირის კანონიერი ინტერესების ან მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად.

აქვე აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილებით დამტკიცდა საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიული გამოქვეყნების წესი და განისაზღვრა ინფორმაციათა კატეგორია, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო წესით პროაქტიულ გამოქვეყნებას. მეტიც, ამავე დადგენილების 2.2. მუხლის თანახმად, განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულია დამატებით პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია. შესაბამისად, სახელმწიფო ქონების კანონიერი ფლობა, სარგებლობის/განკარგვის თაობაზე ინფორმაცია, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განეკუთვნება რა მაღალი საჯარო ინტერესის ინფორმაციის კატეგორიას, ადმინისტრაციული ორგანოები, საქმიანობის გამჭვირვალობიდან გამომდინარე, ვალდებულნი არიან, ამ ტიპის ინფორმაცია განათავსონ ელექტრონულ პორტალზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დადგენილების დანართის მე-4 თავის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს



დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაციის სრული მიწოდება საზოგადოებისთვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სახალხო დამცველმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. სახალხო დამცველის 2016 წლის 29 აგვისტოს №... გადაწყვეტილება ინფორმაციის ნაწილობრივ დეპერსონალიზებული სახით გაცემის ნაწილში შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილ სტანდარტებს. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

კასატორის მითითებით, მოცემული დავისათვის მნიშვნელოვანია საკითხის განსაზღვრა, წარმოადგენდა თუ არა მონინალმდებელ მხარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საჯარო ინფორმაციას, თუ დაცულ პერსონალურ მონაცემს. ამის განსაზღვრა კი შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის ნორმათა საფუძველზე, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებასა და ფარგლებს, ხოლო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს იმ ინფორმაციის სახეს, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, არ ექვემდებარება გაცემას პირის თანხმობის ან სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

კასატორის აღნიშვნით, პერსონალურ მონაცემთა სამართლებრივ რეჟიმზე ზემოქმედებს პირის სტატუსი. საჯარო პირების მო-



ნაცემთა დაცვის რეჟიმი განსხვავდება სხვა პირების სამართლებრივი დაცვის რეჟიმისაგან. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზნებისთვის ცალსახაა, რომ მხოლოდ თანამდებობის პირთა მონაცემებია ღია. ამავე კოდექსის 27-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „ინფორმაციის თავისუფლების“ თავის მიზნებისთვის, თანამდებობის პირი არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი. უდავოა, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა არა თანამდებობის პირების, არამედ სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული სხვა საჯარო მოხელეების პერსონალურ მონაცემებს.

კასატორის მითითებით, მნიშვნელოვანია აგრეთვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს „მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის“ კრიტერიუმს. მოცემული ნორმა, ზოგადად, უკრძალავს ადმინისტრაციულ ორგანოს პერსონალურ მონაცემთა გაცემას, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, რომელთაც „მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი“ არ განეკუთვნება. კასატორს მიაჩნია, რომ იმ საჯარო მოხელეთა ვინაობის მიმართ, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები, ვერ იარსებებდა ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესი, რაც გადანონიდა პირის უფლებას პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე. ამგვარი განმარტება წინააღმდეგობაში მოვიდოდა არა მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ერთმნიშვნელოვან ნორმებთან, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლსა და პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ სტრასბურგის 1981 წლის კონვენციასთან. თუნდაც სახელმწიფო ქონების კანონიერი განკარგვის მონიტორინგის მიზნებისთვის, საჭირო არ ყოფილა კონკრეტული საჯარო მოხელეების ვინაობის გამჟღავნება – ავტომობილების მფლობელთა პოზიციების მითითება, რაც განხორციელდა ამომწურავად სახალხო დამცველის აპარატის მიერ. საქმისწარმოებისას ყველა პირის თანამდებობა და სამსახურებრივი მიზნებისთვის სარგებლობაში გადაცემული ავტომობილების მონაცემები სრულად გადაეცა მოწინააღმდეგე მხარეს. ამასთან, არც ერთ დეპერსონალიზებული მონაცემთა სუბიექტის ქმედებას არ გამოუწვევია რაიმე საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების ყურადღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოება-

ში იქნა მიღებული საქართველოს სახალხო დამცველის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 დეკემბრის განჩინებით საქართველოს სახალხო დამცველის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემონმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ა-ის – შპს „...“ (ყურნალი) ყურნალისტის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2016 წლის 17 ივნისს შპს „...“ (ყურნალი) ყურნალისტმა – ნ. ა-მა განცხადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, შემდეგი ინფორმაცია მოითხოვა: 1. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 28 მარტის ბრძანება №113 (დაუშტრიხავი); 2. ბრძანება, რომლითაც გაუქმდა საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 28 მარტის ბრძანება №113 (დაუშტრიხავი); 3. ყველა სახის დოკუმენტი, რომლითაც Mercedes benz ..., სახელმწიფო ნომრით ... სამსახურებრივი მიზნებისთვის მოსარგებლე თანამშრომელი განისაზღვრა (ასეთების არსებობის შემთხვევაში) (დაუშტრიხავი). 2016 წლის 20 ივნისს ნ. ა-მა განცხადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (თავი III, ინფორმაციის თავისუფლება, მე-40 მუხლის I ნაწილი) მიხედვით, საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანების გაცემა მოითხოვა. 2016 წლის 29 ივლისს შპს „...ის“ (ყურნალი) ყურნალისტმა – ნ. ა-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ იმ საჯარო ინფორმაციის გაცემა, რომელიც მოთხოვნილ იქნა მის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გაგზავნილი 2016 წლის 17 ივნისისა და 20 ივნი-

სის წერილებით.

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 29 აგვისტოს №..... გადაწყვეტილებით ნ. ა-ის ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სახალხო დამცველის აპარატის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დაევალა ნ. ა-ის 2016 წლის 17 ივნისისა და 20 ივნისის განცხადებებზე საჯარო ინფორმაციის გაცემა წინამდებარე გადაწყვეტილებაში აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ნაწილობრივ დეპერსონალიზებული სახით. კერძოდ, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დაევალა ნ. ა-ის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა, ხოლო იმ პირთა ნაწილში, რომლებმაც უარი განაცხადეს პერსონალური მონაცემების გასაჯაროებაზე დეპერსონალიზებული სახით (დაშტრიხულად) გაცემა. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 9 სექტემბრის №01-8/10513 წერილით ნ. ა-ს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში 2016 წლის 17 ივნისისა და 20 ივნისის განცხადებებისა და საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 29 აგვისტოს ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ №... გადაწყვეტილების შესაბამისად, გაეგზავნა შემდეგი დოკუმენტები: 1. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანება ნაწილობრივ დეპერსონალიზებული სახით; 2. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 28 მარტის №113 ბრძანება ნაწილობრივ დეპერსონალიზებული სახით; 3. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 5 აპრილის №118 ბრძანება ნაწილობრივ დეპერსონალიზებული სახით; 4. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 15 ივნისის №185 ბრძანება სრული სახით; 5. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 27 ივნისის №197 ბრძანება დეპერსონალიზებული სახით; 6. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 4 აგვისტოს №233 ბრძანება დეპერსონალიზებული სახით; 7. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 19 აგვისტოს №241 ბრძანება დეპერსონალიზებული სახით.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 29 აგვისტოს №... გადაწყვეტილების კანონიერება, საჯარო ინფორმაციის დეპერსონალიზებული სახით გაცემის ნაწილში. ასევე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების დადგენას, შპს „... (ჟურნალი) ჟურნალისტის – ნ. ა-ის მიერ 2016 წლის 17 ივნისისა და 20 ივნისის განცხადებებით მოთხოვნილი ინფორმაცია განეკუთვნება თუ არა პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას.

საკასაციო პალატა თავდაპირველად მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 41.1 მუხლზე და განმარტავს, რომ საქართველოს

ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტისაგან განსხვავებით, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დაცვის სუბიექტი არის პირი, რომლის კერძო სფეროს მიკუთვნებული მონაცემებიც დაცულია ოფიციალურ წყაროებში. ამდენად, ამ პუნქტით დაცული სიკეთე არის პირის კერძო სფეროს ხელშეუხებლობა, რაც გულისხმობს პირის უფლებას, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული, მის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამხელისაგან იყოს დაცული. საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული პრინციპი რეგლამენტირებულია აგრეთვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლში, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე და აღნიშნა, რომ პერსონალური მონაცემები გულისხმობდა ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდებოდა იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებული იყო, არ გაეხმაურებინა პერსონალური მონაცემები თავად ამ პირის თანხმობის გარეშე. პირის პერსონალური მონაცემი არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი, იგი დაცულია სახელმწიფოსა და ნებისმიერი პირის ჩარევისაგან. ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოთხოვნა ეხება იმ პირთა მონაცემების გაცემას, რომლებიც წარმოადგენენ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს და მოთხოვნილი ინფორმაციის სრულყოფილი სახით მიწოდება იძლევა პირთა იდენტიფიკაციის საშუალებას და ეხება მათ პერსონალურ მონაცემს. ასეთი ინფორმაციის გაცემა შესაძლებელია, თუ არსებობს თავად იმ პირის თანხმობა, ვისაც ეს ინფორმაცია ეხება. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სხვა შემთხვევები კანონით უნდა იყოს დადგენილი და აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უკავშირდება საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესს. იმისათვის, რომ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესი იყოს გამჭვირვალე, აუცილებელია სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი. ინფორმაციის ღიაობა აქტუალური ხდება ასევე, როდესაც სუბიექტი არ ახორციელებს მმართველობით ფუნქციას, მაგრამ მისი საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსების ფარგლებში.

სუბიექტი, რომელიც ახორციელებს საჯარო მმართველობას არის ადმინისტრაციული ორგანო. ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნა ვრცელდება ადმინისტრაციულ ორგანოზე. ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ ადმინისტრაციულ ორგანოში დაცული, აგრეთვე მის საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია არის საჯარო.

აღნიშნული ორი კრიტერიუმის გათვალისწინებით, ინფორმაციის თავისუფლების მიზნებისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განისაზღვრა ახალი ტერმინი – საჯარო დანესებულება. სუბიექტი, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს (ადმინისტრაციული ორგანო) ან მოქმედებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსების ფარგლებში არის საჯარო დანესებულება და მასზე ვრცელდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ადმინისტრაციულმა ორგანომ ორ შემთხვევაში შეიძლება თქვას უარი: 1. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში და 2. ინფორმაცია მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას. კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, შპს „...“ (ჟურნალი) ჟურნალისტმა – ნ. ა-მა 2016 წლის 17 და 20 ივნისის განცხადებებით მოითხოვა საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 28 მარტის №113 ბრძანების, ასევე ბრძანების, რომლითაც გაუქმდა საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 28 მარტის №113 ბრძანება, ყველა სახის დოკუმენტი, რომლითაც Mercedes benz ..., სახელმწიფო ნომრით – ... სამსახურებრივი მიზნებისთვის მოსარგებლე თანამშრომელი განისაზღვრა (ასეთების არსებობის შემთხვევაში), 2016 წლის 29 იანვრის №45 ბრძანების დაუშტრიხა-

ვი სახით გაცემა. შპს „...“ (ყურნალი) ყურნალისტმა – ნ. ა-მა ასევე, ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დაუშტრიხავი სახით იმ საჯარო ინფორმაციის გაცემა, რომელიც მოთხოვნილ იქნა მის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გაგზავნილი 2016 წლის 17 ივნისისა და 20 ივნისის განცხადებებით.

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 29 აგვისტოს №..... გადაწყვეტილებით სახალხო დამცველის აპარატის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს დაევალა ნ. ა-ის 2016 წლის 17 ივნისისა და 20 ივნისის განცხადებებზე საჯარო ინფორმაციის გაცემა დეპერსონალიზებული სახით. კერძოდ, იმ პირთა ნაწილში, რომლებმაც უარი განაცხადეს პერსონალური მონაცემების გასაჯაროებაზე დეპერსონალიზებული სახით (დაშტრიხულად) ინფორმაციის გაცემა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებას იმასთან მიმართებაში, რომ შპს „...“ (ყურნალი) ყურნალისტის – ნ. ა-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია იყო პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, რომლის გაცემასაც, ანუ უფლებას, გაიცეს ისეთი საჯარო ინფორმაცია, რომელიც პერსონალური მონაცემების შემცველია, გარკვეულწილად, ზღუდავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიუთითებს ამავე კოდექსის მე-10 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, ყველას აქვს უფლება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. მითითებული კოდექსის 27<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. პერსონალური ინფორმაციის სამართლებრივი შეფასებისათვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია თვით ინფორმაცია. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემი ეს არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნორმით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოცი-



ალური ნიშნებით. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ინფორმაცია, რომელიც არ აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმებს, არ არის საინტერესო პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნებისთვის. ე.ი. ინფორმაციის პერსონალური მონაცემების შემცველად მიჩნევისათვის ის აუცილებლად უნდა შეიცავდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ ნიშნებს.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, შპს „...“ (ყურნალი) ყურნალისტის – ნ. ა-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია მოიცავს ისეთ საჯარო ინფორმაციას, რომელიც შეიცავს სხვა პირთა პერსონალურ მონაცემებს. ამასთან, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ იგი საჯარო ინფორმაციის გაცემას ითხოვს სწორედ იდენტიფიცირებული (დაუშტრიხავი) წესით. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია მისი აგება იდენტიფიკაციის კრიტერიუმზე, რომლის თანახმად, პერსონალური მონაცემები იმთავითვე დახურულია, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ან თუ პირი თავად არ ახდენს მონაცემის გახმაურებას. პერსონალური მონაცემი არის პირადი ცხოვრების დაცვის ერთ-ერთი საშუალება. პერსონალური მონაცემის დაცვაში პრიორიტეტი ენიჭება არა მგრძობიარობის, არამედ იდენტიფიკაციის კრიტერიუმს – მონაცემი დაცვას ექვემდებარება, რამეთუ შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 41.2 მუხლზე, რომლის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. მოსარჩელის მოთხოვნა ეხება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების კონკრეტულ პირებზე გადაცემის შესახებ ინფორმაციის გაცემის დავალებას, ასევე, იმ დოკუმენტაციის მოთხოვნას, რომლითაც Mercedes benz ..., სახელმწიფო ნომრით – ... სამსახურებრივი მიზნებისთვის მოსარგებლე თანამშრომელი განისაზღვრა. მოთხოვნილი ინფორმაცია იძლევა პირის იდენტიფიკაციის საშუალებას, ანუ ეხება პირის პერსონალურ მონაცემებს. საჯარო ინფორმაცია, რომელიც იძლევა იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, არის პირის პერსონალური მონაცემი, შესაბამისად, ასეთ ინფორმაციაზე ვრცელდება პერსონალური მონაცემების დაცვის რეჟიმი. მასზე ზემოქმედებს პირის სტატუსი, კერძოდ, საჯარო პირის მო-



ნაცემთა დაცვის რეჟიმი განსხვავდება სხვა პირების სამართლებრივი დაცვის რეჟიმისაგან. თანამდებობის პირებთან დაკავშირებით პირადი სფეროს შემცველი ინფორმაციის საჯაროობა ემსახურება იმ მიზანს, რომ უზრუნველყოფილი იყოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა. ამდენად, მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, თანამდებობის პირის მონაცემები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად ღიაა. ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების“ თავის მიზნებისათვის თანამდებობის პირი არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი.

განსახილველ შემთხვევაში, სადავო ბრძანებაში მითითებული პირები არ წარმოადგენენ ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებულ თანამდებობის პირებს, რომელთა ვინაობის გამხელაც უპირობოდ ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს. ამასთან, საქმის მასალებში წარმოდგენილი სტატიები და განმარტებები, ვერ ადასტურებენ სადავო ბრძანებაში მითითებული პირების სახელებისა და გვარების მიმართ მალალ საზოგადოებრივ ინტერესს. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მნიშვნელოვანია აგრეთვე ის გარემოება, რომ შპს „...“ (ყოფრნალი) ყურნალისტის – ნ. ა-ის განცხადებებით მოთხოვნილი ყველა პირის თანამდებობა და სამსახურებრივი მიზნებისათვის სარგებლობაში გადაცემული ავტომობილების მონაცემები სრულად არის მითითებული დოკუმენტებში. აღნიშნული სუბიექტები ითვლებიან პირებად, რომელთა შესახებ პერსონალური მონაცემების გაცემისათვის კანონმდებლობით გარკვეული შეზღუდვებია დადგენილი და მათი გაცემის საფუძვლები იდენტიფიცირებად პირთა თანხმობის გარეშე, კანონით გათვალისწინებული არ არის. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ეტაპზე, სათანადო შეტყობინებები გაეგზავნა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს, რომელთაც ეცნობათ ადმინისტრაციული საჩივრით მოთხოვნილი ინფორმაციის თაობაზე. თანამშრომელთა ნაწილმა თანხმობა განაცხადა მათი პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების საჩივრის ავტორისათვის გადაცემაზე, ხოლო ნაწილმა უარი დააფიქსირა. ამდენად, სახალხო დამცველის აპარატი ვერ გასცემდა ინფორმაციას იმ პირების შესახებ, რომელთაც უარი განაცხადეს თავისი პერსონალური მონაცემების გასაჯაროებაზე. ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა იმ ნაწილში, სა-

დაც არსებობდა მონაცემთა სუბიექტების თანხმობა, მაგრამ სადაც ამგვარი თანხმობა არ იყო, დოკუმენტები გაიცა დეპერსონალიზებული სახით, მხოლოდ სახელისა და გვარის დაშტრიხვით.

მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია აგრეთვე „მაღალ საჯარო ინტერესსა“ და პერსონალურ მონაცემთა დაცულობას შორის ბალანსის დადგენა. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნულთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, სადაც განმარტებულია, რომ ინფორმაციის გაცემის კანონიერება არ უკავშირდება კონკრეტული სუბიექტის თანხმობას, რამდენადაც კონკრეტული საჯარო მოხელეებისა თუ დამხმარე მოსამსახურეებისათვის, რომლებიც ლეგიტიმურად, კანონიერი საფუძვლით სარგებლობენ სახელმწიფო ქონებით, იმთავითვე უნდა იყოს დასაშვები, რომ მათი სახელი, გვარი სამსახურებრივი მდგომარეობა და ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის უფლება, ისარგებლონ სახელმწიფო ქონებით, ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს პერსონალური მონაცემების შემცველი ფორმით. სააპელაციო სასამართლომ მოცემული მსჯელობის გასამყარებლად მიუთითა არა ერთ ევროსასამართლოს გადანყვეტილებაზე, სადაც ინფორმაციის მიღების უფლება იყო საკითხი, რომელიც უნდა განხილულიყო ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის ჭრილში, მითითებული ნორმით გარანტირებული უფლება არ იყო აბსულუტური უფლება და შესაძლებელი იყო მისი შეზღუდვა, მაგრამ მოპასუხე სახელმწიფოები ვერ ასაბუთებდნენ საჯარო ინფორმაციის მიღების უფლების შეზღუდვის საჭიროებას (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე *Társaság aSzabadságjogokért v. Hungar*; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადანყვეტილება საქმეზე „*Magyar Helsinki v. Hungary*“; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 28 ნოემბრის გადანყვეტილება საქმეზე „*Österreichische Vereinigung zur Erhaltung, Stärkung und Schaffung eines wirtschaftlich gesunden land- und forstwirtschaftlichen Grundbesitzes v. Austria*“).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო მოხელეთა ვინაობების მიმართ, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები, ვერ იარსებებს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, რაც გადანონის პირის უფლებას პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემი კონფიდენციალურ ინფორმაციას განეკუთვნება. ამავე კანონის 44-ე მუხლი შეიცავს საგამონაკლისო ნორმას მხოლოდ თანამდებობის პირებისათვის. მონაცემთა დეპერსონალიზაცია უზრუნველყოფს ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილის ღია-

ობას, ხელმისაწვდომობას, რაც ზედმინევენითაა დაცული სადავო აქტში. კერძოდ, შპს „...ის“ (ჟურნალი) ჟურნალისტის – ნ. ა-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია გაცემულია სრულად და დაშტრიხულია მხოლოდ იმ პირთა პერსონალური მონაცემები, რომლებმაც უარი განაცხადეს მათ გასაჯაროებაზე. ამდენად, პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის რეჟიმი იხსნება მონაცემების დე-პერსონალიზაციის, აგრეთვე სუბიექტის ნება-სურვილის შემთხვევაში. ინფორმაციის დეპერსონალიზაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მონაცემთა სუბიექტის სტატუსზე, ინფორმაციის საჯარო ინფორმაციისადმი კუთვნილებაზე. აღნიშნულის საპირისპირო განმარტებები წინააღმდეგობაში მოდის როგორც ეროვნული კანონმდებლობის ნორმებთან, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლსა და „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ სტრასბურგის 1981 წლის კონვენციასთან, რომლის მიზანს წარმოადგენს თითოეული პიროვნების კონფიდენციალობის დაცვის უფლების უზრუნველყოფა პერსონალური მონაცემების ავტომატური საშუალებებით დამუშავებისას. თავის მხრივ, პერსონალური მონაცემები კონვენციით განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შეეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირს (ინფორმაციის სუბიექტს). საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს „ძირითად უფლებათა შესახებ“ ევროპულ ქარტიაზე, რომელიც არის პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომლითაც პერსონალური მონაცემების დაცვა ცალკე უფლებად იქნა აღიარებული (მე-8 მუხლი). მიუხედავად პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებებს შორის მჭიდრო კავშირისა, მათი დამოუკიდებელ უფლებებად აღიარება მნიშვნელოვან სამართლებრივ განვითარებად ფასდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 29 აგვისტოს №.....გადანყვეტილება კანონშესაბამისია და მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევა, რომლის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასა-

ციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...ის“ (ჟურნალი) ჟურნალისტის – ნ. ა-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს სახალხო დამცველის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „...ის“ (ჟურნალი) ჟურნალისტის – ნ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მაკონტროლებელი ორგანოს მიერ მისი კომპეტენციის  
ფარგლებში ინფორმაციის მოთხოვნისა და  
პარსონალური მონაცემების დამუშავების  
უზღაბამოსილება**

**გადანყვებითლება  
საქართველოს სახელით**

№ბს-407-407(კ-18)

30 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

სს „სადაზღვევო კომპანია ...“, სს „სადაზღვევო კომპანია ჯ...“, სს „ი...“ 2016 წლის 18 მარტს სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს: ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 თებერვლის №01/10-ო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ბრძანება, რომლის საფუძველზეც სს „სადაზღვევო კომპანია ...“ დაჯარიმებულ იქნა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით; ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 თებერვლის №01/9-ო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ბრძანება, რომლის საფუძველზეც სს „სადაზღვევო კომპანია ჯ...“ დაჯარიმებული იქნა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით; ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 თებერვლის №01/8-ო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ბრძანება, რომლის საფუძველზეც სს „ი...“ დაჯარიმებულ იქნა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ 2016 წლის 29 იანვარს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამ-

სახურის ელექტრონული ფოსტიდან 14:43 საათზე მოსარჩელეთა ელექტრონულ ფოსტებზე გაგზავნილ იქნა მოთხოვნა, რომ იმავე დღის ბოლომდე სამსახურისთვის მიენოღებინათ ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო კომპანიებში დაზღვეულ პირთა მონაცემები 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაზღვევის პერიოდი). აღნიშნული მოთხოვნა კვლავ განმეორდა ელექტრონული ფოსტის საშუალებით 2016 წლის 1 თებერვალს. სს „სადაზღვევო კომპანია ...“ 2016 წლის 2 თებერვალს ელექტრონული ფოსტის საშუალებით შეატყობინა სამსახურს, რომ აღნიშნული ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემებს, რომლის გადაცემის/დამუშავებისათვის საჭირო იყო კანონით გათვალისწინებული საფუძველი და სთხოვა სამსახურს, რომ მიეთითებინა იმ ნორმატიულ აქტზე, რომელიც უფლებას მისცემდა სადაზღვევო კომპანიას გაეცა მოთხოვნილი მონაცემები და ეცნობებინა ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი, რაზეც სამსახურის მხრიდან რაიმე რეაგირებას ადგილი არ ჰქონია.

სამსახურმა 2016 წლის 4 თებერვალს №54, №56 და №58 წერილებით მოსთხოვა სს „სადაზღვევო კომპანია ...“, სს „სადაზღვევო კომპანია ჯ...“ და სს „ი...“ ინფორმაციის გაცემა არა უგვიანეს 2016 წლის 5 თებერვლისა. წერილში მითითებულ იქნა ის ნორმატიული აქტები, რომელიც საფუძველს აძლევდა სამსახურს მოეთხოვა მოსარჩელებისგან ინფორმაციის მიღება.

სს „სადაზღვევო კომპანია ...“ 2016 წლის 5 თებერვლის №GE058OUT წერილით აცნობა სამსახურს, რომ ის ნორმატიული საფუძველი, რომელსაც ის უთითებდა ინფორმაციის მოთხოვნის უფლების დასადასტურებლად №54 წერილში, არ იძლეოდა ინფორმაციის გადაცემის სამართლებრივ საფუძველს და კვლავ სთხოვა, რომ მიეთითებინა სათანადო ნორმატიულ აქტზე, რათა ინფორმაციის გამცემი ორგანიზაცია დარწმუნებულიყო ინფორმაციის გაცემის სავალდებულობაში და არ დაერღვია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, რომლის დამრღვევი პირი ექვემდებარება დაჯარიმებას ამავე კანონის თანახმად.

სს სს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 9 თებერვლის №69, №70 და №73 წერილებით სადაზღვევო ბაზრის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის კვლევისა და ანალიზის მიზნით მოსარჩელებისგან მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია 2013 წლის 1 ივლისისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიებში დაზღვეულ პირთა რაოდე-

ნობის შესახებ, პირადი ნომრის და დაბადების თარიღის მითითებით. აღნიშნული ინფორმაცია სს „სადაზღვევო კომპანია ...“ სამსახურს მიაწოდა 2016 წლის 10 თებერვლის №GE074OUT წერილით, ხოლო სს „სადაზღვევო კომპანია ჯ...“ და სს „ი...“ 2016 წლის 9 თებერვლის №0869 და №86 წერილებით. მოგვიანებით, 2016 წლის 11 თებერვლის №81, №83 და №84 წერილებით სამსახურმა მოსარჩელებებს მისცა წერილობითი გაფრთხილება და კვლავ მოითხოვა №54, №56 და №58 წერილებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნულის პასუხად სს „სადაზღვევო კომპანია ...“ 2016 წლის 19 თებერვლის №GE107OUT წერილით აცნობა, რომ ინფორმაცია მას უკვე მიწოდებული ჰქონდა 2016 წლის 10 თებერვლის №GE074OUT წერილით.

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 17 თებერვლის №01-10-ო ბრძანების საფუძველზე სს „სადაზღვევო კომპანია ...“ დაჯარიმდა 1000 ლარით №54 და №81 წერილობითი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო. ასევე 1000 ლარით დაჯარიმდა სს „ი...“ – 2016 წლის 17 თებერვლის №01/8-ო ბრძანებით, სამსახურის №58 და №83 წერილობითი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, ხოლო სს „სადაზღვევო კომპანია ჯ...“ – 2016 წლის 17 თებერვლის №01/9-ო ბრძანებით დაჯარიმდა 1000 ლარით, სამსახურის №56 და №84 წერილობითი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო.

მოსარჩევეების მოსაზრებით სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო იყო კანონით გათვალისწინებული საფუძველი, რადგან მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს, რის შესახებაც სს „სადაზღვევო კომპანია ...“ აცნობა სამსახურს, რაზეც სამსახურს დამატებითი რეაგირება არ მოუხდენია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით სს „სადაზღვევო კომპანია ...“, სს „სადაზღვევო კომპანია ჯ...“, სს „ი...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 თებერვლის №01/10-ო, №01/9-ო და №01/8-ო ბრძანებები. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 25 იანვრის განჩინებით სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სა-



აპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ საქმეზე მნიშვნელოვან ფაქტორივ გაერმოებას წარმოადგენს შემდეგი: სს „სადაზღვევო კომპანია ...“ სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს, ელექტრონული ფოსტით გაუგზავნა წერილი, რომლითაც აცნობა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემს, რომლის დამუშავება (გადაცემა) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოითხოვდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობას. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით სთხოვა მიეთითებინათ იმ ნორმატიულ აქტზე, რომელიც უფლებას მისცემდა სადაზღვევო კომპანიას, გაეცა ხსენებული მონაცემები და ასევე სთხოვა ეცნობებინა ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე შეფასებას საჭიროებდა, ჰქონდა თუ არა უფლება სადაზღვევო კომპანიას, შესაბამისი ნორმატიული აქტის მიუთითებლობის, ანუ სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის პირობებში, გაეცა სხვათა პერსონალური ინფორმაცია. პერსონალური მონაცემის ცნება, მათ დაცვა-სა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. კანონი მონაცემთა დამუშავებისას გარკვეული პრინციპების მკაცრად დაცვას განსაზღვრავს, კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები: ა) მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად; ბ) მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. და-

უშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით; გ) მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი; ამავე საკანონმდებლო აქტის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით და მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. ამავე კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილმა პირმა შეიძლება დაამუშაოს მონაცემები სამართლებრივი აქტის ან მონაცემთა დამმუშავებელთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა ითვალისწინებდეს ამ კანონით დადგენილ წესებსა და აკრძალვებს, ხოლო მეორე პუნქტის თანახმად, უფლებამოსილმა პირმა მონაცემები უნდა დაამუშაოს შესაბამისი სამართლებრივი აქტით ან ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში. დაუშვებელია უფლებამოსილი პირის მიერ ნებისმიერი სხვა მიზნით მონაცემთა შემდგომი დამუშავება. დაუშვებელია, უფლებამოსილმა პირმა მონაცემთა დამუშავების უფლება სხვა პირს მონაცემთა დამმუშავებლის თანხმობის გარეშე გადასცეს. ამდენად, მონაცემთა დამუშავების კანონიერად განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ იგი დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, პიროვნების ღირსების შეულახავად, რაც გულისხმობს მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის არსებობას, მონაცემთა დამუშავების მიზნის გამჭვირვალობას და მათ გამოყენებას კანონიერი მიზნით; ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებამდე აუცილებელია კანონიერი და კონკრეტული მიზნის განსაზღვრა. ასევე მონაცემები შესაძლებელია დამუშავდეს თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით და მონაცემთა დამუშავება წარმოადგენს მონაცემთა დამმუშავებლისთვის კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებას.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით მოპასუხის მიერ, მოსარჩელე კომპანიებისაგან გამოთხოვილი დაზღვეულ პირთა (ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლეთა) პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია და სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სადაზღვევო კომპანიების მიმართ გაგზავნილ წერილებში არ იყო კონკრეტულად მითითებული სამარ-

თლებრივი საფუძველი, ნორმატიული აქტი და ინფორმაციის გამოთხოვის მიზანი, თუ რატომ უნდა გადაეცათ მოსარჩელებს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის, დაზღვეულ პირთა (ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლეთა) პერსონალური მონაცემი (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი), მით უფრო იმ პირობებში, როდესაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემის გაცემა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე დაუშვებელია და ინვესს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას და გაცემისას, კანონი პირდაპირ ითხოვს კონკრეტულ ნორმატიულ აქტზე მითითებას. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, პერსონალური მონაცემების გამოთხოვისას მიეთითებინა კანონით განსაზღვრული საფუძველი, რაც დაავალდებულებდა მოსარჩელებს, გაცემა მათთან დაცული, დაზღვეულ პირთა (ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლეთა) პერსონალური მონაცემი, მოთხოვნა უნდა ყოფილიყო დასაბუთებული და მოთხოვნის შესასრულებლად მიცემული ვადა – გონივრული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 25 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იხელმძღვანელა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ნორმებით, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მოცემულ საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. კერძოდ, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: „1. დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ განხორციელებული სადაზღვევო ოპერაციისა და ტრანზაქციის (მათ შორის, გარიგების დადების მცდელობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეცეთ მხოლოდ თავად დამზღვევს/დაზღვეულს/მოსარგებლეს და მის წარმომადგენელს, სამსახურს – მისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს...“ ნათელია, რომ მზღვეველებს კანონით პირდაპირ აქვთ მინიჭებული საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისთვის არათუ მოქმედი გარიგებების, არამედ გარიგების დადების მცდელობის შესახებ ინფორმაციის გაცემის უფლება. მზღვეველს, როგორც მონაცემთა დამმუშავებელს კანონით აქვს

მინიჭებული მონაცემთა გადაცემის უფლება სამსახურისთვის მისი (სამსახურის) კომპეტენციის ფარგლებში, რაც გამორიცხავს მათ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას პერსონალური მონაცემების გადაცემის კუთხით. რაც შეეხება სამსახურის კომპეტენციას, იგი განსაზღვრულია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონითა და მთავრობის 2013 წლის 2 მაისის №102 დადგენილებით „სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შექმნისა და მასთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ“. სადავო შემთხვევაში მზღვეველისადმი მიწერილ ორივე წერილში მითითებულია სამსახურის კომპეტენციის ფარგლები. კერძოდ: 2016 წლის 4 თებერვლის №54 წერილში განმარტებულია, რომ ინფორმაციის გამოთხოვა ხდება „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით – „ზედამხედველობა გაუწიოს მზღვეველის მიერ ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვას და შეამოწმოს ისინი, ასევე შეამოწმოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და სხვა მასალები, რისთვისაც შეუძლია მზღვეველისაგან გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში“. 2013 წლის 2 მაისის მთავრობის №102 დადგენილების „სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შექმნისა და მასთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სამსახური „ახორციელებს სხვა ქმედებებს, რომლებიც მიმართულია სამსახურის მიზნებისა და ფუნქციების შესრულებისკენ; ახორციელებს ამ დებულებით და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს“, რომელიც თავის თავში მოიცავს გამოთხოვის მიზანსა და მიზეზს. 2016 წლის 11 თებერვლის №73 წერილში კი მითითებულია დამატებითი საფუძვლები, რაც მზღვეველისთვის, როგორც სადაზღვევო ბაზრის სპეციალური ქმედუნარიანობით აღჭურვილი მონაწილისთვის ისედაც ცხადი და ნაცნობი უნდა ყოფილიყო. სახელდობრ, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი, მე-20 მუხლი, 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და 29-ე მუხლის პირველი პუნქტი. კასატორის მოსაზრებით, სწორედ ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლების გამოყენების სისწორე უნდა შეეფასებინა სასამართლოს, რაზეც მას რეალურად არც უმსჯელია და მხოლოდ ამის შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება გასაჩივრებული ბრძანებების კანონიერების თაობაზე.

კასატორის მოსაზრებით, ასევე დაუსაბუთებელია სასამარ-

თლოს დასკვნა, რომ სადავო შემთხვევაში მზღვეველისთვის „მოთხოვნის შესასრულებლად მიცემული ვადა უნდა ყოფილიყო გონივრული“. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია: ა) აპელანტის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებს, რომ მზღვეველის საქმიანობის აღრიცხვისას კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების ფაქტორის გათვალისწინებით მიცემული ვადა სრულებითაც არ იყო არაგონივრული და აღებული იყო ზედამხედველობის პროცესის პრაქტიკიდან. მაგალითად, თავად მოსარჩელეების მიერ პირველ ინსტანციაში წარდგენილი წერილები (სარჩელის დანართი №07, №08, №09), ასევე, აპელანტის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი მოსარჩელეების წერილები (სააპელაციო საჩივრის დანართი №3). იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მოახდენდა წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლასა და შეფასებას, ნათელი გახდებოდა, რომ სადაზღვევო კომპანიების მიერ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისთვის, მიწოდებულ იქნა ანალოგიური ხასიათის და მოცულობის ინფორმაცია დაზღვევის სხვადასხვა პერიოდზე, ზედამხედველობის სამსახურის მიერ მოთხოვნის წარდგენიდან ერთიდან მაქსიმუმ ორი სამუშაო დღის ვადაში. ამდენად, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ განსაზღვრული ვადა ინფორმაციის წარმოდგენის ნაწილში, ცალსახად, წარმოადგენდა გონივრულ ვადას დანერგილი პრაქტიკიდან და სამუშაო პროცესებიდან გამომდინარე.

კასატორი მიიჩნევს, რომ მოსარჩელეებისთვის ინფორმაციის წარდგენისათვის განსაზღვრული ვადა შეესაბამებოდა საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2009 წლის 15 მაისის № 21 ბრძანებით „მზღვეველის საქმიანობის აღრიცხვის წესის“ დამტკიცების თაობაზე დადგენილ ვადას, ასევე, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 თებერვლის №11 ბრძანებით „სადაზღვევო ორგანიზაციების შიგა აღრიცხვის მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე დადგენილ ვადას, რომელიც გარდა ვადებისა განსაზღვრავს მზღვეველის მონაცემთა ბაზის სტანდარტს, მათ შორის „ინფორმაციას სადაზღვევო პოლისების შესახებ“ და მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაციის საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში წარდგენის წესს, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

კასატორი აღნიშნავს, რომ განჩინების გამოტანისას სასამართლომ გარდა იმისა, რომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გა-

მოეყენებინა, ასევე არასწორად განმარტა ის კანონი, რომელიც საფუძვლად დაუდო გასაჩივრებული ბრძანებების ბათილად ცნობას. კერძოდ, სასამართლომ იმსჯელა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5 და მე-16 მუხლებზე დაყრდნობით და მიუთითა, რომ „მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით და მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად“ და მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, არ ჰქონდა უფლებამოსილება კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის გარეშე მოეხდინა პერსონალურ მონაცემთა გამოთხოვა და დამუშავება. იმისათვის, რომ სასამართლოს სწორად მოეხდინა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტება და პერსონალურ მონაცემთა გადაცემასთან დაკავშირებით სამართლებრივი საფუძვლების არსებობის დადგენა, პირველ რიგში, მას უნდა ემსჯელა სადაზღვევო საქმიანობის მარეგულირებელ სპეციალურ სამართლებრივ აქტებზე, ამ ქრილში გამოეკვლია სადავო საკითხი და მხოლოდ ამის შემდეგ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთობლივად განმარტების საფუძველზე მიეღო გადაწყვეტილება. ვინაიდან, სხვაგვარად უბრალოდ შეუძლებელია სასამართლოს მხრიდან მომხდარიყო ნორმათა სწორი კვალიფიკაცია.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია ისეთ მნიშვნელოვან მტკიცებულებასთან დაკავშირებით, როგორც არის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის 2016 წლის 16 დეკემბრის წერილი, რომელიც წარდგენილი იქნა აპელანტის მიერ სააპელაციო სასამართლოში (სააპელაციო საჩივრის დანართი №3, 2016 წლის 27 დეკემბრის №616 წერილის დანართი). ამ წერილით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა ააიპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციას“ გაუწია კონსულტაცია საკითხზე, რომელიც შეეხებოდა „მზღვეველი ორგანიზაციების მიერ ე.წ. „ჩვეულებრივი კატეგორიის“ პერსონალური მონაცემების გადაცემას სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისთვის, ჯანმრთელობის დაზღვევის სფეროში სტატისტიკური კვლევის განხორციელებისა და მზღვეველის მიერ სწორი აღრიცხვიანობის წარმოების შემომნების მიზნით“. სწორედ აღნიშნული ინფორმაციის მიუწოდებლობის საფუძველზე განხორციელდა სა-



ქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან გასაჩივრებული ბრძანების გამოცემა, რაც დაუშვებელია თუნდაც იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საჯარო და კერძო დაწესებულებებისათვის, აგრეთვე ფიზიკური პირებისათვის მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა. სააპელაციო სამართლოში წარდგენილ, საქმეზე მტკიცებულებად დართულ წერილში კი – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლ(ებ)ის არსებობა/არარსებობის შეფასებისას აუცილებელია სადაზღვევო საქმიანობის მარეგულირებელი სპეციალური სამართლებრივი აქტების გათვალისწინებაც“, რის საფუძველზეც, საკითხის განხილვას ავითარებს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19, მე-20, 21-ე, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 თებერვლის „სადაზღვევო ორგანიზაციების შიგა აღრიცხვის მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე №11 ბრძანების შესახებ მსჯელობით და ამ ნორმატიული აქტების ანალიზის შედეგად კი აკეთებს შემდეგ დასკვნას – „მოცემულ შემთხვევაში, თქვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით და მასში მითითებული სამართლებრივი აქტებით იკვეთება მზღვეველი ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის სამსახურისთვის გადაცემის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობა“. ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლო მიერ გამოყენებული კანონის არასწორი ინტერპრეტაციისა და კონკრეტულ სფეროში არსებული სპეციალური ნორმატიული აქტების განუხილველობის შედეგად, სასამართლო მივიდა სამართლებრივად დაუსაბუთებელ დასკვნამდე და არასწორად განმარტა, რომ არ არსებობდა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლები და მიზნები. საერთოდ არ გაამახვილა ყურადღება, სექტორში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, სადაზღვევო კომპანიების მხრიდან საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისთვის, სხვადასხვა პერიოდებში მიწოდებულ ანალოგიური მინაარსის შემცველ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რაზეც ცალსახად მიუთითებს მოსარჩევეების მიერ პირველ ინსტანციაში წარდგენილი მტკიცებულებები (სარჩელის დანართი №07, №08, №09) და აპელანტის მიერ სააპელაციო სასამართლოში დამატებით წარდგენილი წერილები (სააპელაციო საჩივრის დანართი №3).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-



მეთა პალატის 2018 წლის 10 ივლისის განჩინებით სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის საკაცაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკაცაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკაცაციო საჩივრის მოტივების შემონმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის საკაცაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 25 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სს „სადაზღვევო კომპანია ...“, სს „სადაზღვევო კომპანია ჯ...“ და სს „ი...“ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის ფაქტობრივი საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ მოსარჩელების მიერ არ იქნა შესრულებული სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მათდამი დაქვემდებარებულ კომპანიაში დაზღვეული პირების (ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლე) თაობაზე ინფორმაციის (დაზღვეულის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, მზღვეველი და სადაზღვევო პერიოდი) მიწოდების შესახებ. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2015 წლის 17 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის მიმართ ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის“ მე-2 მუხლის მე-11 პუნქტითა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის №102 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ „სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ სადაზღვევო კომპანიების მიმართ გაგზავნილ წერილებში არ იყო კონკრეტულად მითითებული სამართლებრივი საფუძველი, ნორმატიული აქტი და ინფორმაციის გამოთხოვის მიზანი, თუ რატომ უნდა გადაეცათ მოსარჩელებს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის, დაზღვეულ პირთა (ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლეთა) პერსონალური მონაცემი (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი), მით უფრო იმ პირობებში, როდესაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემის გაცემა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე დაუშვებელია და იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას და გაცემისას, კანონი პირდაპირ ითხოვს კონკრეტულ ნორმატიულ აქტზე მითითებას. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, პერსონალური მონაცემების გამოთხოვისას მიეთითებინა კანონით განსაზღვრული საფუძველი, რაც დაავალდებულებდა მოსარჩელებს, გაეცათ მათთან დაცული, დაზღვეულ პირთა (ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლეთა) პერსონალური მონაცემი, მოთხოვნა უნდა ყოფილიყო დასაბუთებული და მოთხოვნის შესასრულებლად მიცემული ვადა უნდა ყოფილიყო გონივრული“.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოს ზემოაღნიშნულ დასაბუთებას, მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო ფორმალურად მიუდგა საკითხის გადანყვეტას, არასწორად განმარტა კანონი და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედებს კანონის ცოდნის პრეზუმფცია, ანუ ივარაუდება, რომ პირმა იცის კანონი, რამეთუ სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლი განსაზღვრავს ნორმატიული აქტების ძალაში შესვლის, გაუქმებისა და კანონის ცოდნის პრეზუმფციის ზოგად დებულებებს და მას რაიმე მხოლოდ სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი სპეციფიური დანიშნულება და ფუნქცია არ გააჩნია. ამდენად, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილებისა და მზღვეველის ვალდებულების განმსაზღვრელი ნორმატიული აქტების არცოდნა არ შეიძლება გახდეს მოსარჩელეთა მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი.

მონაცემთა დამუშავების პრინციპები განსაზღვრულია „პერ-

სონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით. იმავე კანონის მე-2 თავით დადგენილია მონაცემთა დამუშავების წესები, მე-5 მუხლი განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს, რომლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით ან/და მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაც შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის. ამდენად, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2016 წლის 4 თებერვლის №54, №56, №58 და 2016 წლის 11 თებერვლის №81, №83, №84 ნერილებით მოთხოვნილი ინფორმაციის გადაცემის ვალდებულების არსებობა/არარსებობის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სადაზღვევო საქმიანობის მარეგულირებელი სპეციალური სამართლებრივი აქტები და დადგინდეს ამ აქტების საფუძველზე სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებაზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო შემთხვევაში სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ მოსარჩელებისთვის ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული მიზნითა და სამსახურისათვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. რამდენადაც, სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებას ითვალისწინებს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის V თავი. აღნიშნული კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. სამსახურის უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონით, ხოლო მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის სამსახურის ფუნქციებია: დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობი-

სათვის ხელის შეწყობა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სადაზღვევო ორგანიზაციების ქმედობაუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, რისთვისაც იგი ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობის განზოგადებას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის შექმნას და მისი შესრულების კონტროლს, ახალი კანონპროექტებისა და სხვა პროექტების, ასევე არსებულებში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტების შემუშავებას.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის №102 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (შემდგომში – ზედამხედველობის სამსახური) არის „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილ, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე დამოუკიდებელ ორგანოს. ზედამხედველობის სამსახურის მიზნები და ფუნქციები გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული დებულების მე-2 მუხლით. ამასთან, სამსახურის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელების უზრუნველსაყოფად „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე და დებულების მე-3 მუხლებით გათვალისწინებულია ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილებები, მათ შორის, „ბ“ ქვეპუნქტით ზედამხედველობის სამსახური თავისი მიზნებისა და ფუნქციების განხორციელების უზრუნველსაყოფად უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს მზღვეველის მიერ ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვას და შეამოწმოს ისინი, ასევე შეამოწმოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და სხვა მასალები, რისთვისაც შეუძლია მზღვეველისაგან გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. შესაბამისად, მაკონტროლებელი ორგანოს – სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის ნორმატიულ საფუძველზე დადგენილი საგამოძიებო და გაუფრთხილებელი ინსპექტირების უფლებამოსილება წარმოშობს სამსახურის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში მოთხოვნილი ინფორმაციის მზღვეველის მიერ გაცემის ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულების არსებობას ასევე ადასტურებს „დაზღვევის შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის დათქმა, რომ დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ განხორციელებული სადაზღვევო ოპერაციისა და ტრანზაქციის (მათ შორის, გარიგების დადების მცდელობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეცეთ მხოლოდ თავად დამზღვევეს/დაზღვეულს/მოსარგებლეს და მის წარმომადგენელს, სამსახურს – მისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, აგრეთვე საგადასახადო ორგანოს – „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ითვალისწინებს სამსახურის თანამშრომლის მიერ მიღებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულებასა და ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევეზე პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას. ამდენად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონით დადგენილ მონაცემთა უსაფრთხოებაზე მიღებულ ინფორმაციასთან მიმართებაში პასუხისმგებლობა გადადის მონაცემთა მიმღებზე – სსიპ საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურზე და მზღვეველს უფლება არ აქვს სამსახურს – მისი კომპეტენციის ფარგლებში მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარი უთხრას „კანონით გათვალისწინებული საფუძველისა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვაზე მითითებით.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№354-II ს 20.03.2013წ.) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით დადგინდა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ახალი ნორმატიული აქტების გამოცემამდე დაზღვევის და საპენსიო სქემების ზედამხედველობის მარეგულირებელი საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას. ამდენად, საკასაციო პალატა მნიშვნელოვნად მიიჩნევს სამსახურის 2016 წლის 4 თებერვლის №54, №56, №58 და 2016 წლის 11 თებერვლის №81, №83, №84 წერილებით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისობის დადგენას სადავო პერიოდში მოქმედ, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 თებერვლის №11 ბრძანების მე-2 მუხლით ძალადაკარგულად გამოცხადებული „მზღვე-

ველის საქმიანობის აღრიცხვის წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2009 წლის 15 მაისის №21 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან. მითითებული ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „მზღვეველის საქმიანობის აღრიცხვის წესის“ (დანართი №1) პირველი მუხლის თანახმად, მზღვეველის საქმიანობის აღრიცხვის წესის (შემდგომში წესი) მიზანია აღრიცხვას დაქვემდებარებული მზღვეველის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემების განსაზღვრა და აღნიშნული მონაცემების სისტემატიზაცია. წესი განკუთვნილია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი მზღვეველებისათვის. ამ წესით განსაზღვრული აღრიცხვის მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა მზღვეველის მიერ საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე. მე-3 მუხლით მზღვეველი ვალდებულია: შექმნას შიდა აღრიცხვის მონაცემთა ერთიანი ბაზა და შეიმუშავოს ანალიზური აღრიცხვის წარმოების სისტემა. მე-4, მე-5 და მე-6 მუხლებით დადგენილია მზღვეველის ვალდებულება მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის განახლების, შენახვის, ფორმების მომზადების წესის, ფორმების მომზადების ვადისა და მაკონტროლებელი ორგანოსათვის წარდგენაზე. მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მზღვეველებისაგან ამ წესით განსაზღვრული ფორმების წარდგენის მოთხოვნის შესაძლებლობას. იმავე მუხლის მე-2 პუნქტით მზღვეველის მიერ ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანო გამოიყენებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სანქციებს.

სადავო შემთხვევაში სამსახურის მიერ 2016 წლის 4 თებერვლის №54, №56, №58 და 2016 წლის 11 თებერვლის №81, №83, №84 წერილებით გათვალისწინებული ინფორმაციის (2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მათდამი დაქვემდებარებულ კომპანიაში დაზღვეული პირების (ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლე) შესახებ – დაზღვეულის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, მზღვეველი და სადაზღვევო პერიოდი) მოთხოვნა შეესაბამებოდა „მზღვეველის საქმიანობის აღრიცხვის წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2009 წლის 15 მაისის №21 ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ინფორმაცია სადაზღვევო პოლისების შესახებ“ (დანართი №2) გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის მოთხოვნა არ საჭიროებს დამატე-



ბით დასაბუთებას. რამდენადაც, მაკონტროლებელი ორგანოს მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღებული მონაცემების დამუშავების უფლებამოსილება გათვალისწინებულია კანონით და მონაცემთა დამუშავება საქიროა მონაცემთა დამუშავებლის – სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად. აღნიშნული მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს, „მზღვეველის მიმართ ფულადი ჯარიმის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2015 წლის 17 მარტის №02 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე. შესაბამისად, არ არსებობს, მოსარჩელების არგუმენტების გაზიარებისა და გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან სა-



კასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, სს „სადაზღვევო კომპანია ...“, სს „სადაზღვევო კომპანია ჯ...“ და სს „ი...“ კასატორ სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს უნდა აუნაზღაუროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 450 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 53-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 25 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. სს „სადაზღვევო კომპანია ...“, სს „სადაზღვევო კომპანია ჯ...“ და სს „ი...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. მოსარჩელებს: სს „სადაზღვევო კომპანია ...“, სს „სადაზღვევო კომპანია ჯ...“ და სს „ი...“ სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სასარგებლოდ დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – (150+300) 450 ლარის ანაზღაურება;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. ადმინისტრაციული აქტის კანონიერება**

#### **ამონაწერი რეგისტრირებული საგებულოების საფასურის გამოთვლის შესახებ ადმინისტრაციული აქტის კანონიერება**

##### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

№ბს-545-538(2კ-15)

26 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

##### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „ჯ ...“, სს „...“, შპს „მ...“ და შპს „მა...“ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს. მოსარჩელებმა მოითხოვეს „რადიოსიხშირული სპექტრის ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 17 ივლისის №6 დადგენილების ბათილად ცნობა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 7 ივნისის №379/23 გადაწყვეტილების „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსებით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ბათილად ცნობა; შპს „მ...“ ასევე მოითხოვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილების რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის შპს „მ...“ მიერ გადასახდელი ამონაწერი რესურსე-

ბით სარგებლობის გამოთვლის ნაწილში, ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „ჯ...“, სს „...“, შპს „მ...“ და შპს „მა...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 5 მაისის განჩინებით შპს „ჯ...“, შპს „მ...“ და სს „...“ სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 7 ივნისის №379/23 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსებით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე.

2. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 17 ივლისის №6 დადგენილებით „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებულ „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ მე-7 მუხლს დაემატა შემდეგი რედაქციით მე-6 პუნქტი: „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისას ლიცენზიის მფლობელის მიერ გადასახდელი ამავე კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ამონურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გამოთვლისას საშუალო არითმეტიკული გამოითვლება შემდეგი ფორმულით:  $C \times \text{Oin} = 1(A_i/B_i)/n$ , სადაც: C – გასაგრძელებელი ლიცენზიით გათვალისწინებული რადიოსიხშირული სპექტრის ერთეულთა ოდენობაა; n – ჩატარებულ აუქციონთა რაოდენობაა;  $A_i$  – i-ურ აუქციონზე დაფიქსირებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურია,  $i=1,2,\dots,n$ ;  $B_i$  – i-ურ აუქციონზე გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის ერთეულთა ოდენობაა,  $i=1,2,\dots,n$ “.

3. 2013 წლის 17 ივლისამდე დამკვიდრებული პრაქტიკით, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისას, ლიცენზიის მფლობელის მიერ გადასახდელი ამავე კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ამონაწერი რესურსით სარგებლობის საფასურის გამოთვლისას საშუალო არითმეტიკული გამოითვლებოდა შემდეგი ფორმულით: ჩატარებულ აუქციონებზე დაფიქსირებულ ფასთა ჯამში იყოფოდა ამავე აუქციონებზე გაყიდულ მეგაჰერცების ჯამზე, მიღებული თანხა მრავლდებოდა გასაგრძელებელი ლიცენზიით გათვალისწინებული რადიოსიხშირული სპექტრის ერთეულთა ოდენობაზე.

4. 2012 წლის 21 აგვისტოს, შპს „მ...“ განცხადებით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და მოითხოვა ინფორმაცია რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების საორიენტაციო ღირებულების თაობაზე.

5. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 9 ოქტომბრის №01/2374-12 წერილით შპს „მ...“ განემარტა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იმ დღის მდგომარეობით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის საფასურის შეადგენდა 11 497 635,80 ლარს. ასევე, განემარტა, რომ 2013 წლის ივლისამდე იმავე რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამართვის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული თანხა შესაძლებელია შეცვლილიყო.

6. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ წერილი მიითვებული თანხის დაანგარიშება მოხდა შემდეგი ფორმულით: ჩატარებულ აუქციონებზე დაფიქსირებულ ფასთა ჯამში გაიყო ამავე აუქციონებზე გაყიდულ მეგაჰერცების ჯამზე, მიღებული თანხა გამრავლდა გასაგრძელებელი ლიცენზიით გათვალისწინებული რადიოსიხშირული სპექტრის ერთეულთა ოდენობაზე.

7. 2013 წლის 4 ივნისს შპს „მ...“ განცხადებით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და მოითხოვა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №ჰ5 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება.

8. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილებით შპს „მ...“ გაუგრძელდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №ჰ5 ლიცენზიის

მოქმედების ვადა 2013 წლის 23 ივლისიდან 2023 წლის 23 ივლისამდე. ამავე გადანაცვებით, შპს „მ...“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის ვადის გაგრძელებისთვის ამონაწერი რესურსით სარგებლობის საფასური განისაზღვრა 16 177 427,70 ლარით. თანხის დაანგარიშება მოხდა „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ფორმულით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების საფასურის გამოთვლა ხდება იმავე რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გამართულ აუქციონებზე დაფიქსირებულ საფასურთა საშუალო არითმეტიკულის განსაზღვრით. ამასთან, საგულისხმოა, რომ „რადიოსიხშირული სპექტრის ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში დამატების შეტანამდე არც კანონით და არც სხვა ნორმატიული აქტით დადგენილი არ ყოფილა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისას ლიცენზიის მფლობელის მიერ გადასახდელი ამავე კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ამონაწერი რესურსით სარგებლობის საფასურის გამოთვლისას საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშება, ფასის დაანგარიშება ხდებოდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი პრაქტიკით.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი რადიოსიხშირული სპექტრის სარგებლობის საფასურის განსაზღვრის წესი წარმოადგენს საფასურის დაანგარიშების ზოგად წესს, რომელიც არ განსაზღვრავს, რა იგულისხმება აუქციონზე დაფიქსირებულ ფასში – აუქციონზე დაფიქსირებული საერთო ფასი, თუ აუქციონზე დაფიქსირებული ერთი კონკრეტული მგჰ სიხშირული ზოლის ფასი. დაანგარიშების ძველ და ახალ წესს შორის განსხვავებას წარმოადგენს სწორედ აუქციონზე დაფიქსირებული საფასურის განსხვავებული განმარტება,

კერძოდ, ძველი ფორმულით საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშება ხდებოდა აუქციონებზე დაფიქსირებულ მთლიან ფასთა ჯამიდან, ხოლო ახალი წესის შესაბამისად, საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშება ხდება კონკრეტულ აუქციონზე დაფიქსირებული ერთი მგკ სიხშირული ზოლის ფასთა ჯამიდან.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული წესით ფასის დაანგარიშების მიზანს წარმოადგენს ერთი მგკ სიხშირული ზოლის ღირებულის განსაზღვა, შესაბამისად, იმისათვის, რომ გავიგოთ ერთი მგკ სიხშირული ზოლის ღირებულება და დავიანგარიშოთ საშუალო არითმეტიკული, აუქციონებზე დაფიქსირებული ფასი უნდა მივიყვანოთ ეკვივალენტურ დებულებებამდე, ანუ ერთი მგკ სიხშირული ზოლის ფასის დადგენა უნდა მოხდეს ეკვივალენტურ კომპონენტთა საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯერ უნდა დავიანგარიშოთ თითოეულ აუქციონზე დაფიქსირებული ფასიდან ერთი მგკ სიხშირული ზოლის საშუალო ღირებულება და შემდგომ, ამ ღირებულებათა ჯამი გავყოს აუქციონთა რაოდენობაზე, რითაც მივიღებთ ერთი მგკ სიხშირული ზოლის საშუალო ფასს.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, დაანგარიშების ძველი ფორმულა კანონმდებლობით განერილი არ ყოფილა, ფორმულის და დაანგარიშების მეთოდის განსაზღვრა ხდებოდა კომისიის მიერვე დადგენილი პრაქტიკით, რაც განპირობებული იყო ნორმის ახალი წესისგან განსხვავებული განმარტებით. შესაბამისად, ახალი რეგულაცია არ ეწინააღმდეგება იმ წესს, რომელიც კანონმდებლობით განერილი არ ყოფილა. ორივე შემთხვევაში, ფასის დაანგარიშება ხდება კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, აუქციონზე დაფიქსირებული ფასიდან საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშებით, შესაბამისად, კანონის ზოგადი ჩანაწერის არსებობის პირობებში, სადავო ნორმატიული აქტით კომისიის მიერ არ მომხდარა საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშების კანონით დადგენილი წესისგან განსხვავებული წესის დადგენა, რამდენადაც კომისიამ მხოლოდ დააზუსტა დაანგარიშების წესი და განსაზღვრა, რომ საშუალო არითმეტიკულის გამოყვანა უნდა მომხდარიყო თითოეულ აუქციონზე დაფიქსირებული ერთი მგკ სიხშირული ზოლის საშუალო ფასთა ჯამიდან.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა აპელანტების მტკიცებას, რომ კომისია არ იყო უფლებამოსილი, დებულებით დაერეგულირებინა ის საკითხი, რომელსაც ითვალისწინებდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლი, ვინაიდან „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გა-

მართვის დებულების“ დამტკიცების შესახებ დადგენილებაში მითითებულია, რომ დებულება მიღებულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 64-ე მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ მიღება განპირობებული იყო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-7 პუნქტით, რომლითაც განისაზღვრა იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალი, რომელთა მიღებაც უნდა მომხდარიყო კომისიის მიერ კანონის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში. ერთ-ერთ ასეთ აქტს, მითითებული მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენდა „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულება“. დებულების პირველი მუხლი განსაზღვრავს დებულების გამოყენების სფეროს და მიზნებს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დებულება შემუშავებულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მიზნად ისახავს სახელმწიფო რესურსით – რადიოსიხშირული სპექტრის სარგებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის წესების დადგენას. მე-2 პუნქტით კი განისაზღვრა, რომ ამ დებულებით დგინდება სახელმწიფო რადიოსიხშირული სპექტრის სარგებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად აუქციონის გამართვისას კომისიის უფლებამოსილებები და ვალდებულებები, აუქციონის გამართვის პროცედურა, მათ შორის გამარჯვებულის გამოვლენისა და შესაბამისი სალიცენზიო მონუმობის გაცემის წესები, სახელმწიფო რესურსით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის წესი, სარგებლობის რაოდენობრივი, თვისობრივი და დროში განსაზღვრული ნორმები და წესები. აღნიშნულ ნორმათა გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილებაში არ იყო მითითებული „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლი, აღნიშნული არ გამოირიცხავს 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საკითხების დებულებით დარეგულირებას, რამდენადაც, დებულების პირველი მუხლის შესაბამისად, დებულება შემუშავებულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქარ-



თველოს კანონის საფუძველზე და სხვა საკითხებთან ერთად, არეგულირებს სახელმწიფო რესურსით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის წესს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 ნოემბრის №149 ბრძანების პირველი მუხლის მე-12 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად, აუქციონის გამართვის დებულება არ საჭიროებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას, აღნიშნული კი გამორიცხავს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვალდებულებას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის სადავო ნორმატიული აქტის სამართლებრივი ექსპერტიზისთვის მიმართვის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩევეები ასევე ითხოვდნენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 7 ივნისის №379/23 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

სასამართლოს შეფასებით, ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად, არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს. მითითებული ნორმის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 17 ივლისის №6 დადგენილების კანონიერად მიჩნევა ადასტურებდა მოცემული აქტის გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოცემული აქტის – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 7 ივნისის №379/23 გადაწყვეტილების კანონიერებასაც.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა შპს „მ...“ მოთხოვნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში, კომისიის მიერ აქტის გამოცემის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლით დადგენი-

ლი ვადის დარღვევის თაობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს „მ...“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ სააგენტოს ლიცენზიის ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმართა 2013 წლის 4 ივნისს, შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება უნდა მიეღო 2013 წლის 16 ივლისს, სადავო აქტი კი გამოცდა 2013 წლის 22 ივლისს.

სასამართლომ არ გაიზიარა შპს „მ...“ მოსაზრება იმის შესახებ, რომ შპს „მ...“ მიმართ ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული რომ ყოფილიყო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საფასურის დაანგარიშება არ მოხდებოდა 2013 წლის 17 ივლისს განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით, რაც გამოიწვევდა საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებას.

სასამართლოს მოსაზრებით, „რადიოსიხშირული სპექტრის ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში დამატების შეტანამდე არც კანონით და არც სხვა ნორმატიული აქტით დადგენილი არ ყოფილა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშება, საშუალო არითმეტიკულის განსაზღვრა და ფასის დაანგარიშება ხდებოდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი პრაქტიკით. 2013 წლის 7 ივნისს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსებით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე. ამდენად, 2013 წლის 7 ივნისისთვის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისია უკვე სხვაგვარად განმარტავდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისას ლიცენზიის მფლობელის მიერ გადასახდელი ამავე კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ამონურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გამოთვლისას საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშების წესს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა შპს „მ...“ წარმომადგენლის განმარტება იმის თაობაზე, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 9 ოქტომბრის №01/2374-12 წერილი განხილული უნდა ყოფილიყო საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებად, რომლის მიმართ დაინტერესებულ პირს – შპს „მ...“ გააჩნდა კანონიერი ნდობა.

სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი, დაპირების მიმართ უნდა არსებობდეს დაინტერესებული პირის კანონიერი ნდობა, რაც განსახილველ შემთხვევაში არ შეიძლება არსებობდეს. შესაბამისად, მითითებული დოკუმენტის მიმართ დაინტერესებული პირის კანონიერი ნდობის არსებობის სავალდებულო პირობას წარმოადგენს დაპირების მართლზომიერების გარკვევა. ამასთან, გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა საკითხის სუბიექტურ მხარეს, ანუ იმას, თუ რამდენად იყვნენ გარკვეულნი დაპირების მიმცემი და დაინტერესებული მხარე დაპირების კანონმდებლობის მოთხოვნებისადმი შესაბამისობაში, არამედ იმას, თუ ობიექტურად რამდენად შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს დაპირება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სს „ჯ...“ და შპს „მ...“ საკასაციო წესით გაასაჩივრეს მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

სს „ჯ...“ მტკიცებით, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ კი, გასაჩივრებული დადაგენილების მიღების დროს მოქმედი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, „რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია გაცივმა აუქციონის სფუქველზე. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიას კომისია გასცემს ამ კანონის, „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კომისიის დადგენილებით დამტკიცებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად გასამართი აუქციონის ტიპებს, მათი გამართვის პროცედურებს და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასური სანყისი ოდენობის გაანგარიშების წესებს“. აღნიშნული პუნქტიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ზუსტად განსაზღვრა საკითხთა ის წრე, რომელიც დარეგულირებული უნდა ყოფილიყო კომისიის დადგენილებით. ამ საკითხებში არსად არ არის განსაზღვრული, ლიცენზიის ვადის გაგრძელების საფასურის რეგულირება. შესაბამისად, სასამართლოს რომ გამოეყენებინა აღნიშნული ნორმა, დაადგენდა, რომ

კომისია თავისი ქმედებებით ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის ა) ამ პუნქტის მიზანს წარმოადგენს ლიცენზიის გაგრძელების დროს, გასაგრძელებელი ლიცენზიის ერთი მგკ-ის ღირებულების განსაზღვრა; ბ) აუქციონზე დაფიქსირებული საფასური შეიძლება იყოს როგორც აუქციონზე დაფიქსირებული საერთო ფასი, ასევე აუქციონზე დაფიქსირებული ერთი კონკრეტული მგკ-ის სიხშირული ზოლის ფასი და ორივე მათგანი, არის სწორი; გ) აუქციონზე დაფიქსირებული საფასურის ორივე ფორმით განმარტება და საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშება ორივე შემთხვევაში კომისიის მიერ ხდებოდა სწორად და არცერთ დროს არ დარღვეულა კანონმდებლობით განსაზღვრული წესი. აღნიშნული განმარტება არის დაუსაბუთებელი და არ შეესაბამება კანონმდებლის მიერ განსაზღვრულ მიზანს.

კასატორის აზრით, დაირღვა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის, მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტი. ეს ნორმები მოსამართლეს არ აძლევდა იმ განმარტების გაკეთების შესაძლებლობას, რომ კომისია უფლებამოსილი იყო გასაჩივრებული დადგენილებით დაერეგულირებინა და დაეზუსტებინა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ურთიერთობები, ვინაიდან „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ და ამომწურავად განსაზღვრავდა საკითხთა იმ წრეს, რაც უნდა დარეგულირებულიყო ხსენებული დოკუმენტით.

შპს „მ...“ მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გაითვალისწინა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ერთთვიანი ვადა დაარღვია. შპს „მ...“ კომისიას ლიცენზიის ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმართა 2013 წლის 4 ივნისს, კომისიას გადაწყვეტილება უნდა მიეღო 2013 წლის 16 ივლისს, რა შემთხვევაშიც, შპს „მ...“ №6 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის უნდა გადაეხადა 11 497 635.80 ლარი. კომისიამ აღნიშნული ვადის დარღვევით, გადაწყვეტილება მიიღო 2013 წლის 22 ივლისს, რასაც წინ უსწრებდა კომისიის მიერ 2013 წლის 17 ივლისის №6 დადგენილებით „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის იგნორირებითა და დარღვევით განხორციელებული ცვლილება, „რადიო-

სისშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში, რის გამოც შპს „მ...“ იძულებული გახდა №5 ლიცენზიის ვადის გაგრძელებაში, დამატებით გადაეხადა 4 679 792 ლარი.

კასატორის მითითებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 9 ოქტომბრის №01/2374-12 წერილში აღნიშნული იყო, რომ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასური შეადგენდა 11 497 635,80 ლარს, რომელიც შეიძლება შეცვლილიყო 2013 წლის ივლისამდე, იმავე რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად, აუქციონის გამართვის შემთხვევაში. 2013 წლის ივლისამდე არ გამართულა შესაბამისი აუქციონი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ შპს „მ...“ გააჩნდა კანონიერი ნდობა საჯარო ორგანოს მიერ გაცემული დაპირებისადმი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად.

კასატორის აზრით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს. იგი არ იყო უფლებამოსილი, მიეღო ისეთი დადგენილება, რომელიც შეცვლიდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლს და ჩამოაყალიბებდა აღნიშნული მუხლის მოთხოვნის სანინააღმდეგო ფორმულირებას. სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არის დისკრიმინაციული და არღვევს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის აკრძალვას დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და თანასწორობის პირობებში მყოფი პირებისათვის განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების დაუშვებლობის შესახებ. 2013 წლის 22 ივლისამდე, ლიცენზიის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად კომისია ეყრდნობოდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს და იგი არასოდეს გასცდენია ზემოაღნიშნულ ნორმას. სხვადასხვა დროს, შპს „ჯ...“, შპს „მა...“, შპს „ა...“ და შპს „ჯი...“ ლიცენზიის ვადის გაგრძელების დროს, კომისიას ეჭვქვეშ არ დაუყენებია კანონის დებულების სისწორე და მათი განმარტების საჭიროების საკითხი.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ჯ...“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო შპს „მ...“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 7 ივნისის №379/23 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსებით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 17 ივლისის №6 დადგენილებით „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებულ „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ მე-7 მუხლს დაემატა შემდეგი რედაქციით მე-6 პუნქტი: „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისას ლიცენზიის მფლობელის მიერ გადასახდელი ამავე კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ამონურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გამოთვლისას საშუალო არითმეტიკული გამოითვლება შემდეგი ფორმულით:  $C \times \text{Oin} = 1(A_i/B_i)/n$ , სადაც: C – გასაგრძელებელი ლიცენზიით გათვალისწინებული რადიოსიხშირული სპექტრის ერთეულთა ოდენობაა; n – ჩატარებულ აუქციონთა რაოდენობაა;  $A_i$  – i-ur აუქციონზე დაფიქსირებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურია,  $i=1,2,\dots,n$ ;  $B_i$  – i-ur აუქციონზე გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის ერთეულთა ოდენობაა,  $i=1,2,\dots,n$ “.

2013 წლის 17 ივლისამდე დამკვიდრებული პრაქტიკით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისას, ლიცენზიის მფლობელის მიერ გადასახდელი ამავე კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით გან-



საზღვრული ამონწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გამოთვლისას საშუალო არითმეტიკული გამოითვლებოდა შემდეგი ფორმულით: ჩატარებულ აუქციონებზე დაფიქსირებულ ფასთა ჯამში იყოფოდა ამავე აუქციონებზე გაყიდულ მეგაჰერცების ჯამზე, მიღებული თანხა მრავლდებოდა გასაგრძელებელი ლიცენზიით გათვალისწინებული რადიოსიხშირული სპექტრის ერთეულთა ოდენობაზე.

2012 წლის 21 აგვისტოს, შპს „მ...“ განცხადებით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და მოითხოვა ინფორმაცია რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების საორიენტაციო ღირებულების თაობაზე.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 9 ოქტომბრის №01/2374-12 წერილით შპს „მ...“ განემარტა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იმ დღის მდგომარეობით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის საფასური შეადგენდა 11 497 635,80 ლარს. ასევე, განემარტა, რომ 2013 წლის ივლისამდე იმავე რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამართვის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული თანხა შესაძლებელია შეცვლილიყო. წერილში მითითებული თანხის დაანგარიშება მოხდა შემდეგი ფორმულით: ჩატარებულ აუქციონებზე დაფიქსირებულ ფასთა ჯამში გაიყო ამავე აუქციონებზე გაყიდულ მეგაჰერცების ჯამზე, მიღებული თანხა გამრავლდა გასაგრძელებელი ლიცენზიით გათვალისწინებული რადიოსიხშირული სპექტრის ერთეულთა ოდენობაზე.

2013 წლის 4 ივნისს შპს „მ...“ განცხადებით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და მოითხოვა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილებით შპს „მ...“ გაუგრძელდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის მოქმედების ვადა 2013 წლის 23 ივლისიდან 2023 წლის 23 ივლისამდე. ამავე გადაწყვეტილებით, შპს „მ...“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F5 ლიცენზიის ვადის გაგრძელებისთვის ამონწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური განისაზღვრა 16 177 427,70 ლარით. თანხის დაანგარიშება მოხდა „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების



მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ფორმულით.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორებს ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენიათ.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების საფასურის გამოთვლა ხდება იმავე რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გამართულ აუქციონებზე დაფიქსირებულ საფასურთან საშუალო არითმეტიკული განსაზღვრით. ამასთან, საგულისხმოა, რომ „რადიოსიხშირული სპექტრის ან/დანუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში დამატების შეტანამდე არც კანონით და არც სხვა ნორმატიული აქტით დადგენილი არ ყოფილა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისას ლიცენზიის მფლობელის მიერ გადასახდელი ამავე კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ამონურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გამოთვლისას საშუალო არითმეტიკული დაანგარიშება, ფასის დაანგარიშება ხდებოდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი პრაქტიკით. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი რადიოსიხშირული სპექტრის სარგებლობის საფასურის განსაზღვრის წესი წარმოადგენს საფასურის დაანგარიშების ზოგად წესს, რომელიც არ განსაზღვრავს, რა იგულისხმება აუქციონზე დაფიქსირებულ ფასში – აუქციონზე დაფიქსირებული

საერთო ფასი, თუ აუქციონზე დაფიქსირებული ერთი კონკრეტული მგჰ სიხშირული ზოლის ფასი. დაანგარიშების ძველ და ახალ წესს შორის განსხვავებას წარმოადგენს სწორედ აუქციონზე დაფიქსირებული საფასურის განსხვავებული განმარტება, კერძოდ, ძველი ფორმულით საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშება ხდებოდა აუქციონებზე დაფიქსირებულ მთლიან ფასთა ჯამიდან, ხოლო ახალი წესის შესაბამისად, საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშება ხდება კონკრეტულ აუქციონზე დაფიქსირებული ერთი მგჰ სიხშირული ზოლის ფასთა ჯამიდან. ამ წესით ფასის დაანგარიშების მიზანს წარმოადგენს ერთი მგჰ სიხშირული ზოლის ღირებულის განსაზღვა, შესაბამისად, იმისათვის, რომ გავიგოთ ერთი მგჰ სიხშირული ზოლის ღირებულება და დავიანგარიშოთ საშუალო არითმეტიკული, აუქციონებზე დაფიქსირებული ფასი უნდა მივიყვანოთ ეკვივალენტურ დებულებებამდე, ანუ ერთი მგჰ სიხშირული ზოლის ფასის დადგენა უნდა მოხდეს ეკვივალენტურ კომპონენტთა საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯერ უნდა დავიანგარიშოთ თითოეულ აუქციონზე დაფიქსირებული ფასიდან ერთი მგჰ სიხშირული ზოლის საშუალო ღირებულება და შემდგომ, ამ ღირებულებათა ჯამი გაყოს აუქციონთა რაოდენობაზე, რითაც მივიღებთ ერთი მგჰ სიხშირული ზოლის საშუალო ფასს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაანგარიშების ძველი ფორმულა კანონმდებლობით გაწერილი არ ყოფილა, ფორმულის და დაანგარიშების მეთოდის განსაზღვრა ხდებოდა კომისიის მიერვე დადგენილი პრაქტიკით, რაც განპირობებული იყო ნორმის ახალი წესისგან განსხვავებული განმარტებით. შესაბამისად, ახალი რეგულაცია არ ეწინააღმდეგება იმ წესს, რომელიც დადგენილი იყო პრაქტიკით. ორივე შემთხვევაში, ფასის დაანგარიშება ხდება კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, აუქციონზე დაფიქსირებული ფასიდან საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშებით, შესაბამისად, კანონის ზოგადი ჩანაწერის არსებობის პირობებში, სადავო ნორმატიული აქტით კომისიის მიერ არ მომხდარა საშუალო არითმეტიკულის გაანგარიშების კანონით დადგენილი წესისგან განსხვავებული წესის დადგენა, რამდენადაც კომისიამ მხოლოდ დააზუსტა დაანგარიშების წესი და განსაზღვრა, რომ საშუალო არითმეტიკულის გამოყვანა უნდა მომხდარიყო თითოეულ აუქციონზე დაფიქსირებული ერთი მგჰ სიხშირული ზოლის საშუალო ფასთა ჯამიდან.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების მტკიცებას, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს. იგი არ იყო უფლებამოსილი, მი-

ელო ისეთი დადგენილება, რომელიც შეცვლიდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლს.

სააკაპაციო სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებების“ მიღება განპირობებული იყო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-7 პუნქტით, რომლითაც განისაზღვრა იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალი, რომელთა მიღებაც უნდა მომხდარიყო კომისიის მიერ კანონის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში. ერთ-ერთ ასეთ აქტს, მითითებული მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენდა „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულება“, რომლის პირველი მუხლი განსაზღვრავს დებულების გამოყენების სფეროს და მიზნებს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დებულება შემუშავებულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მიზნად ისახავს სახელმწიფო რესურსით – რადიოსიხშირული სპექტრის სარგებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის წესების დადგენას. მე-2 პუნქტით კი განისაზღვრა, რომ ამ დებულებით დგინდება სახელმწიფო რადიოსიხშირული სპექტრის სარგებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად აუქციონის გამართვისას კომისიის უფლებამოსილებები და ვალდებულებები, აუქციონის გამართვის პროცედურა, მათ შორის გამარჯვებულის გამოვლენისა და შესაბამისი სალიცენზიო მოწმობის გაცემის წესები, სახელმწიფო რესურსით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის წესი, სარგებლობის რაოდენობრივი, თვისობრივი და დროში განსაზღვრული ნორმები და წესები.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნულ ნორმათა გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილებაში პირდაპირ არ იყო მითითებული „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლი, ეს გარემოება არ გამოორიცხავს 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საკითხების დებულებით დარეგულირების შესაძლებლობას, ვინაიდან დებულება შემუშავებულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და სხვა საკითხებთან ერთად, არეგულირებს სახელმწიფო რესურსით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის წესს.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორების

მტკიცებას, რომ სადავო დებულებას უნდა გაეწოდოს ექსპერტიზა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხრიდან. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 ნოემბრის №149 ბრძანების პირველი მუხლის მე-12 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად, აუქციონის გამართვის დებულება არ საჭიროებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სრულიად დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს პოზიცია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 7 ივნისის №379/23 გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე უარის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ეს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად, არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამგვარი წინაპირობა, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 17 ივლისის №6 დადგენილების კანონიერად მიჩნევა ადასტურებს აქტის გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოცემული აქტის – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 7 ივნისის №379/23 გადაწყვეტილების კანონიერებასაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „ჯ...“ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების კანონით გათვალისწინებული საფუძვლები არ არსებობს.

რაც შეეხება შპს „მ...“ საჩივარს, საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ შპს „მ...“ მიმართ ლიცენზიის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული რომ ყოფილიყო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საფასურის დაანგარიშება არ

მოხდებოდა 2013 წლის 17 ივლისს განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „მ...“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ სააგენტოს ლიცენზიის ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმართა 2013 წლის 4 ივნისს, შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 და მე-15 მუხლების საფუძველზე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება უნდა მიეღო 2013 წლის 16 ივლისს, სადავო ინდივიდუალური აქტი კი 2013 წლის 22 ივლისს გამოსცა.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ 2013 წლის 7 ივნისისთვის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უკვე სხვაგვარად განმარტავდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისას ლიცენზიის მფლობელის მიერ გადასახდელი ამავე კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ამონურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გამოთვლისას საშუალო არითმეტიკულის დაანგარიშების წესს. ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის (თუნდაც სადავო ცვლილების მიღებამდე რომელიმე სუბიექტის მიმართ ახალი წესით მიღებული გადაწყვეტილება).

2013 წლის 7 ივნისს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში დამატების შეტანასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო, რაც, უპირობოდ არ ადასტურებს, რომ, საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილება უკვე დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავებულ წესს გაითვალისწინებდა, გარდა ამისა, თუნდაც ადმინისტრაციულ ორგანოს ჩამოყალიბებული ჰქონოდა მოსაზრება რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის ვადის გაგრძელების საფასურის გამოთვლის წესთან დაკავშირებით, შესაბამისი ნორმატიული აქტი 2013 წლის 17 ივლისს იქნა მიღებული. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონი, მართალია, გარკვეულ შემთხვევაში, დასაშვებად მიიჩნევს ნორმატიული აქტისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭებას და მის გავრცელებას ამოქმედებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, მაგრამ ნორმის დროში მოქმედების არც ერთი პრინციპი არ მიიჩნევს დასაშვებად ჯერ მიუღებელი, თუნდაც პროექტის დონეზე არსებული, ნორმის გავრცელებას მის მიღებამდე განსახილველ განცხადებაზე. ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „მ...“ განცხადების სზაკ-ით დადგენილ ვადაში განხილვის

შემთხვევაში, კომისიას უნდა გამოეყენებინა სადავო დამატების მიღებამდე არსებული წესი, მიუხედავად იმისა, ეს წესი ნორმატიულად იყო განსაზღვრული, თუ პრაქტიკით დადგენილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „მ...“ მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „მ...“ სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილება რადიოსიხშირული სპექტრით ისარგებლობის №ჭენ ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის შპს „მ...“ მიერ გადასახდელი ამონაწერად რესურსებით ისარგებლობის საფასურის გამოთვლის ნაწილში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან შპს „მ...“ სარჩელით სამი აქტის ბათილად ცნობას ითხოვდა, ხოლო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით სარჩელი მხოლოდ 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში კმაყოფილდება, მოპასუხე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შპს

„მ...“ უნდა აუნაზღაუროს სამივე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 550 ლარის მესამედი – 183,3 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. შპს „ჯ...“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „მ...“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 5 მაისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში ბათილად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
4. შპს „მ...“ სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 22 ივლისის №461/6 გადაწყვეტილების რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №5 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის შპს „მ...“ მიერ გადასახდელი ამონურვადი რესურსებით სარგებლობის საფასურის გამოთვლის ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს;
6. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შპს „მ...“ სასარგებლოდ დაეკისროს სამივე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 550 ლარის, მესამედის – 183,3 ლარის ანაზღაურება;
7. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 5 მაისის განჩინება უცვლელად დარჩეს;
8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**პროფესიული საქმიანობის აკრედიტაციის თაობაზე  
ადმინისტრაციული აქტის კანონიერება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-744-740(კ-17)

5 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-  
რივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 27 მაისს მ. ქ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-  
ლეგიას, მოპასუხის – სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო  
რეგულირების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2013 წლის 9 მარტს მისი მეუღლე –  
ლ. ქ-ე მიყვანილ იქნა ტკივილებით ... მას ჰქონდა ნალველ-კენჭო-  
ვანი დაავადება. საავადმყოფოში მიყვანიდან მეორე დღეს მას ჩა-  
უტარდა ოპერაცია და გადაიყვანეს რეანიმაციაში. ექიმის აზრით,  
ეს არ იყო რთული ოპერაცია, თუმცა ლ. ქ-ის მდგომარეობა დღი-  
თიღვე უარესდებოდა. მოსარჩელის დაჟინებული მოთხოვნით, მის  
მეუღლეს ჩაუტარდა ექოსკოპიური გამოკვლევა, რამაც მცირე მენ-  
ჯში დიდი რაოდენობით სითხე აჩვენა. ამის შემდეგ პაციენტს ჩა-  
უდგეს დრენაჟი სითხის ამოსატუმბად. მოსარჩელეს ეუბნებოდ-  
ნენ, რომ მის მეუღლეს ჩატარებული ჰქონდა სისხლის ანალიზი და  
ექოსკოპიური კვლევები, მაგრამ არსად ჩანს, რომ ლ. ქ-ეს 10-დან  
23 მარტამდე რაიმე ანალიზი ჰქონდეს ჩატარებული. მას დაეწყო  
ძლიერი ტკივილები, სიცხემ აუწია, რის გამოც მოსარჩელეს უთ-  
ხრეს, რომ სასწრაფო ოპერაცია იყო ჩასატარებელი, რადგან ეჭვი  
ეპარებოდათ პერიტონიტზე. რამდენიმე ოპერაციის შემდეგ ლ. ქ-  
ის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა და გარდაიცვალა.

მოსარჩელემ 2013 წლის 8 აპრილს სამედიცინო საქმიანობის სა-  
ხელმწიფო რეგულირების სააგენტოში საჩივარი შეიტანა, მისი მე-  
უღლის – ლ. ქ-ის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით, რო-  
მელიც იმერეთის რეგიონალურ საავადმყოფოში ექიმთა უყურად-

დებობით გარდაიცვალა. 2014 წლის 7 თებერვალს პროფესიულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება და შპს „...“ ექიმს – რ. ქ-ს სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების ვადა 6 თვით შეუჩერა. მოსარჩელე განცხადებით ასევე ითხოვდა მთავარი ექიმის – მ. ე-ის, საავადმყოფოს მენეჯერის ვ. ვ-ისა და რეანიმაციის მთავარი ექიმის – ზ. ს-ის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას, თუმცა არანაირი რეაგირება ამ პირების მიმართ არ მომხდარა.

ამდენად, მოსარჩელე – მ. ქ-ემ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2014 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა მოპასუხე და სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ნაცვლად სათანადო მოპასუხედ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭო მიუთითა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება რ. ქ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ რ. ქ-ის ნაწილში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2014 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოსთვის რ. ქ-ის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის ხელახლა შესწავლის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით მ. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 10 მარტს ლ. ქ-ე 00:20 საათზე ქუთაისის სსდ ბრიგადის მიერ მიყვანილ იქნა შპს „...“. სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის მიხედვით, დიაგნოზი იყო „...“, ხოლო კლინიკური დიაგნოზი ...“. 2013 წლის 10 მარტს პაციენტს ენდოტრაქეალური ნარკოზით ქირურგ რ. ქ-ის მიერ გაუკეთდა ოპერაცია: „...“. პაციენტი გარდაიცვალა 2013 წლის

4 აპრილს 21:55 საათზე. ლ. ქ-ის გვამის სასამართლო-ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ლ. ქ-ის სიკვდილის მიზეზია პოლიორგანული უკმარისობა განვითარებული დიფუზური ფიბრინულ-ჩირქოვანი პერიტონიტის შედეგად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რეგულირების სააგენტომ შეისწავლა შპს „...“ პაციენტი – ლ. ქ-ისათვის განუღი საამედიცინო დახმარების ხარისხი. საამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ექიმ რ. ქ-ის მხრიდან გამოვლინდა შემდეგი დარღვევები: 1. საამედიცინო დოკუმენტაციის ხარვეზებით წარმოება: სატიტულო ფურცელზე არ ფიქსირდება გარდაცვალების თარიღი და დრო, გატარებული საწოლ-დღეების რაოდენობა, გამომგზავნი დაწესებულების დიაგნოზი (დარღვეულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანების მოთხოვნები); 10.03.13წ. ოპერაციული მკურნალობის ინფორმაციული თანხმობის ფურცელზე და ასევე, ლაპაროცენტეზის წარმოებაზე (19.03.13წ.) ხელს აწერს პაციენტის მეუღლე მ. ქ-ე (საამედიცინო ჩანაწერების მიხედვით, პაციენტი უგონო მდგომარეობაში მყოფი ან ქმედუენარო არ არის) (დარღვეულია „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანების მოთხოვნები); 25.03.2013წ. რიცხვში ჩატარებული პლევრალური სითხის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის დასკვნა საამედიცინო ბარათში არ ფიქსირდება; საამედიცინო ბარათში არ ფიქსირდება 10.03.13წ. ჩატარებული ოპერაციისას ამოკვეთილი პრეპარატის ჰისტომორფოლოგიური დასკვნა; საამედიცინო ბარათში, რელაპაროტომიული ოპერაციებისას (№130, №164 და №181) აღებული მუცლის ღრუს გამონადენის ჩატარებული ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის დასკვნები არ ფიქსირდება; საამედიცინო ბარათში არ ფიქსირდება პაციენტის ზოგადი მდგომარეობის ამსახველი ჩანაწერი ქირურგიულ განყოფილებაში გადაყვანისას (დარღვეულია „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანების მოთხოვნები); 19.03.2013წ. (10:30სთ და 20:00სთ), 21.03.13წ. (11:00სთ) და 22.03.13წ. (10:30სთ) ჩანაწერებში არ ფიქსირდება მკურნალი ექიმის ხელმოწერა (დარღვეულია „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანების მოთხოვნები).

ნების მოთხოვნები); ძირითად დიაგნოზში არ ფიქსირდება დიაგნოზი „...“; 10-18.03.13წ. და 25-29.03.13წ. ქირურგ რ. ქ-ის რიგ ჩანაწერებში დაფიქსირებულია „განყოფილების გამგის შემოვლა“, რაც არ დასტურდება განყოფილების გამგის ხელმოწერით; 2. პაციენტს, ქირურგიულ განყოფილებაში მკურნალობისას, მიუხედავად გართულებული მდგომარეობისა, სისხლის განმეორებითი კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები არ ჩატარებია 2013 წლის 23 მარტამდე; 3. ქირურგმა – რ. ქ-მა 2013 წლის 25 მარტს პაციენტს ჩაუტარა პლევრის ღრუს პუნქცია, ქირურგს არ გააჩნდა სუბსპეციალობის მოწმობა „თორაკალურ ქირურგიაში“.

პაციენტ ლ. ქ-ის სამედიცინო დოკუმენტაცია რეცენზირებულ იქნა მედიცინის დოქტორ ვ. შ-ის, მედიცინის დოქტორის, პროფესორ ს. (ტ.) ქ-ას, მედიცინის აკადემიური დოქტორის – დ. ა-ის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის ბ. მ-ის, პროფესორ მ. კ-ის მიერ. საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების ექსპერტების – დ. ა-ისა და ბ. მ-ის მიერ პაციენტ ლ. ქ-ის სამედიცინო დოკუმენტაციის რეცენზიის შესაბამისად, პაციენტის მკურნალობის ყველა ეტაპზე უხემ საექიმო შეცდომას ან არასწორი ტაქტიკის არჩევას ადგილი არ ჰქონია, თუმცა რადიოლოგიური ან ბაქტერიოლოგიური კვლევების გაფართოება დაავადების მართვას შემატებდა აკადემიურობას, მაგრამ სავარაუდოდ ნაკლებად შეცვლიდა დაავადების მკურნალობის ტაქტიკას. რეცენზენტების – ვ. შ-ისა (მედიცინის დოქტორი, ონკოლოგიის ცენტრის ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი) და ს. (ტ.) ქ-ას (მედიცინის დოქტორი, პროფესორი, ჯეოჰოსპიტალის საავადმყოფოთა ქსელის ანესთეზიოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი) მიერ პაციენტ ლ. ქ-ის სამედიცინო დოკუმენტაციის რეცენზიის საფუძველზე მომზადებული დასკვნის თანახმად, დიაგნოზი დასმულია სწორად, დიაგნოსტიკური ღონისძიებები ადეკვატურია, დაგეგმილი დიაგნოსტიკური ღონისძიებები დასმულ დიაგნოზს შეესაბამება მთელი მოცულობით, სამკურნალო ღონისძიებები ადეკვატურია, მკურნალობის მეთოდისა და თერაპიის (ოპერაციის) მოცულობის შერჩევა რაციონალურია სრულად, სამედიცინო დახმარების შედეგი არ არის მიღწეული. დასკვნა: დიაგნოზი დასმულია სწორად, დიაგნოსტიკური და სამკურნალო ღონისძიებები ადეკვატურია, დროულია და შეესაბამება დასმულ დიაგნოზს.

ააიპ „...“ წევრების – მ. კ-ისა და დ. ა-ის დასკვნის თანახმად, 1) 10.03.2013 წლიდან 15.03.2013 წლამდე პერიოდში ქირურგიული მკურნალობის ტაქტიკა გამართლებულია და შეიძლება ითქვას ადეკვატურიც; 2) 15.03.2013 წლიდან 19.03.2013 წლამდე პერიოდში არჩეული ქირურგიული დაკვირვების ტაქტიკა არ არის გამყარე-

ბული ინტენსიური დინამიური ინსტრუმენტული მონიტორინგით. შესაბამისად, ამ პერიოდში არსებული ქირურგიული ტაქტიკაც გამართლებულია, მაგრამ არასრულყოფილია სათანადო მონიტორინგის არარსებობის გამო; 3) 19.03.2013 წლიდან 23.03.2013 წლამდე პერიოდში კვლავ მოცდითი ქირურგიული ტაქტიკა უკვე არაადეკვატურია.

სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ, შემონმების შედეგებისა და რეცენზენტთა შეფასებების საფუძველზე გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების მიზნით, პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე დაისვა შპს „...“ ექიმის – რ. ქ-ის (სახელმწიფო სერტიფიკატი „ზოგადი ქირურგია“) პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2014 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით, შპს „...“ ექიმ-ქირურგ რ. ქ-ს 6 თვის ვადით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება „ზოგადი ქირურგია“ და დაევალა შესაბამისი 2-თვიანი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლა.

სასამართლომ, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მიიჩნია, რომ ექიმ რ. ქ-ის საქმიანობაში გამოვლენილ დარღვევებსა და პაციენტ ლ. ქ-ის სიკვდილს შორის მიზეზობრივი კავშირი არ დგინდება. ამასთან, აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები არც მოსარჩელის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი. რაც შეეხება მოსარჩელის აპელირებას ააიპ „...“ წევრების – მ. კ-ისა და დ. ა-ის რეცენზიაზე, სასამართლომ განმარტა, მართალია, რეცენზენტებმა ექიმ რ. ქ-ის მიერ 2013 წლის 19 მარტიდან 23 მარტამდე პერიოდში მოცდითი ქირურგიული ტაქტიკის არჩევა მიიჩნიეს არაადეკვატურად, თუმცა, არ გამოუთქვამთ მოსაზრება პაციენტის გარდაცვალება წარმოადგენდა თუ არა აღნიშნული არასწორი ტაქტიკის შედეგს. ამასთან, სხვა რეცენზენტთა მოსაზრებით, პაციენტის მკურნალობის ყველა ეტაპზე უხეშ საექიმო შეცდომას ან არასწორი ტაქტიკის არჩევას ადგილი არ ჰქონია, დიაგნოზი დასმულია სწორად, დიაგნოსტიკური და სამკურნალო ღონისძიებები ადეკვატურია, დროულია და შეესაბამება დასმულ დიაგნოზს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მითითებით, ააიპ „...“ წევრების – მ. კ-ისა და დ. ა-ის რეცენზია ვერ იქნება მიჩნეული რ. ქ-ის მიერ ლ. ქ-ისთვის განეული სამედიცინო დახმარებისას გამოვლენილ დარღვევებსა და პაციენტის გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის მტკიცების საკმარის საფუძველად.

სასამართლომ განმარტა, რომ დამოუკიდებელი საექიმო საქ-

მიანობის სუბიექტსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი. მითითებული საკანონმდებლო აქტის 73-ე მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის პროფესიული პასუხისმგებლობა არის პაციენტის გამოკვლევასთან, მოვლასა და მკურნალობასთან დაკავშირებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე კანონის 74-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის არასწორად წარმართვისათვის გათვალისწინებულია პროფესიული პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები: ა) წერილობითი გაფრთხილება; ბ) სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება; გ) სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმება; დ) ნარკოტიკული, ფსიქოტროპული და ალკოჰოლის შემცველი მედიკამენტების გამოწერის შეზღუდვა; ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის სხვა ზომები. ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილება იღებს საბჭო.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიმართ პროფესიული პასუხისმგებლობის ღონისძიების სახით სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების შესახებ. ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა მოსარჩელის განცხადება. ამასთან, სასამართლოს მითითებით, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ექიმის მიმართ პროფესიული პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენებას საფუძვლად დაედო მის მიერ პაციენტ ლ. ქ-ისთვის განეული სამედიცინო დახმარების შემოწმების შედეგები, პაციენტი კი წარმოადგენდა მოსარჩელის მეუღლეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ქ-ე წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რომელსაც „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-80 მუხლის საფუძველზე, სრული უფლება ჰქონდა გაესაჩივრებინა ექიმის მიმართ პროფესიული პასუხისმგებლობის სახით სერტიფიკატის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება. სასამართლომ აღნიშნა, რომ დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება საქართველოს კონსტიტუციით გარან-

ტირებულ უფლებათა რიგს მიეკუთვნება, რაც დაინტერესებულ პირებს ანიჭებს უფლებას სადავოდ გახადონ საბჭოს პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველად უთითებს იმ გარემოებას, რომ საბჭოს მიერ არასწორად მოხდა ექიმის ქმედების კვალიფიკაცია, რამაც გავლენა იქონია გამოყენებული პროფესიული პასუხისმგებლობის ღონისძიების სახეზეც. მოსარჩელის მოსაზრებით, საბჭოს მიერ ექიმის ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლით, აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დარღვევებისთვის კი პროფესიული პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების სახედ კანონმდებლობა ითვალისწინებს სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმებას და არა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 76-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება არის სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დროებითი აკრძალვა. ამავე კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტით კი განისაზღვრა, საბჭოს მიერ რა შემთხვევაში უნდა მოხდეს პროფესიული პასუხისმგებლობის აღნიშნული ღონისძიების გამოყენება. კერძოდ, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების საფუძველია: ა) მისი მფლობელის მიერ სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრული პირობების ან სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა; ბ) სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელის მიერ ერთი წლის განმავლობაში სულ ცოტა 3-ჯერ მიღებული წერილობითი გაფრთხილება. ამავე კანონის 79-ე მუხლი განსაზღვრავს საექიმო საქმიანობის იმ დარღვევათა ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიმართ პროფესიული პასუხისმგებლობის სახით გამოიყენება სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმება. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმების საფუძველია: ა) სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეუსაბამობა მის პროფესიულ მოვალეობასთან; გ) სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელის მიერ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც სცილდება სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრულ ფარგლებს; დ) სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების ამ კანონით დადგენილი ვადის გას-



ვლა, თუ მანამდე სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელმა ვერ მოახერხა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა და შესაბამისი მოთხოვნების შესრულება; ე) სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელის მიერ ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების სისტემატური ან ერთჯერადი მძიმე დარღვევა, თუ ამ უკანასკნელს მოჰყვა პაციენტის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გაუარესება ან სიკვდილი ან/და პაციენტისათვის მატერიალური ზიანის მიყენება; ვ) სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელისათვის თავისუფლების აღკვეთის ან მისი სამუშაოდან დათხოვნის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება, მათ შორის, სამსახურიდან განთავისუფლება სასამართლოს გადაწყვეტილებით პროფესიული საქმიანობისას ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, მისი კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან; ზ) სახელმწიფო სერტიფიკატის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების საფუძვლად ყალბი დოკუმენტის გამოყენების აღმოჩენა.

მითითებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლობამ ერთმანეთისაგან გამიჯნა პროფესიული პასუხისმგებლობის ღონისძიების – სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებისა და სერტიფიკატის გაუქმების გამოყენების საფუძველები. ამასთან, პასუხისმგებლობის ღონისძიების სახით სერტიფიკატის გაუქმების ღონისძიების გამოყენებასთან მიმართებაში კანონმდებელმა მოახდინა პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების საფუძველების მკაცრი რეგლამენტაცია, რაც განპირობებული იყო სახდელის სიმკაცრით. შესაბამისად, პასუხისმგებლობის მითითებული ღონისძიების გამოყენებისას ზუსტად უნდა განსაზღვრულიყო ზემოაღნიშნული კანონის 79-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობა.

მოსარჩელის მოსაზრებით, ექიმის ქმედება უნდა შეფასებულიყო „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევად – სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელის მიერ ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევად, რამაც გამოიწვია პაციენტის სიკვდილი. სასამართლომ განმარტა, რომ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ექიმის მიმართ პროფესიული პასუხისმგებლობის სახით სერტიფიკატის გაუქმების გამოყენებისთვის სახეზე უნდა იყოს ექიმის მიერ არა მართო სახელმწიფო სტანდარტებისა და კანონმდებლობით დადგენი-

ლი წესების დარღვევა, არამედ აღნიშნულ დარღვევებს უნდა მოჰყვეს მძიმე შედეგი პაციენტის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გაუარესების ან სიკვდილის ანდა პაციენტისათვის მატერიალური ზიანის მიყენების სახით. ამდენად, აღნიშნული ნორმა კუმულაციური ხასიათისაა, სამართლებრივი შედეგის დადგომა დამოკიდებულია ორივე პირობის ერთობლიობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ მოსარჩელის ქმედება საბჭოს მიერ შეფასებულიყო „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევად, სახეზე უნდა ყოფილიყო ექიმის მიერ არა მარტო სახელმწიფო სტანდარტისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევა, არამედ აღნიშნულ დარღვევებს უნდა მოჰყოლოდა მძიმე შედეგი პაციენტის სიკვდილის სახით. განსახილველ შემთხვევაში კი სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით ექიმის ქმედებებში გამოვლენილ დარღვევებსა და პაციენტის გარდაცვალების ფაქტს შორის მიზეზობრივი კავშირი არ დგინდება, რაც ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, გამორიცხავდა ექიმის მიმართ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე პროფესიული პასუხისმგებლობის ღონისძიების სახით სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმებას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს ასევე არ ქმნიდა მოსარჩელის მითითება „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმების საფუძველია სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელის მიერ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც სცილდება სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრულ ფარგლებს. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ქირურგმა – რ. ყ-მა 2013 წლის 25 მარტს პაციენტს ჩაუტარა პლევრის ღრუს პუნქცია, თუმცა მას არ გააჩნდა სუბსპეციალობის მოწმობა „თორაკალურ მედიცინაში“. შესაბამისად, სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს „ზოგად ქირურგიაში“ სერტიფიკატის მფლობელი ექიმის მიერ ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც საჭიროებდა სუბსპეციალობის მოწმობას, წარმოადგენდა თუ არა საქმიანობას, რომელიც სცილდებოდა სახელმწიფო სერტიფიკატით „ზოგადი ქირურგია“ გათვალისწინებულ ფარგლებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება აქვს საქართველოს ან

უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და ამ კანონით დადგენილი წესით მიიღო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი (შემდგომში – სახელმწიფო სერტიფიკატი). ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პირს აქვს მხოლოდ სახელმწიფო სერტიფიკატში აღნიშნული სპეციალობით (სპეციალობებით), გარდა ამ კანონით დადგენილი გამონაკლისებისა. ამავე კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სახელმწიფო სერტიფიკატი სავალდებულოა მხოლოდ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისათვის.

სასამართლომ ასევე მიუთითა „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საექიმო სუბსპეციალობა არის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე ექიმი-სპეციალისტის დამატებითი კომპეტენცია, რომელიც გულისხმობს პროფილაქტიკური, სადიაგნოზო, სამკურნალო ან სარეაბილიტაციო ტექნოლოგიის ან მეთოდის ფლობას, ან რომელიმე ორგანოს ან ორგანოთა სისტემის დაავადების მართვას და რომლის დასაუფლებლად აუცილებელია სათანადო მზადების კურსის გავლა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დამტკიცებული შესაბამისი პროგრამით. ამავე საკანონმდებლო აქტის 37<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სუბსპეციალობაში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება აქვს ექიმ-სპეციალისტს, რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს შესაბამისი სუბსპეციალობის მოწმობა. მე-3 პუნქტის თანახმად კი, სუბსპეციალობაში მზადების კურსის გავლის და სუბსპეციალობის მოწმობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ ექიმ-სპეციალისტებს, რომელთა სპეციალობასაც შეესაბამება მოცემული სუბსპეციალობა. სპეციალობების და ამ სპეციალობების შესაბამისი სუბსპეციალობების ნუსხებს ექიმთა პროფესიულ ასოციაციებთან ერთად შეიმუშავებს საბჭო და ამტკიცებს სამინისტრო. მითითებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ განმარტა, რომ სერტიფიკატი საექიმო საქმიანობის სუბიექტს ანიჭებს საექიმო საქმიანობის უფლებას კონკრეტულ სპეციალიზაციაში. შესაბამისად, საექიმო საქმიანობა, რომელიც სცილდება იმ სპეციალობის ფარგლებს, რომელშიც ექიმს მინიჭებული აქვს სერტიფიკატი, საჭიროებს ახალ სერტიფიკატს. ამასთან, ექიმ-სპეციალისტს უფლება აქვს სუბსპეციალობის კურსის გავლით შეიძინოს დამატებითი კომპეტენცია, თუმცა მხოლოდ

იმ სუბსპეციალობაში, რომელიც წარმოადგენს მისი სპეციალობის შესაბამის სუბსპეციალობას. სასამართლოს აზრით, სუბსპეციალობის კურსის გავლასთან მიმართებაში დადგენილი შეზღუდვა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კონკრეტული სპეციალობის მომიჯნავე სუბსპეციალობა ითვალისწინებს ისეთ საქმიანობას, რომელიც, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმოადგენს ძირითადი სპეციალიზაციის მსგავს, მონათესავე სფეროს და შესაბამისად, ექცევა ძირითადი სპეციალობის ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტულ სპეციალიზაციაში სერტიფიკატის მქონე ექიმის მიერ, სუბსპეციალობის მოწმობის გარეშე, სუბსპეციალობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება უნდა იქნეს მიჩნეული სახელმწიფო სერტიფიკატით დადგენილი ფარგლების დარღვევად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სუბსპეციალობა არ იქნება ექიმის სპეციალობის მომიჯნავე სუბსპეციალობა. სხვა შემთხვევაში აღნიშნული წარმოადგენს ექიმის მიერ სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული დამოუკიდებელი საქმიანობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევას და არა ისეთი საქმიანობის განხორციელებას, რომელიც სცილდება სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრულ ფარგლებს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ექიმი რ. ქ-ი სახელმწიფო სერტიფიკატს ფლობდა სპეციალობაში „ზოგადი ქირურგია“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის №136/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საქმიანობა სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების თანდართული ნუსხის“ შესაბამისად კი, სპეციალობის „ზოგადი ქირურგია“ მომიჯნავე სუბსპეციალობად განისაზღვრა „თორაკალური ქირურგია“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მითითებით, სპეციალობაში „ზოგადი ქირურგია“ სერტიფიკატის მქონე ექიმის მიერ, მისი სპეციალობის მომიჯნავე სუბსპეციალობის „თორაკალური ქირურგია“ მოწმობის გარეშე, აღნიშნული სუბსპეციალობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება, ვერ იქნება მიჩნეული სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელის მიერ ისეთი საქმიანობის განხორციელებად, რომელიც სცილდება სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრულ ფარგლებს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემუ-

ლი ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. შესაბამისად, არ არსებობდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და მოპასუხისათვის რ. ქ-ის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის ხელახლა შესწავლის დავალების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ქ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 8 ნოემბრის განჩინებით მ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას მიუთითა მათზე და დამატებით განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მიღებული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის საფუძველზე. შესაბამისად, არ არსებობდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და მოპასუხისათვის რ. ქ-ის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის ხელახლა შესწავლის დავალების საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნას, მ. ქ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 8 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ქ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს. სასამართლომ მიუთითა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ ექიმ რ. ქ-ის მოქმედებასა და პაციენტ ლ. ქ-ის გარდაცვალებას შორის მიზე-

ზობრივი კავშირი თითქოს ვერ დადგინდა, თუმცა, აღნიშნულ დასკვნაში მითითებულია, რომ ლ. ქ-ის ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვია რ. ქ-ის მოქმედებამ. აღნიშნულზე უთითებენ აგრეთვე „საქართველოს სამედიცინო ასოციაციის გაერთიანების“ წევრები – მ. კ-ე და დ. ა-ე თავიანთ დასკვნაში, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ 2013 წლის 19 მარტიდან 23 მარტამდე პერიოდში მოცდითი ქირურგიული ტაქტიკა არაადეკვატური იყო. მათ სასამართლო სხდომაზე განმარტეს, რომ პაციენტის მიმართ არ ტარდებოდა სათანადო მონიტორინგი, კერძოდ, როცა ლ. ქ-ეს მუცლის ღრუს რენტგენის თანახმად, აღენიშნებოდა ნაღვლოვანი გამონადენი და 5 დღის განმავლობაში სითხის რაოდენობა იმატებდა, ექიმი რ. ქ-ი, რომელიც ზედამხედველობას უწევდა პაციენტს, არ ატარებდა შესაბამის სამედიცინო მანიპულაციებს.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო მიუთითებს გარდაცვალების მიზეზობრივ კავშირზე, თუმცა გადანყვეტილების დასაბუთებაში არ საუბრობს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე, რაც უდავოა, რომ გამოწვეულია ექიმ – რ. ქ-ის დაუდევარი მოქმედებით. ამ ფაქტზე მიუთითებს თავად პაციენტის – ლ. ქ-ის საავადმყოფოში შეყვანის დროს დასმული დიაგნოზი და შემდეგ გარდაცვალების მიზეზი. სწორედ მოცემული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას სასამართლოს უნდა დაედგინა, რომ ექიმ – რ. ქ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა უხემ საექიმო ჩარევას და შეცდომას, რაც შეესაბამება „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. ქ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განჩინებით მ. ქ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაიწმინა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ქ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა

გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2013 წლის ... ლ. ქ-ე 00:20 საათზე ქუთაისის სსდ ბრიგადის მიერ მიყვანილ იქნა შპს „...“. მას „...“ დიაგნოზი დაუსვეს. 2013 წლის 10 მარტს პაციენტს ენდოტრაქეალური ნარკოზით ქირურგ – რ. ქ-ის მიერ ოპერაცია გაუკეთდა: „...“. პაციენტი გარდაიცვალა 2013 წლის 4 აპრილს 21:55 საათზე. ლ. ქ-ის გვამის სასამართლო-ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ლ. ქ-ის სიკვდილი გამოიწვია პოლიორგანულმა უკმარისობამ განვითარებული დიფუზური ფიბრინულ-ჩირქოვანი პერიტონიტის შედეგად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რეგულირების სააგენტომ შეისწავლა შპს „...“ პაციენტ ლ. ქ-ისათვის განუხლები სამედიცინო დახმარების ხარისხი. სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ექიმ რ. ქ-ის მხრიდან გამოვლინდა „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანების მოთხოვნების დარღვევა. პაციენტ ლ. ქ-ის სამედიცინო დოკუმენტაცია რეცენზირებულ იქნა მედიცინის დოქტორ ვ. შ-ის, მედიცინის დოქტორის, პროფესორ ს. (ტ) ქ-ის, მედიცინის აკადემიური დოქტორის – დ. ა-ის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის ბ. მ-ის, პროფესორ – მ. კ-ის მიერ.

შემომების შედეგებისა და რეცენზენტთა შეფასებების საფუძველზე, გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების მიზნით, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე დაიცვა შპს „...“ ექიმის – რ. ქ-ის (სახელმწიფო სერტიფიკატი „ზოგადი ქირურგია“) პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2014 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით, შპს „...“ ქირურგ რ. ქ-ს 6 თვის ვადით შეუჩერდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება „ზოგად ქირურგიაში“ და დაევალა შესაბამისი 2-თვიანი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლა.

განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2014 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონზე, რომლის 74-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საექიმო საქმიანობის არასწორად წარმართვი-



სათვის, სხვებთან ერთად, გათვალისწინებულია პროფესიული პასუხისმგებლობის ისეთი სახეები, როგორცაა: წერილობითი გაფრთხილება, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება, სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმება, ამ უკანასკნელის გამოყენების საფუძველია სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელის მიერ ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების სისტემატური ან ერთჯერადი მძიმე დარღვევა, თუ ამ უკანასკნელს მოჰყვა პაციენტის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გაუარესება ან სიკვდილი ან/და პაციენტისათვის მატერიალური ზიანის მიყენება („საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის მასალებით დასტურდება, რომ პროფესიული განვითარების საბჭოს სხდომა ჩატარდა 2014 წლის 7 თებერვალს, რომელზეც საბჭოს წევრები გაეცნენ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას. დასკვნის თანახმად, ლ. ქ-ის სიკვდილის მიზეზი იყო პოლიორგანული უკმარისობა განვითარებული დიფუზური ფიბრინულ-ჩირქოვანი პერიტონიტის შედეგად. საბჭოს სხდომაზე აზრი გამოთქვეს, აგრეთვე, ააიპ „...“ წევრებმა. პროფესიული განვითარების საბჭომ ერთხმად დაადგინა, რომ ექიმ რ. ქ-ის მიერ ადგილი ჰქონდა პროფესიულ გადაცდომებს და 6 თვის ვადით შეუჩერა სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი აწესრიგებს მავალდებულებელი სარჩელის (23-ე მუხლის) საფუძველზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომლითაც ის ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს, გამოსცეს მოთხოვნილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმა უკანონოა ან თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოსცა აქტი კანონით გათვალისწინებულ ვადაში, რამაც შელახა ან დაარღვია მოსარჩელის უფლებები და კანონიერი ინტერესები. მითითებული ნორმის მიხედვით, სარჩელი დასაბუთებულია, თუ დადგინდება აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარის კანონშესაბამობა, ან მისი გამოცემის ვადების დარღვევა, რაც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. ამასთან, სასამართლომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაბუთებულობის შემონმებისას უნდა გამოიკვლიოს, მოქმედებდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში; თუ ადმინისტრაციულ-სამართლებ-

რივი აქტი, რომლის გამოცემის დავალდებულებასაც ითხოვს მოსარჩელე, მოქცეულია ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, სასამართლო უფლებამოსილია, შეამონმოს შეცდომის არსებობა დისკრეციულ უფლებამოსილებაში, ასევე შეამონმოს, თუ რამდენად დასაბუთებულია ამ უფლებამოსილების გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლით აღძრული სარჩელის დასაბუთებულობის იმ წანამძღვრებს, რაც დადგენილია აღნიშნული კოდექსის 33-ე მუხლით (აქტის გამოცემაზე უარის უკანონობა ან შეცდომა დისკრეციაში), მას ამავე მუხლის მიხედვით, შეუძლია ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილებით დაავალოს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან თვითონ მოაწესრიგოს სადავო საკითხი. ამასთან, სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი, მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით და არსებით გამოკვლევას. ამასთანავე, საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება შეესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის საფუძველზე, რის გამოც არ არსებობდა სადავო აქტის ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ექიმ რ. ქ-ის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის ხელახლა შესწავლის დავალების საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა არამართებულია, ვინაიდან პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონშეუსაბამოა, რაც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს. ამასთან, სადავო საკითხის მონესრიგება ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს და საქმის გარემოებათა დამატებით და არსებით გამოკვლევას საჭიროებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს ექიმ –

რ. ქ-ის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ავალდებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება ავალდებულებს სანქციის შემფარდებელ ორგანოს გაითვალისწინოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წესები. პასუხისმგებლობის დაკისრებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი პროპორციულობა და თანაზომიერება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი, მის შეფარდებამდე დარღვევის არარსებობა, გადაცდომის სიმძიმე, პიროვნება, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს პროფესიული პასუხისმგებლობის გამოყენებული სახის ადეკვატურობას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები. პროფესიული პასუხისმგებლობის ალტერნატიული ზომის არსებობა მიუთითებს უფრო მკაცრი სახის პასუხისმგებლობის გამოყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად მკაცრი სახის სანქცია ვერ უზრუნველყოფს სახდელის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭო „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 81-ე მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 16.05.08წ. №122/6 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განვითარების საბჭოს“ დებულების მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით, არის პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. საბჭოს მიერ საკითხის განხილვისას პროფესიული პასუხისმგებლობის სახის შერჩევა არის ამ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება. პროფესიული განვითარების საბჭოს 2014 წლის 7 თებერვლის სხდომაზე გამოტანილი გადაწყვეტილება – №2 ოქმი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი იმის გამო, რომ მასში არ არის დასაბუთებული, თუ რატომ არის გამოყენებული მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება მაშინ, როდესაც შესაძლებელია სახდელის სხვა ზომის გამოყენება. საკასაციო სასამართლოს აზრით, განსახილველ შემთხვევაში ექიმისთვის სერტიფიკატის მოქმედების 6 თვის ვადით შეჩერება აბსოლუტურად შეუსაბამო, არაადეკვატური და ლოიალური გადაწყვეტილებაა ჩადენილ გადაცდომასთან მიმართებაში.

საკაცაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრეციის სფეროში მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს დასაბუთებას. მსჯელობის შედეგად გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცხადად უნდა აისახოს თუ რა მოსაზრებები გაიზიარა საბჭომ საკითხზე მსჯელობისას. საქმის მასალებში წარმოდგენილია პროფესიული განვითარების საბჭოს 2014 წლის 7 თებერვლის სხდომის ოქმი, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები, ააიპ „...“ ექსპერტების: მედიცინის დოქტორ ვ. შ-ის, მედიცინის დოქტორის, პროფესორ ს. (ტ) ქ-ას, მედიცინის აკადემიური დოქტორის – დ. ა-ის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის – ბ. მ-ის, პროფესორ მ. კ-ის რეცენზიები. გარდა სამედიცინო დოკუმენტაციის ხარვეზებით წარმოებისა (სატიტულო ფურცელზე არ ფიქსირდება გარდაცვალების თარიღი და დრო, გატარებული სანოლ-დღეების რაოდენობა, გამომგზავნი დაწესებულების დიაგნოზი; 10.03.13წ. ოპერაციული მკურნალობის ინფორმაციული თანხმობის ფურცელზე და ასევე, ლაპაროცენტეზის წარმოებაზე (19.03.13წ.) ხელს აწერს პაციენტის მეუღლე მ. ქ-ე (სამედიცინო ჩანაწერების მიხედვით, პაციენტი უგონო მდგომარეობაში მყოფი ან ქმედუწუნარო არ არის); 25.03.2013წ. რიცხვში ჩატარებული პლევრალური სითხის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის დასკვნა სამედიცინო ბარათში არ ფიქსირდება; სამედიცინო ბარათში არ ფიქსირდება 10.03.13წ. ჩატარებული ოპერაციისას ამოკვეთილი პრეპარატის ჰისტომორფოლოგიური დასკვნა; სამედიცინო ბარათში არ ფიქსირდება რელაპაროტომიული ოპერაციებისას (№130, №164 და №181) აღებული მუცლის ღრუს გამონადენის ჩატარებული ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის დასკვნები; სამედიცინო ბარათში არ ფიქსირდება პაციენტის ზოგადი მდგომარეობის ამსახველი ჩანაწერი ქირურგიულ განყოფილებაში გადაყვანისას; 19.03.2013წ. (10:30სთ და 20:00სთ), 21.03.13წ. (11:00სთ) და 22.03.13წ. (10:30სთ) ჩანაწერებში არ ფიქსირდება მკურნალი ექიმის ხელმოწერა; ძირითად დიაგნოზში არ ფიქსირდება დიაგნოზი „...“; 10-18.03.13წ. და 25-29.03.13წ. ქირურგ რ. ქ-ის რიგ ჩანაწერებში დაფიქსირებულია „განყოფილების გამგის შემოვლა“, რაც არ დასტურდება განყოფილების გამგის ხელმოწერით), პაციენტს, ქირურგიულ განყოფილებაში მკურნალობისას, მიუხედავად გართულებული მდგომარეობისა, სისხლის განმეორებითი კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები არ ჩატარებია 2013 წლის 23 მარტამდე. ქირურგმა – რ. ქ-მა 2013 წლის 25 მარტს პაციენტს ჩაუტარა პლევრის ღრუს პუნქცია მაშინ, როცა ქირურგს არ გააჩნდა სუბსპეციალობის მოწმობა „თორაკალურ ქირურგიაში“. ამასთან, ექსპერტების: დ. ა-ისა და ბ. მ-ის მიერ პაციენტ ლ. ქ-ის სამედიცინო

დოკუმენტაციის სარეცენზიო დასკვნის შესაბამისად, პაციენტის მკურნალობის ყველა ეტაპზე უხეშ საექიმო შეცდომას ან არასწორი ტაქტიკის არჩევას ადგილი არ ჰქონია, თუმცა რადიოლოგიური ან ბაქტერიოლოგიური კვლევების გაფართოება დაავადების მართვას შემატებდა აკადემიურობას, მაგრამ, სავარაუდოდ, ნაკლებად შეცვლიდა დაავადების მკურნალობის ტაქტიკას. რეცენზენტების: ვ. შ-ისა (მედიცინის დოქტორი, ონკოლოგიის ცენტრის ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი) და ს. (ტ) ქ-ას (მედიცინის დოქტორი, პროფესორი, ჯეოჰოსპიტალის საავადმყოფოთა ქსელის ანესთეზიოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი) მიერ პაციენტ ლ. ქ-ის სამედიცინო დოკუმენტაციის რეცენზიის საფუძველზე მომზადებული დასკვნის თანახმად, დიაგნოზი დასმულია სწორად, დიაგნოსტიკური ღონისძიებები ადეკვატურია, დაგეგმილი დიაგნოსტიკური ღონისძიებები დასმულ დიაგნოზს შეესაბამება მთელი მოცულობით, სამკურნალო ღონისძიებები ადეკვატურია, მკურნალობის მეთოდისა და თერაპიის (ოპერაციის) მოცულობის შერჩევა რაციონალურია სრულად, სამედიცინო დახმარების შედეგი არ არის მიღწეული. დასკვნა: დიაგნოზი დასმულია სწორად, დიაგნოსტიკური და სამკურნალო ღონისძიებები ადეკვატურია, დროულია და შეესაბამება დასმულ დიაგნოზს.

ააიპ „...“ ნევრების – მ. კ-ისა და დ. ა-ის დასკვნის თანახმად, 1) 10.03.2013 წლიდან 15.03.2013 წლამდე პერიოდში ქირურგიული მკურნალობის ტაქტიკა გამართლებულია და შეიძლება ითქვას ადეკვატურიც; 2) 15.03.2013 წლიდან 19.03.2013 წლამდე პერიოდში არჩეული ქირურგიული დაკვირვების ტაქტიკა არ არის გამყარებული ინტენსიური დინამიური ინსტრუმენტული მონიტორინგით. შესაბამისად, ამ პერიოდში არსებული ქირურგიული ტაქტიკაც გამართლებულია, მაგრამ არასრულყოფილია სათანადო მონიტორინგის არარსებობის გამო; 3) 19.03.2013 წლიდან 23.03.2013 წლამდე პერიოდში კვლავ მოცდითი ქირურგიული ტაქტიკა უკვე არაადეკვატურია.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, პროფესიული განვითარების საბჭოს 2014 წლის 7 თებერვლის სხდომაზე შედგენილი №2 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და საბჭოს, საქმის გარემოებათა სრულყოფილი შესწავლის შემდეგ, დაევალოს ახალი აქტის გამოცემა იმ მოტივით, რომ გადანაცვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას ჩადენილ გადაცდომასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ყველა დამდგარი არასასურველი შედეგი, რა თქმა უნდა, ვერ იქნება მიჩნეული მცდარი სამედიცინო ქმედების რეზულტატად, მცდარი სამედიცინო ქმედება სათანადო შე-

ფასებას საჭიროებს, რაც უპირველესად მკურნალობის უარყოფითი შედეგის დადგომაში ექიმის წვლილის დეტალურ შემოწმებას გულისხმობს, თუმცა სამედიცინო შეცდომად განიხილება ისეთი არასწორი ქმედება, რომელიც მიყენებულ ზიანთან უშუალო მიზეზობრივ კავშირში იმყოფება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით, მცდარ სამედიცინო ქმედებად განმარტებულია ექიმის მიერ უნებლიედ, პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. საქართველოს სინამდვილეში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მცდარი სამედიცინო ქმედების განსაზღვრა. ასეთ ქმედებას ქართული კანონმდებლობა ოფიციალურად განმარტავს, რაც მისი სამართლებრივ კატეგორიად მიჩნევის მყარი საფუძველია. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონით, მცდარ სამედიცინო ქმედებად მიიჩნევა ექიმის მიერ უნებლიედ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა; ამავე კანონის 50-ე მუხლით, მცდარი სამედიცინო ქმედებისათვის ექიმი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საბჭოს სადავო აქტი კი არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ იქნა უარყოფილი გარკვეულ რეცენზენტთა დასკვნა, რომლითაც ექიმ რ. ქ-ის ქმედებები უარყოფითად შეფასდა. აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ სანქციის შეფარდებისას ასევე არ გაითვალისწინა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წესები, მხედველობაში არ მიიღო სანქციის პროპორციულობა და თანაზომიერება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები და ა.შ., რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა სანქციის არაადეკვატურობა. პროფესიული განვითარების საბჭომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნულ ქმედებებს მოჰყვა უმძიმესი შედეგი – პაციენტის გარდაცვალება.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატის სხდომებზე სარეცენზიო დასკვნის ავტორების: მ. კ-ისა და დ. ა-ის განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე, არ დასტურდებოდა ექიმ რ. ქ-ის მიერ ჩადენილი საქმიანობის იმგვარი დარღვევა, რამაც უშუალოდ გამოიწვია პაციენტ ლ. ქ-ის გარდაცვალება, რის გამოც, განსახილველ შემთხვევაში, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის გამოყენება არამართებული იყო, ვინაიდან იგი კუმულა-



ციური ხასიათისაა და სამართლებრივი შედეგის დადგომა ორივე პირობის ერთდროულად დადგომას გულისხმობს. აღნიშნულ მსჯელობას საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება, რადგან საქმის მასალებით, კერძოდ, „სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით“ დასტურდება, რომ პაციენტ ლ. ქ-ის ჯანმრთელობის გაუარესება გამონვეულ იქნა რ. ქ-ის მოქმედებით. ქვედა ინსტანციის სასამართლოები, ისევე როგორც პროფესიული განვითარების საბჭო, მიზეზობრივ კავშირს ვერ ადგენენ დამდგარ შედეგსა და ექიმის მოქმედებას შორის მაშინ, როცა საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით ცალსახად დასტურდება ექიმის დაუდევარი მოქმედება. აქედან გამომდინარე, პროფესიული განვითარების საბჭომ უნდა იმსჯელოს „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე, რომელიც არ არის კუმულაციური ხასიათის, ვინაიდან მოცემული ნორმის დისპოზიცია ნათლად გულისხმობს მისი გამოყენების შესაძლებლობას ერთ-ერთი პირობის დადგომისას, კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმების საფუძველია „სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელის მიერ ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების სისტემატური ან ერთჯერადი მძიმე დარღვევა, თუ ამ უკანასკნელს მოჰყვა პაციენტის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გაუარესება ან სიკვდილი ან/და პაციენტისათვის მატერიალური ზიანის მიყენება“. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პაციენტისათვის სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარების შედეგად მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზის გამოკვლევისას უტყუარად უნდა გამოირიცხოს ექიმის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები. ასეთ გარემოებად უნდა განვიხილოთ ის შემთხვევები, როდესაც მკურნალობის უარყოფითი შედეგი დაკავშირებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სათანადო პირობების არარსებობასთან, სამედიცინო დაწესებულებების სპეციალისტებით, დანადგარებით, სამკურნალო პრეპარატებით არასაკმარისად ან/და არასათანადოდ უზრუნველყოფასთან. ეს გარემოებები ექიმისათვის ობიექტურად დაუძლეველია და შესაბამისად, მცდარ სამედიცინო ქმედებად არ უნდა შეფასდეს, თუმცა განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალების მიხედვით, არ იკვეთება ზემოაღნიშნული შემთხვევების არსებობა, რაც გამორიცხავს ექიმის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას.

საკასაციო სასამართლო მიზეზ-შედეგობრივ კავშირთან მიმართებაში, ყურადღებას ამახვილებს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მიღებულ მნიშვნელოვან გადან-



ყვეტილებებზე, კერძოდ, დელიქტური სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავების განხილვისას საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (საქმე №ას-260-244-11; 2011 წლის 27 ივნისი) განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირს ზიანის ანაზღაურება ეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს მიუძღვის. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირის ბრალეულობის ხარისხს იმ შემთხვევაში, თუკი არ არის გამორიცხული ვარაუდი იმისა, რომ ზიანის წარმოშობას ან გაზრდას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამ. სამოქალაქო კანონმდებლობით, ზიანის მიმყენებელმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ საკუთარი ბრალეული მოქმედებისათვის ანუ მისი პასუხისმგებლობა უნდა შემოიფარგლოს მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე, სადაც აღნიშნულია სამედიცინო შეცდომით გამოწვეული ზიანის შემადგენლობაში ბრალის ხარისხზე. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის სავალდებულოა დადასტურდეს ექიმის გაუფრთხილებლობა და არა განზრახვა არასასურველი შედეგის დადგომის მიმართ, ამასთანავე, დამდგარი ზიანი უშუალოდ ამ ქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს და არა მკურნალობის თანმდევ შედეგს, რომლის თავიდან აცილების შესაძლებლობაც სამედიცინო დაწესებულებას ობიექტურად არ შეეძლო (საქმე №ას-593-568-2016; 14 ივლისი, 2017 წელი).

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ევროპის საბჭოს მიერ მიღებული აქტებიდან ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ (1950 წლის 4 ნოემბერი). კონვენცია პირველი იურიდიულად საერთაშორისო სამართლებრივი აქტია, რომელმაც აღიარა ადამიანის ძირითადი უფლებები, მათ შორის სიცოცხლისა და უსაფრთხოების უფლება, ნაშვების, მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვის უფლება, დარღვეულ უფლებათა ეფექტიანი აღდგენის უფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა და სხვა. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული უფლებები მის იურისდიქციაში მყოფი პირებისათვის.

მოცემულ საკითხთან მიმართებაში, საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ევროსასამართლოს პრაქტიკის განზოგადებას და მიუთითებს საქმეზე „ალთუღი თურქეთის წინააღმდეგ“ („Altuđ and Others v. Turkey (2015)“), რომლითაც დადგინდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა. საკითხი ეხებოდა სამედიცინო პერსონალის დაუდევარი ქმედებით პაციენტის გარდაცვალების ფაქტს. კერძოდ, 2002 წლის 19 თებერვალს, კუჭის ტკივილისა და მაღალი წნევის სინდრომით, ქალბატონმა კესოღლუმ მიმართა კერძო სამედიცინო ცენტრს, ექიმმა მას დაუნიშნა ამპიცილინი – პენიცილინის შემცველი პრეპარატი. წამლის ინტრავენულად შეყვანისთანავე მას გული გაუჩერდა. მოხდა მისი რეანიმირება, რის შემდეგაც გადაიყვანეს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტთან არსებულ საავადმყოფოში სადაც, მცდელობის მიუხედავად, 2002 წლის 25 თებერვალს იგი გარდაიცვალა. გარდაცვლილის ნათესავებმა დაიწყეს როგორც სისხლის სამართლის ასევე სამოქალაქო სამართლის საქმისწარმოება, თავიანთი უფლებების დასაცავად. მათ საჩივარი შეიტანეს კერძო სამედიცინო ცენტრის, ექიმისა და ექთნის წინააღმდეგ მკვლელობისა და სამსახურბეროვი მოვალეობის შესრულებისას დაუდევრობის ბრალდებით. კერძოდ, ისინი აცხადებდნენ, რომ ექიმს აცნობეს პაციენტის პენიცილინზე ალერგიის თაობაზე. სასამართლო მედიცინის ინსტიტუტმა, 2002 წლის 23 სექტემბერს გამოაქვეყნა მოხსენება, რომლის დასკვნებიც სამედიცინო დოკუმენტებს ეფუძნებოდა, მან ექსპერტის შემდეგ ჩაატარა გვამის პათოლოგიური, სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევა. მოხსენებაში დაასკვნა, რომ სიკვდილის გამომწვევი მიზეზი იყო პენიცილინის ინექცია, ხოლო სამედიცინო გუნდს არ უნდა დაეკისროს არანაირი პასუხისმგებლობა, ვინაიდან პენიცილინზე ფატალური რეაქცია შეიძლება გამოეწვიოს მკურნალობის განახლებას ან თუნდაც ინექციის სატესტო დოზას.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ „არც სასამართლო გადაწყვეტილებები და არც სხვადასხვა სამართალწარმოებაში წარმოდგენილი მოხსენებები არ ეხებოდა ან თუნდაც დამაკმაყოფილებლად განიხილავდა, მომჩივნის მთავარ მოთხოვნას, რომ სამედიცინო გუნდმა არ გამოკითხა ქალბატონი კ. ან მისი ნათესავები, პაციენტის სამედიცინო ისტორიის შესახებ, არ აცნობეს პენიცილინით მკურნალობის შესაძლო რისკებზე და არც მისი თანხმობის მიღებას დაელოდნენ, რაც არღვევს შესაბამის კანონმდებლობას. სასამართლოებმა არ განიხილეს სამედიცინო გუნდის უმოქმედობა, რათა გამოეკვლიათ შესაბამისი სამართლებრივი დებულებები, მომჩივნების განმეორებითი მოთხოვნების მიუხედა-

ვად და ასევე ის ფაქტი, რომ ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია და დავის მოგვარებისათვის შეიძლება ითქვას გადამწყვეტი, საკითხი მოითხოვდა კონკრეტულ, ცალსახა გამოხმაურებას სასამართლოებისგან. ნათელია, რომ აღნიშნულ სამართალწარმოებებს აკლდა საჭირო ეფექტურობა, რათა უზრუნველყო შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული ჩარჩოს იმპლემენტაცია, რომელიც შექმნილია, წინამდებარე საქმეში, ქალბატონი კ-ს... სიცოცხლის დასაცავად“. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ სამედიცინო გუნდის წევრებმა, რომლებსაც ბრალად ედებოდათ დაუდევრობა, წარმოადგინეს განსხვავებული ანგარიშები მოვლენების შესახებ. შესაბამისად, სასამართლოებს „სავარაუდოდ, არ განუხორციელებიათ მოვლენათა ზუსტი მიზეზობრივი კავშირის დადგენა, რომელთა ერთობლიობამაც გამოიწვია მომჩივანთა ნათესავის სიკვდილი. ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მომჩივანთა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული გარანტიების ეფექტური დაცვა, რის გამოც ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას“.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს ევროსასამართლოს კიდევ ერთ გადაწყვეტილებაზე – „ეუგენია ლაზარი რუმინეთის წინააღმდეგ“ („Eugenia Lazar v. Romania“ (2010)), სადაც მომჩივანი დავობდა თავისი 22 წლის ვაჟის გარდაცვალების თაობაზე, რაც მისი აზრით, სავადმყოფოსა და სახელმწიფოს ბრალეულობას წარმოადგენდა, რომელმაც არ ჩაატარა სისხლის სამართლის საქმის წარმოება იმ ექიმის წინააღმდეგ, რომელიც მის შვილს მკურნალობდა. ევროსასამართლომ განმარტა, რომ „ითვალისწინებს რა, რუმინული სასამართლოების უუნარობას გამოეტანათ დასაბუთებული გადაწყვეტილება მომჩივნის შვილის სიკვდილის მიზეზების თაობაზე და იმის გათვალისწინებით რომ ექიმებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მომჩივნის შვილის სიკვდილის გამოძიება იყო არაადეკვატური, სასამართლო სამედიცინო ანგარიშების არაადეკვატურობასთან ერთად“.

ზემოაღნიშნული განმარტებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს სადავო აქტის უკანონობას, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც მ. ქ-ის საკა-

საციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 8 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ქ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2014 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება ექიმ რ. ქ-ის მიმართ სახელმწიფო სამედიცინო სერტიფიკატის 6 თვის ვადით შეჩერების თაობაზე, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს უნდა დაევალოს ექიმ რ. ქ-ის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების დასკვნები მ. ქ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, სრულიად დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის გათვალისწინებით, მოპასუხეს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მ. ქ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 550 (100+150+300) ლარის გადახდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (პირველი ინსტანციის სასამართლოში – 100 ლარის ოდენობით; სააპელაციო სასამართლოში – 150 ლარის ოდენობით; საკასაციო სასამართლოში – 300 ლარის ოდენობით) ანაზღაურების მიზნით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

### **ბ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. მ. ქ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 8 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2014 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება რ. ქ-ის ნაწილში;

5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს დაევალოს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ექიმ რ. ქ-ის სამედიცინო პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;

6. მოპასუხეს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მ. ქ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 550 (100+150+300) ლარის გადახდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში  
ავტორიზებული პირის გაფრთხილების კანონიერება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-1073-1067(კ-17)

19 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2015 წლის 24 ივლისს შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 11 ივნისის №342/18 გადაწყვეტილებით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 62-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის მე-10(5) პრიმა მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის გამო, გაფრთხილებულ იქნა შპს „...“. მოსარჩელე გაფრთხილებას უკანონოდ მიიჩნევს, ვინაიდან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ადმინისტრაციული წარმოების დროს სათანადოდ არ გამოიკვლია ყველა არსებითი მტკიცებულება და ყურადღება არ გაამახვილა საქმის ობიექტურად გადამწყვეტისათვის აუცილებელ გარემოებებზე.

მოსარჩელის მითითებით, ადმინისტრაციული წარმოების დანაშაულის საფუძველი გახდა კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის 2015 წლის 18 მაისის №შ-10/3058-15 სამსახურებრივი ბარათი, საიდანაც ირკვეოდა, რომ შპს „...“ მიერ კომისიისათვის წარდგენილ იქნა 59 სააბონენტო ნომრიდან 56 სააბონენტო ნომერზე გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების ასლები. საჯარო რეესტრში წარმოდგენილ ხელშეკრულებებში აღნიშნული

პირადი ნომრებით მოქალაქეები არ იძებნებოდნენ. მოსარჩელის განმარტებით, კომისიის მიერ შემონმებული სააბონენტო ნომრების რეალიზაცია განახორციელა შპს „...“ დილერმა შპს „მე...“. შპს „...“ მიერ კომისიაში წარდგენილ იქნა შპს „მ...“ 2015 წლის 29 აპრილისა და 6 მაისის წერილები, სადაც მოცემული იყო განმარტება სააბონენტო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. კომისიამ არასათანადოდ შეაფასა წარდგენილი მტკიცებულებები, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „...“ მიერ დარღვეულ იქნა კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სააბონენტო ხელშეკრულებებში მითითებული პირების პირადი ნომრები გადაამონმა სსიპ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით, რაც ვერ ჩაითვლებოდა ამ ინფორმაციის გადამონმების სანდო წყაროდ. ასევე, ადმინისტრაციული წარმოების დროს არ იქნა გამოყენებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განჩინება (საქმე №ბს-177-170(კ-13)).

ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 11 ივნისის №342/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...“ არის ავტორიზებული პირი (ავტორიზაციის თარიღი 09.03.2006წ., ხელახალი რეგისტრაციის თარიღი: 12.02.2012წ., ავტორიზებული საქმიანობის სახეები: ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა; ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა; ძირითადი საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა; ფიჭური ორგანიზების ტიპის საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა; თანამგზავრული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა; ინტერნეტმომსახურება; მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება; მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების გაფართოებული მომსახურებით უზრუნველყოფა; თანამგზავრული ინტერნეტმომსახურება).

2015 წლის 17 და 21 აპრილს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენ-





ნომრების რეალიზაცია განხორციელდა მათი დილერის შპს „მ...“ მიერ, რომელმაც ხელშეკრულებები ვერ მოიძია.

ასევე დადგინილია, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, მტკიცებულებების შეფასებისა და გამოკვლევის დროს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წარდგენილ ხელშეკრულებებში მითითებული აბონენტები პირადი ნომრებით, კომისიის მიერ გადამონმდა სსიპ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით (<http://rs.ge/5924>), რის შედეგადაც ფიზიკური პირები (აბონენტები) ვერ იქნენ მოძიებულნი. სასამართლოს მითითებით, დადგინილია და მხარეებიც არ ხდიან სადავოდ, რომ შპს „...“ მიმართ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ანალოგიური დარღვევისთვის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის არც ერთი სახე გამოყენებული არ ყოფილა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ზედამხედველობს კომისია. ამავე კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კომისია დამოუკიდებლად ახორციელებს ავტორიზებული პირების საქმიანობისა და ლიცენზიის ან/და ნებართვის მფლობელების მიერ რადიოიხსნირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის რეგულირებას, მათ შორის, ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიღებას, მათი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს, გამოვლენილი დარღვევებისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში ამავე კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სანქციების დაკისრებას. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზებისა და სალიცენზიო ან/და სანებართვო პირობების დაცვაზე განახორციელოს ზედამხედველობა და მათი დარღვევისას გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, ხოლო 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია აკონტროლებს ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრუ-

ლებას. ამავე კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს კომისია ახორციელებს მუდმივად და სისტემატურად.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ავტორიზებული პირი ვალდებულია შეასრულოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, საქართველოს მთავრობის დადგენილებების, აგრეთვე კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების მოთხოვნები.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარ აბონენტს დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, მიაწოდოს მომსახურება სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა მოიცავდეს: ა) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის დასახელებასა და მისამართს; ბ) პირობებს მიწოდებული მომსახურების სახის, ხარისხისა და პირველადი ჩართვის ვადის შესახებ; გ) მომსახურების მიწოდების შეზღუდვისა და შეწყვეტის პირობებს; დ) დაზიანების აღმოფხვრის პირობებს; ე) დეტალურ ინფორმაციას მომსახურების ტარიფების, აგრეთვე ცვლილების შემთხვევაში განახლებული ინფორმაციის მიღების შესახებ; ვ) ხელშეკრულების მოქმედების ვადის, მოქმედების შეწყვეტისა და მოქმედების ვადის გაგრძელების პირობებს; ზ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განევის ხარისხის დაცვის უზრუნველყოფისა და აღნიშნული ხარისხობრივი მაჩვენებლების დაუცველობის შემთხვევაში გათვალისწინებულ საკომპენსაციო მექანიზმებს; თ) მომსახურებასთან დაკავშირებული საჩივრების წარდგენისა და დავის გადაწყვეტის პროცედურას.

„ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის 10<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, ძირითადი მობილური სატელეფონო მომსახურება წარმოებს მომხმარებელსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის წერილობით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო დამატებითი მომსახურების მიწოდების პირობები შეიძლება განისაზღვროს სხვა (ელექტრონული ან სხვა ტიპის (ოფერტა) ფორმითაც.



ზედ, რომ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შპს „...“ მიმართ მიიღო დისკრიმინაციული გადაწყვეტილება, ვინაიდან მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების მქონე კომპანიის (შპს „მ...“) მიმართ მიღებულ იქნა განსხვავებული გადაწყვეტილება (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 2 ივლისის №383/18 გადაწყვეტილება).

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლითაც დადგენილია, რომ საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ „მსგავსი“ არ ნიშნავს „იდენტურს“. ამასთან, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის 2015 წლის 2 ივლისის №383/18 გადაწყვეტილების გაცნობისა და მოპასუხის განმარტებების საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ადგილი არ ჰქონია საქმის გარემოებების იდენტურობას, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი №383/18 გადაწყვეტილებით დადასტურებულია, რომ შპს „მ...“ შემომნების შედეგად გამოვლენილ 29 სააბონენტო ნომერზე კომისიას წარუდგინა 22 სააბონენტო ხელშეკრულების ასლი, ხოლო 7 ხელშეკრულება ვერ წარუდგინა. წარდგენილ ხელშეკრულებებში მითითებული აბონენტების პირადი მონაცემებით, მათ შორის პირადი ნომრებით, რომელიც გადამოწმდა სსიპ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით, 4 აბონენტის იდენტიფიცირება ვერ მოხდა; შპს „მ...“, დილერების მიერ სააბონენტო ხელშეკრულებების წარუდგენლობის გამო, 2015 წლის 30 იანვარს გააქტიურებული 7 სატელეფონო ნომერი მეორე დღესვე გათიშა. ამდენად, შპს „მ...“ მიერ დილერების მიერ წარდგენილ სააბონენტო ხელშეკრულებებში აბონენტების შესახებ უზუსტო მონაცემების გამოვლენისთანავე, გათიშულ იქნა 4 სატელეფონო ნომერი, დილერების მეშვეობით დადებული სააბონენტო ხელშეკრულებების გაკონტროლებისა და წერილობითი ხელშეკრულების დადების გარეშე მომხმარებლისათვის მომსახურების მიწოდების თავიდან აცილების მიზნით. ამდენად, კომისიამ მიიჩნია, რომ შპს „...“ განსხვავებით, შპს „მ...“, სამართალდარღვევის აღკვეთისა და პრევენციის მიზნით მიიღო გარკვეული ზომები, რის გამოც შპს „მ...“ მიმართ შეწყვიტა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. ამასთან, სასამართლომ დამატებით იმ გარემოებაზეც მიუთითა, რომ სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, განსახილველი და-

ვის ფარგლებში, შეეფასებინა შპს „მ...“ მიმართ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება.

სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ შპს „...“ არ უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა მისი დილერის ქმედების გამო, ვინაიდან შპს „...“ დილერთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სააბონენტო ნომრების რეალიზაციის თაობაზე, შესაბამისად, მომხმარებელთან ხელშეკრულების დადების გარეშე სააბონენტო ნომრების რეალიზაციისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა დილერს.

აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის 10<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ძირითადი მობილური სატელეფონო მომსახურების განევის თაობაზე მომხმარებელთან წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულება ეკისრებოდა მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გამწვევ ავტორიზებულ პირს. შესაბამისად, წერილობითი ხელშეკრულების გარეშე მომხმარებლისათვის მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მომსახურების მიმწოდებელს – შპს „...“ და არა მის დილერს. შესაბამისად, სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის განმარტება, რომ სწორედ მომსახურების მიმწოდებელმა, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყო სააბონენტო ნომრების რეალიზაცია და მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდება მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული გადაწყვეტილება გამოცემული იყო კანონის დაცვით, ადგილი არ ჰქონდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება შეესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2017 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 11 ივნისის №342/18 გადაწყვეტილება და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას საქმის არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ აბონენტების მონაცემების „შემოსავლების სამსახურის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გადამონმება ვერ ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოებების ყოველმხრივ გამოკვლევად, რადგან დასახელებულ ვებგვერდზე შესაძლებელია მხოლოდ იმ პირთა მონაცემების შემონმება, ვინც რეგისტრირებულია მენარმედ/გადასახადის გადამხდელად. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მონაცემების ბაზის წარმოებას საქართველოს მოსახლეობის შესახებ ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სადმინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დადასტურდა, რომ ისევე როგორც შპს „...“, შპს „მ...“ ჰყავდა აბონენტები, რომლებთანაც დადებული წერილობითი ხელშეკრულებები ვერ იქნა წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. თუმცა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შპს „მ...“ მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ გამოიყენა. კომისიამ 2015 წლის 11 ივნისის №342/18 გადაწყვეტილებით გამოიყენა პასუხისმგებლობის ზომა – გაფრთხილება მაშინ, როდესაც შპს „მ...“ მიმართ 2015 წლის 2 ივლისის №383/18 გადაწყვეტილე-



ბით შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება, ფაქტის დაუდასტურებლობის გამო. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლით განმტკიცებულია კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპი, კერძოდ, მითითებულია, რომ ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპი განვრცობილია უმნიშვნელოვანეს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს 2014 წლის 2 მაისის კანონში. კანონის მიზანია, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ეს გარემოებები იმდენად არსე-

ბითი მნიშვნელობისაა, რომ მათი შემონმება და შეფასება სასამართლოსათვის შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული ნორმის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობა და კომისიისათვის საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემის თაობაზე დავალების მიცემა, საფუძველს არის მოკლებული.

კასატორის განმარტებით, შპს „...“ შემონმების შედეგად გამოვლენილ 60 სააბონენტო ნომერთან დაკავშირებით ვერც ერთი ხელშეკრულება ვერ წარმოადგინა (კომისიას წარუდგინა არსებულ ფიზიკურ პირებთან დადებული 56 სააბონენტო ხელშეკრულება, ხოლო 4 ხელშეკრულება საერთოდ ვერ წარადგინა). მოცემული ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ 60 სააბონენტო ნომრიდან 43 ნომერზე დადებულ ხელშეკრულებაში ხელშეკრულების დადების თარიღად მითითებულია თარიღი, როდესაც სააბონენტო ნომერი პირისათვის არათუ გადაცემული და გააქტიურებული, არამედ უკვე გათიშული იყო. უდავოა, რომ შპს „...“ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების უარყოფელი მტკიცებულებები ვერც ადმინისტრაციული წარმოების დროს და ვერც სასამართლოებში საქმის განხილვისას ვერ წარმოადგინა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩათვლება, რომ შპს „...“ ნამდვილად დადო 56 სააბონენტო ხელშეკრულება 4 პირისათვის შესაბამისი ხელშეკრულების დადების გარეშე, ხოლო 43 პირისათვის ხელშეკრულების დადებამდე, კერძოდ, 17 და 21 აპრილს მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდებით, შპს „...“ მიერ დაირღვა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-4 ნაწილის, მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის 10<sup>5</sup> მუხლის პირველი ნაწილი, რაც მისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.

კასატორის მითითებით, ასევე უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს განმარტება იმის თაობაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით განმტკიცებულ კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპის დარღვევას, ვინაიდან, ისევე, როგორც შპს „...“ შპს „მ...“ ჰყავდა აბონენტები, რომლებთანაც დადებული ხელშეკრულებები ვერ იქნა წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების დროს, თუმცა კომისიამ შპს „მ...“ მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ გამოიყენა. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მის მიერ უკანონოდ მიჩ-

ნეული გადაწყვეტილება შეადარა კომისიის ისეთ გადაწყვეტილებას, რომლის კანონიერებაზეც სასამართლოს არ უმსჯელია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 11 ივნისის №342/18 გადაწყვეტილების მიღებისას ადგილი არ ჰქონია საქმის გარემოებების იდენტიფიკაციას (საქმის მასალებში წარმოდგენილია კომისიის 2015 წლის 11 ივნისის №242/18 და 2015 წლის 2 ივლისის №383/18 გადაწყვეტილებები).

კასატორის მითითებით, უსაფუძვლოა შპს „...“ განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მას პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს თავისი დილერის – შპს „მე...“ გამო. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის 62-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის 10<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ძირითადი მობილური სატელეფონო მომსახურების განვითარების თაობაზე მომხმარებელთან წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულება ეკისრება მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გამწვე ავტორიზებულ პირს. შესაბამისად, წერილობითი ხელშეკრულების გარეშე მომხმარებლისათვის მობილური მომსახურების მიწოდებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მომსახურების მიმწოდებელს და არა მის დილერს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 25 იანვრის განჩინებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასრულების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც



მარტს, ხოლო ხელახალი ავტორიზაცია გაიარა 2012 წლის 12 თებერვალს. ავტორიზებული საქმიანობის სახეები იყო: ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა; ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა; ძირითადი საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა; ფიჭური ორგანიზების ტიპის საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა; თანამგზავრული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა; ინტერნეტმომსახურება; მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება; მოძრავი საკომუნიკაციო სისტემების აბონენტების გაფართოებული მომსახურებით უზრუნველყოფა; თანამგზავრული ინტერნეტმომსახურება. ასევე დადგენილია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წარდგენილ ხელშეკრულებებში მითითებული აბონენტები პირადი ნომრებით, კომისიის მიერ გადამოწმდა სსიპ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით, რის შედეგადაც ფიზიკური პირები (აბონენტები) ვერ იქნენ მოძიებული. დადგენილია და მხარეებიც არ ხდიან სადავოდ, რომ შპს „...“ მიმართ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ანალოგიური დარღვევისთვის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის არც ერთი სახე გამოყენებული არ ყოფილა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიჩნია, რომ წერილობით დადებული ხელშეკრულებების გარეშე მომხმარებლისთვის მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდებისას, შპს „...“ მიერ დაირღვა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-4 პუნქტი, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის 10<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტი, რაც წარმოადგენდა მისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 11 ივნისის №342/18 გადაწყვეტილებით შპს „...“ მიეცა გაფრთხილება და დაევალა მითითებული სააბონენტო ნომრების მფლობელ მომხმარებლებთან 10 კალენდარული დღის ვადაში გაეფორმებინა სათანადო წერილობითი ხელშეკრულებები საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების თაობაზე და მათთვის მომსახურება მიეწოდებინა წერილობითი ხელშეკრულების დადების შემდეგ.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით სასამართლო-სათვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 11 ივნისის №342/18 გადაწყვეტილება და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების ხელახალი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საკასაციო პრეტენზიას, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისა და სადავო საკითხის გადაწყვეტაზე უარის თქმის პროცესუალური წინაპირობა. კასატორი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას კომისიამ სრულად გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და მტკიცებულებები და გადაწყვეტილება მიიღო მათი ურთიერთმეჯერების საფუძველზე. შესაბამისად, არ არსებობდა ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის ხელახლა განხილვის დაკლებულობის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კომისია დამოუკიდებლად ახორციელებს ავტორიზებული პირების საქმიანობისა და ლიცენზიის მფლობელების მიერ რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის რეგულირებას, მათ შორის, ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიღებას, მათი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს, გამოვლენილი დარღვევებისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, ამავე კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სანქციების დაკისრებას.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზებისა და რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დაცვაზე განახორციელოს ზედამხედველობა და მათი დარღვევისას გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, ხოლო



43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია აკონტროლებს ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას. ამავე კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს კომისია ახორციელებს მუდმივად და სისტემატურად.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტისა და კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშემწყობი დეპარტამენტის მიერ, „თაღლითობასთან ბრძოლის პროგრამის“ გამოყენებით, შპს „მ...“ შემონმდა შპს „...“ კონკრეტული სააბონენტო ნომრები. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის სამართლებრივმა დეპარტამენტმა მოხსენებითი ბარათისა და მასზე თანდართული მასალების, კერძოდ: 2015 წლის 17 აპრილის №1 და 2015 წლის 21 აპრილის №2 შემონმების აქტების, შპს „...“ 2015 წლის 6 მაისის №2/379-15 წერილის, შპს „მე...“ 2015 წლის 29 აპრილისა და 6 მაისის წერილების, შპს „მეტ...“ დისტრიბუტორის განმარტების, შპს „...“ სააბონენტო ნომრებისა და ამ ნომრების მფლობელ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ასლების საფუძველზე, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, 2015 წლის 1 ივნისს დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. 2015 წლის 11 ივნისს შპს „...“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე საკითხის განხილვა დაიწმინა, რის თაობაზეც შპს „...“ ეცნობა წერილობითი შეტყობინებით და მიწვეულ იქნა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად. დადგენილია, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შპს „...“ შემონმებული სააბონენტო ნომრებიდან (სულ: 60 სააბონენტო ნომერი) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წარუდგინა 56 სააბონენტო ნომრის მფლობელ მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, ხოლო 4 ხელშეკრულების მოძიება ვერ შეძლო, ვინაიდან, როგორც თვითონ განმარტა, სააბონენტო ნომრების რეალიზაცია განხორციელდა მათი დილერის შპს „მ...“ მიერ, რომელმაც ხელშეკრულებები ვერ მოიძია. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე,



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უფლებამოსილი იყო გასაჩივრებული გადანყვეტილებით განეხორციელებინა მაუნყებლობის სფეროში კანონით მასზე დაკისრებული მაკონტროლებელ-მარეგულირებელი ფუნქცია.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას მასზედ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი, კომისიის მიერ აბონენტების მონაცემების „შემოსავლების სამსახურის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გადამონმება ვერ ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოებების ყოველმხრივ გამოკვლევად, რადგან დასახელებულ ვებგვერდზე შესაძლებელია მხოლოდ იმ პირთა მონაცემების შემონმება, ვინც რეგისტრირებულია მენარმედ/გადასახადის გადამხდელად.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იზიარებს საკასაციო საჩივრის არგუმენტებს, რომ შპს „...“ შემონმების შედეგად გამოვლენილ 60 სააბონენტო ნომერთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოში ვერც ერთი ხელშეკრულება ვერ წარადგინა (კომისიას წარუდგინა არსებულ ფიზიკურ პირებთან დადებული 56 სააბონენტო ხელშეკრულება, ხოლო 4 ხელშეკრულება საერთოდ ვერ წარადგინა). მოცემული ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ 60 სააბონენტო ნომრიდან 43 ნომერზე დადებულ ხელშეკრულებაში ხელშეკრულების დადების თარიღად მითითებულია თარიღი, როდესაც სააბონენტო ნომერი პირისათვის არათუ გადაცემული და გააქტიურებული, არამედ უკვე გათიშული იყო. უდავოა, რომ შპს „...“ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების უარყოფელი მტკიცებულებები ვერც ადმინისტრაციული წარმოების დროს და ვერც სასამართლოში საქმის განხილვისას ვერ წარმოადგინა. კომისიამ დაასკვნა, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შპს „...“ მხრიდან ადგილი ჰქონდა წერილობით დადებული ხელშეკრულებების გარეშე მომხმარებლისათვის მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდებას, რის გამოც შპს „...“ მიერ დაირღვა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-4 ნაწილის, მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის 10<sup>5</sup> მუხლის პირველი ნაწილი, რაც მისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი იყო. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს

კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შპს „...“ მიერ წერილობითი ხელშეკრულების დადების გარეშე მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდება არ დაუდგენია მხოლოდ სისპ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით. შემონგების აღნიშნული საშუალება წარმოადგენდა ერთ-ერთ ღონისძიებას იმის დასადგენად, ნამდვილად დაიდო თუ არა ხელშეკრულებები და შპს „...“ სატელეფონო მომსახურება გასნია თუ არა დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ავტორიზებული პირი ვალდებულია შეასრულოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, საქართველოს მთავრობის დადგენილებების, აგრეთვე კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების მოთხოვნები. ამავე კანონის 62-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარ აბონენტს დადგენილი სტანდარტების შესაბამისად მიანოდოს მომსახურება სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა მოიცავდეს: ა) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის დასახელებასა და მისამართს; ბ) პირობებს მიწოდებული მომსახურების სახის, ხარისხისა და პირველადი ჩართვის ვადის შესახებ; გ) მომსახურების მიწოდების შეზღუდვისა და შეწყვეტის პირობებს; დ) დაზიანების აღმოფხვრის პირობებს; ე) დეტალურ ინფორმაციას მომსახურების ტარიფების, აგრეთვე ცვლილების შემთხვევაში განახლებული ინფორმაციის მიღების შესახებ; ვ) ხელშეკრულების მოქმედების ვადის, მოქმედების შეწყვეტისა და მოქმედების ვადის გაგრძელების პირობებს; ზ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განვვის ხარისხის დაცვის უზრუნველყოფისა და აღნიშნული ხარისხობრივი მაჩვენებლების დაუცველობის შემთხვევაში გათვალისწინებულ საკომპენსაციო მექანიზმებს; თ) მომსახურებასთან დაკავშირებული საჩივრების წარდგენისა და დავის გადაწყვეტის პროცედურას.

„ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის 10<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, ძირითადი მობილური სატელეფონო მომსახურება წარმოებს მომხმარებელსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის წერილობით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო დამატებითი მომსახურების მიწოდების პირობები შეიძლება განისაზღვროს სხვა (ელექტრონული ან სხვა ტიპის (ოფერტა) ფორმითაც.

ზემოაღნიშნული მსჯელობის შედეგად, ცალსახაა ის გარემოება, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სრულყოფილად გამოიკვლია საქმის გარემოებები და სადავო აქტი მიღებულ იქნა მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონშეუსაბამობა ან მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებითი დარღვევა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავოდ ქცეული გადაწყვეტილება გამოცემულია კანონის დაცვით, ადგილი არ აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიღო დისკრიმინაციული გადაწყვეტილება, ვინაიდან კომისიამ 2015 წლის 11 ივნისის №342/18 გადაწყვეტილებით გამოიყენა პასუხისმგებლობის ზომა – გაფრთხილება მაშინ, როცა შპს „მ...“ მიმართ 2015 წლის 2 ივლისის №383/18 გადაწყვეტილებით შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება, ფაქტის დაუდასტურებლობის გამო. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლით განმტკიცებულ კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს 2014 წლის 2 მაისის კანონის მოთხოვნების დარღვევაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა იდენტიფიკაციის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისა. საქმეში წარმოდგენილია როგორც სადავო აქტი – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 11 ივნისის №342/18 გადაწყვეტილება, ისე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 2 ივლისის №383/18 გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებისას ადგილი არ ჰქონია საქმის გარემოებების იდენტიფიკაციას, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი 2015 წლის 2 ივლისის №383/18 გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ შპს „მ...“ შემოწმების შედეგად გამოვლენილ 29 სააბონენტო ნომერზე კომისიას წარუდგინა 22 სააბონენტო ხელშეკრულების ასლი, ხოლო 7 ხელშეკრულება ვერ წარადგინა. წარდგენილ ხელშეკრულებებში მითითებული აბონენტების პირადი მონაცემებით, მათ შორის პირადი ნომრებით, რომელიც გადამოწმდა სსიპ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით 4 აბონენტის იდენტიფიცირება ვერ მოხდა; შპს „მ...“, დილერების მიერ სააბონენტო ხელშეკრულებების წარუდგენლობის გამო, 2015 წლის 30 იანვარს გააქტიურებული 7 სატელეფონო ნომერი მეორე დღესვე გათიშა. ამდენად, შპს „მ...“ დილერების მიერ წარდგენილ სააბონენტო ხელშეკრულებებში აბონენტების შესახებ უზუსტო მონაცემების გამოვლენისთანავე გათიშა 4 სატელეფონო ნომერი, დილერების მეშვეობით დადებული სააბონენტო ხელშეკრულებების გაკონტროლები-სა და წერილობითი ხელშეკრულების დადების გარეშე მომხმარებლისათვის მომსახურების მიწოდების თავიდან აცილების მიზნით. ამდენად, კომისიამ მიიჩნია, რომ შპს „...“ განსხვავებით, შპს „მ...“, სამართალდარღვევის აღკვეთისა და პრევენციის მიზნით მიიღო გარკვეული ზომები, რის გამოც შპს „მ...“ მიმართ შეწყვიტა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 2 ივლისის №383/18 გადაწყვეტილების კანონიერებაზე სასამართლოს არ უმსჯელია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 11 ივნისის №342/18 გადაწყვეტილებით, წერილობით დადებული ხელშეკრულების გარეშე მომხმარებლისათვის მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდების გამო, „ელექტრონული კომუნიკაციების შესა-



ბის დადების გარეშე სააბონენტო ნომრების რეალიზაციისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა დილერს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის 10<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ძირითადი მობილური სატელეფონო მომსახურების გაწევის თაობაზე მომხმარებელთან წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულება ეკისრება მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გამწვევ ავტორიზებულ პირს. შესაბამისად, წერილობითი ხელშეკრულების გარეშე მომხმარებლისათვის მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მომსახურების მიწოდებელს – შპს „...“ და არა მის დილერს. ამდენად, სწორედ მომსახურების მიწოდებელმა, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს სააბონენტო ნომრების რეალიზაცია და მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდება მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ მოცემულ საკითხზე სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საერთოდ არ უმსჯელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 11 ივნისის №342/18 გადაწყვეტილება კანონშესაბამისია და განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული დავის გადაწყვეტისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებას და აღნიშნულთან მიმართებაში განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების კომ-



პეტენცია სასამართლოს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევა, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...“ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის გათვალისწინებით, შპს „...“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 300 ლარის გადახდა მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 411-ე მუხლებით და



## გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „...“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარის ანაზღაურება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 299 72 23  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)